პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— ამხ. დოვგალევსკი იაპონიის პრემიერთან.
— ამხ. სურიცი გაემგზავრა ანგორაში
— თავდასხმა საბჭოთა კონსულზე კენიგსბერგში. გერმანიის მთავრობამ მწუხარება გამოსთქვა თავდასხმის გამო.
— საკოს და ვანცეტის პროტესტი სიკვდილის განაჩენის წინააღმდეგ.
— რომში დაიწყო ქანიგონის გასამართლება.
— ოპოზიციის ზრდა გერმანიის მენშევიკურ პარტიაში.
— მატარებლის დამტვრევა ჩეხო-სლოვაკიაში. დაიხოცა 120 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 13 აპრილი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 82 (1837)

წარმოების რაციონალიზაცია

წარმოების რაციონალიზაცია — ჩვენი ძირითადი ამოცანაა. მის გადაჭრაზეა დამოკიდებული საქონლის ეხლანდელი მაღალი თვითღირებულების გაიაფება, რაც, ცხადია, საცალო ფასების დაკლებაზე იქონიებს გავლენას, მრეწველობის პროდუქციის გადიდება და მისი ხარისხის გაუმჯობესება. მხოლოდ რაციონალიზაციის გატარებით შეიძლება მასიური, იაფი და კარგი თვისების წარმოების ორგანიზაცია. ეს აუცილებელი პირობაა სახელმწიფო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირის შემდგომი განვითარებისათვის, ამასთან კაპიტალისტური ეკონომიკისათვის კონკურენციის გასაწევად და ბოლოს მის დასამარცხებლად.

დღეს წარმოების რაციონალიზაციას ატარებენ კაპიტალისტებიც, ვატარებთ ჩვენც. კაპიტალისტური რაციონალიზაცია ემყარება მუშათა მასების მდგომარეობის გაუარესებას. მასიური უმუშევრობა, სამუშაო დღის გადიდება, ხელფასის დაკლება, მუშათა ენერგიის უკიდურესობამდე ამოწურვა — ასეთია შედეგი კაპიტალისტური რაციონალიზაციისა. ამას მოსდევს მუშების ადრინდელი დაბერება და დაავადება, მათი თანდათანი ფიზიკური გადაშენება. მათ უზრუნველყოფაზე კაპიტალისტები, რა თქმა უნდა, ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ. სამაგიეროდ რაციონალიზაციის გზით ლამობენ ისინი შერყეულ კაპიტალიზმის სტაბილიზაციას.

ჩვენი რაციონალიზაცია, თავის თავად ცხადია, სულ სხვა მიზანს ისახავს, სულ სხვა პრინციპებზეა აგებული. მისი ამოცანაა სოციალიზმის გამარჯვება. ეს არსებითი განსხვავება განსაზღვრავს მუშათა მასების დამოკიდებულებას მისდამი. მაშინ, როცა კაპიტალისტური რაციონალიზაცია თავისი ექსპლოატატორული ხასიათით და კაპიტალიზმის განმტკიცების მიზნით აღშფოთებას იწვევს მუშებში და რაზმავს მათ ბრძოლისათვის კაპიტალის რეჟიმის წინააღმდეგ, ჩვენი შეკავშირებული მუშათა კლასისათვის რაციონალიზაცია საკუთარი საქმეა, სოციალისტური მშენებლობის საქმეა, რომელსაც ის უეჭველად მთელი თავისი ძალ-ღონით დაეხმარება.

ამავე დროს სოციალისტური რაციონალიზაცია კი არ ნიშნავს მასიურ უმუშევრობის ზრდას, მუშების შრომის პირობების გაუარესებას, ხელფასის დაკლებას, პირიქით, — საბჭოთა ხელისუფლების მთელი მეცადინეობა იქით არის მიმართული, რომ რაციონალიზაციასთან ერთად მუშების მდგომარეობა ყოველ მხრივ გაუმჯობესდეს.

თუმცა ალაგ-ალაგ, ცალკე წარმოებებსა და სამრეწველო დარგებში მოსალოდნელია მუშა-ხელის რაოდენობის რამოდენიმედ შემცირება, რაციონალიზაციის გატარებასთან დაკავშირებით, მაგრამ საერთოდ და მთლიანად დასაქმებულ მუშების რიცხვი აუცილებლად გაიზრდება თანდათანობით. ამის თავდებია ჩვენი ფართე სააღმშენებლო პროგრამა. სადაც მუშების შემცირება მოხდება, ყოველი ზომა იქნება მიღებული უმუშევრად დარჩენილთა ნივთიერი უზრუნველყოფისათვის და მათთვის სხვა დარგებში სამუშაოს გამოძებნისათვის. მუშახელის ასეთი გადანაწილება, მუშების აქა-იქ დროებით შემცირება, რაც არ უნდა იყოს, უეჭველად სამძიმო იქნება მუშათა ცალკე ერთეულებისა და ჯგუფებისათვის, მაგრამ, ცხადია, ჯგუფობრივ ინტერესებზე მაღლა უნდა დავაყენოთ მთელი მუშათა კლასის ინტერესები, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების ინტერესები. ცალკე ჯგუფების აუცილებელი მსხვერპლი დროებითია და ის შემდეგში, რა თქმა უნდა, ანაზღაურებულ იქნება.

საით უნდა იქნეს მიმართული რაციონალიზატორული მუშაობა? პირველ-ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების ტეხნიკურ მოწყობილობის გაუმჯობესებას, ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევების გამოყენებას.

შემდეგ: კიდევ ვერ არის მოწესრიგებული ნედლეულის და სათბობი მასალის ხარჯვის საქმე, ამ მხრივ ბევრგან დიდ უთავბოლობას აქვს ადგილი, იხარჯება გაცილებით მეტი, ვინემ ნამდვილად საჭიროა. ეს გარემოება მაღალ თვითღირებულების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. მასალების მოვლასა და ხარჯვაში უნდა იქნას დაცული სასტიკი თადარიგი და ეკონომია.

არ არის რიგიანად დაყენებული საწარმოო პროცესი, მისი ცალკე ელემენტების შეთანხმებული მუშაობა არ არის მიღწეული. სხვათა შორის, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს კვალიფიციურ და დამხმარე მუშების შრომის მკაფიოდ განსაზღვრას, შრომის ზედმიწევნით განაწილებას, შრომის განწესრიგების წესების გამომუშავებას და მტკიცედ დაცვას რათა თვითეული მომუშავის უფლებები და მოვალეობანი იყოს ნათლად ჩამოყალიბებული. მაშინ ტყუილ - უბრალოდ დროის გაცდენას მუშაობის პროცესში ნაკლებად ექნება ადგილი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ეს დისციპლინა ჯერ კიდევ მოიკოჭლებს. რის გამო შრომის ნაყოფიერება ვერ დგას სათანადო დონეზე. დისციპლინის შექმნას, გარდა საჭირო ადმინისტრატიულ ღონისძიებათა, ხელი უნდა შეუწყოს მუშათა საზოგადოებრივობამ, უმთავრესად პროფკავშირებმა.

ეჭვი არ არის, რომ მუშათა მასები და მათი ორგანიზაციები გამოიჩენენ სათანადო შეგნებას და აქტივობას მრეწველობის რაციონალიზაციის განხორციელების საქმეში და ამით შექმნიან მკვიდრ პირობებს ჩვენი ქვეყნის სწრაფი სამეურნეო განვითარებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

თავდასხმის სულის ჩამდგმელნი

(„იზვესტია"-ს მოწინავე წერილი)

უკანასკნელი დღეების ცნობები უკვე აშკარად ამტკიცებენ, თუ ვინ არიან პეკინში მომხდარი თავდასხმის ნამდვილი სულის ჩამდგმელნი. ამ ორი დღის წინედ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტა მიმართულია პეკინის მთავრობისადმი, როგორც მის ზურგს უკან მდგომთა ნებასურვილის ფაქტიური აღმსრულებელისადმი. მაგრამ საბჭოთა საზოგადოებრიობის პროტესტი მიმართულია ამ თავდასხმის არა მარტო ფაქტიური აღმასრულებლების, არამედ აგრეთვე მისი სულის ჩამდგმელების წინააღმდეგაც.

სავსებით დამტკიცებულ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს, რომ დიპლომატიური კორპუსის სახელით იქნა გაცემული ნებართვა შეჭრილიყვნენ იმ შენობებში, რომელნიც უჭირავთ საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლებს. ამ გარემოებას არავინ არ უარყოფს. ოფიციალურად ეს ფაქტი დადასტურდა ჰოლანდიის ელჩის უდენდეიკის მოხსენებაში თავისი მთავრობისადმი. ცნობილია, რომ საკითხებს, რომელნიც ეხებიან ეგრედ წოდებულ საელჩოს კვარტალს პეკინში, სწყვეტს არა მთელი დიპლომატიური კორპუსი, არამედ მხოლოდ იმ სახელმწიფოების წარმომადგენელნი, რომელთაც ხელი მოაწერეს ბოქსერის ოქმს 1901 წელში. ეხლა ამ სახელმწიფოთა თათბირი შესდგება დიდ-ბრიტანეთის, შეერთებულ შტატების, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ბელგიის და ჰოლანდიის წარმომადგენელთაგან. ეჭვის შეტანა შეიძლება მხოლოდ იმაში, რომ ყველა ეს წარმომადგენლები იღებდენ თუ არა მონაწილეობას იმ თათბირზე, რომელმაც ჩან-ძო-ლინის შტაბს მისცა საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაში შეჭრის ნებართვა, და შესდგა თუ არა საერთოდ ასეთი თათბირი. მეტად დამახასიათებელია იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომ იაპონიის ელჩმა იოშიზავამ არაფერი არ იცოდა ამ ნებართვის შესახებ. ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი არ დაუჯეროთ იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ამგვარ განცხადებას. ჩვენ ძალიან მოხარული ვიქნებით, თუ მართალი გამოდგება, რომ იაპონიის ელჩმა მონაწილეობა არ მიიღო ამ ბანდიტურ თავდასხმაში, არ ჩაიდინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული აქტი.

მაგრამ, თუ ზემოჩამოთვლილ სახელმწიფოთა რიცხვიდან იაპონიას არ მიუღია მონაწილეობა თავდასხმის მომზადებაში და მოწყობაში, მაშინ სწორედ საწინააღმდეგო აზრი შეიძლება იქნას დამტკიცებული მთელის კატეგორიულობით სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლების შესახებ. საკმაოა გადათვალიერებულ იქნას ინგლისის კონსერვატიული პრესის წერილები, რომ სავსებით უეჭველი გახდეს ინგლისის როლი პეკინში მომხდარ თავდასხმაში. „მორნინგ პოსტი" არა მარტო აშკარად იწონებს ჩან-ძო-ლინის ბანდების მოქმედებას, არამედ დიდ კმაყოფილებასაც გამოსთქვამს, რომ საბჭოთა საელჩოს შენობების დარბევის დროს ინგლისის ჯარის კაცები ჩამწკრივებული იყვნენ იმ კედლის გასწვრივ, რომელიც საბჭოთა საელჩოს ჰყოფს ინგლისის საელჩოსაგან „და სწორედ ამით ხელი შეუშალეს ყოველგვარ ცდას და მალულიყვნენ ამ კედლის იქით".

ინგლსისის პრესა, რომელიც შანხაიში გამოდის, კვლავ აშკარად მოუწოდებს და დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა საკონსულოს შენობის დაჭერას და საბჭოთა საკონსულოს და საბჭ. სხვა წარმომადგენლების განდევნას ჩინეთის ტერიტორიიდან. ინგლსისის რაზმები რუს თეთრგვარდიელებთან ერთად განაგრძობენ საბჭოთა საკონსულოს ალყის შემორტყმას შანხაიში.

განა შეიძლება ამის შემდეგ ეჭვი შევივიდეს, თუ როგორი როლი ითამაშა ინგლისის მთავრობამ იმ თავდასხმაში რომელიც მოხდა პეკინში?

კიდევ მეტი, იაპონური გაზეთი „ნიცი-ნიცი", რომელსაც ჩვეულებრივ სწორი ინფორმაცია აქვს გარეშე საქმეთა სამინისტროს შეხედულებების შესახებ, აცხადებს, რომ მისი აზრით, „საბჭოთა კავშირი არ ჩაებმევა სამხედრო მოქმედებებში, მიუხედავად ერთ-ერთი სახელმწიფოს ცდისა". განა შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, თუ რომელ სახელმწიფოს სურდა და სურს, რომ ჩინეთში მყოფი საბჭოთა დაწესებულებების მიმართ პროვოკაციული მოქმედების გზით მიაღწიოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ გამოსვლას?

გასაკვირველი არ იქნება, თუ აღმოჩნდება, რომ თავდასხმის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი იყო აგრეთვე იტალიის წარმომადგენელი. როგორც ცნობილია, იტალიის საგარეო პოლიტიკა უკანასკნელ ხანებში სისტემატიურად ვითარდება ინგლისის საგარეო პოლიტიკის გავლენის ქვეშ. მუსოლინისა და ჩემბერლენის კავშირი უკვე გამოაშკარავდა ისეთ ფაქტებში, როგორიც მაგ., ბესარაბიის ოქმის რატიფიკაცია, იტალია-სამხრეთსლავიის კონფლიქტი და იტალიის ესკადრის გაგზავნა შანხაიში. ფაშისტური პრესა არ მალავს, რომ იგი იწონებს ჩან-ძო-ლინის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. ფაშისტური პრესის უფრო ზოგიერთი ორგანოები იმასაც კი სცდილობენ, რომ აამენონ თეორია, რომელიც გაამართლებს „ამ გაჩხრეკვის ნებართვის კანონიერებას".

სამწუხაროდ, ფრანგების ხელისუფალთა მოქმედება ჩინეთში არა გვაძლევს არავითარ საფუძველს, რომ სხვაგვარად შევაფასოდ იგი, ვიდრე იყო შეფასებული ინგლისის მოქმედება. თუ თავდასხმის ინიციატივა ეკუთვნის არა საფრანგეთს და მისი ელჩი აძლევდა მხოლოდ არასრულ ნებართვას თავდასხმაზე, მაშინ ყოველ შემთხვევაში, მას არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ გამიჯნულიყო ამ საქმეში მონაწილეობისაგან. საფრანგეთის მთვრობას არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს იმის გამოსააშკარავებლად, რომ მას მონაწილეობა არ მიუღია პეკინში მომხდარ ძლადობაში. პირიქით, თითქმის იმავე დროს, როცა პეკინში მოხდა თავდასხმა, ტიან-ცზინში გაჩხრიკეს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობა იმ ტერიტორიაზე, რომელიც საფრანგეთის კანონების მფარველობის ქვეშ იმყოფება.

ეს შეჭრა, რომელიც მოახდინა აგრეთვე ჩინელთა ხელისუფლებამაც, არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო საფრანგეთის კონსულის პირდაპირი ნებართვის გარეშე.

რაც შეეხება საბჭოთა საკონსულოს ბლოკადას შანხაიში, ამის პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა იმ სახელმწიფოებს, რომელნიც წარმოდგენილნი არიან საკონსულო კორპუსში და პასუხს აგებენ ყოველივე იმაში, რაც ხდება ე. წ. საერთაშორისო უბანში.

ინგლისი მთელი თავისი ძალღონით ცდილობს, რომ შექმნას ილიუზია მთლიანი ფრონტისა ჩინეთში, ფრონტისა, რომელიც მიმართული ქნება როგორც ჩინეთის ეროვნული მოძრაობის, ისე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ცდებმა ამ მიმართულებით, რომელიც მოხდენილ იქნა ნანკინისათვის ზარბაზნების დაშენასთან დაკავშირებით, დღემდე ვერავითარი რეალური შედეგები ვერ გამოიღო. პირიქით, უფრო იმის მტკიცება შეიძლება, რომ ამ საკითხში მან ვერ მოახერხა მთლიანი ფრონტის შექმნა.

პეკინის პროვოკაციამ ინგლისს მისცა ხელსაყრელი შესაძლებლობა იმისათვის, რომ მთელ რიგ სხვა სახელმწიფოების პოლიტიკა გაეერთიანებინა ამ ანტისაბჭოთა გამოსვლაში.

ასეთია პეკინში მომხდარი თავდასხმის შინაგანი მხარე.

ვიმეორებთ, საბჭოთა საზოგადოებრიობის პროტესტი მიმართულია არა მარტო ფაქტიური თავდამსხმელების წინააღმდეგ, არამედ მათი სულის ჩამდგმელების წინააღმდეგაც. ვინ არიან სულის ჩამდგმელები,—ეს ეხლა სავსებით ცხადია.

ყველას ყურადღებას მივაქცევთ, ვისაც ეს ეხება, იმ გარემოებისაკენ, რომ პეკინის პროვოკაცია ხდება ისეთ მომენტში, როცა საერთაშორისო პირობები შორეულ აღმოსავლეთში მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს მშვიდობიანობის დაცვის მიზნით.

ჩვენ არ წამოვეგებით პროვოკაციაზე, რომელსაც მიზნათ აქვს საბჭოთა კავშირი ჩაიბას ომში, და მით უფრო ხმამაღლა ვაცხადებთ პროტესტს, როგორც პროვოკატორების, ისე მათი სულის ჩამდგმელების მოქმედებათა წინააღმდეგ.

ეხლა ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ პასუხისმგებლობა საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის ეკისრება სწორედ მათ.

მოსკოვი, 12 აპრილი.

იმპერიალისტების ნოტა კანტონის მთავრობას

სერიოზული ბრძოლები იან-ცზის მიდამოებში.—ჩან-კაი-ში ფრონტზე

უ-პეი-ფუს გაქცევა.-იაპონელების თავდასხმა შანხაის ჩინურ ნაწილზე

ყაჩაღები პროტესტს აცხადებენ

შანხაი, 11 აპრ. 11 აპრილს ინგლისის, ამერიკის, იაპონიის, საფრანგეთის და იტალიის კონსულებმა გენერალ ბაოჩუნ-სის და გარეშე საქმეთა ბიუროს დირექტორს გო-ტაი-ნის გადასცეს ერთნაირი შინაარსის ნოტები ნანკინის ინციდენტის შესახებ. ნოტების ტექსტი ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ უკვე გამორკვეულია, რომ ისინი შეიცავენ შემდეგ მთავარ მუხლებს:

სამხედრო უფროსების და ყველა იმ პირების სათანადო დასჯა, რომელთაც უშუალო მონაწილეობა მიუღლვით ამ ინციდენტში.

რევოლიუციონურ ჯარების მთავარ სარდლის მიერ (ჩან-კაი-ში) წერილობითი ბოდიშის მოხდა და გარანტიის მიცემა, რომ მომავალში აღარ განმეორდება უცხოელებზე და მათ ქონებაზე თავდასხმა.

ნოტებში ნათქვამია, რომ თუ ნაციონალური მთავრობა არ შეასრულებს დაუყოვნებლივ ამ მოთხოვნილებებს, სახელმწიფოები იძულებული იქნებიან მიიღონ ზომები, რომელთაც ისინი საჭიროდ სცნობენ. (ადს).

ვაშინგტონი, 11 აპრ. 11 აპრილს 5 სახელმწიფოს კონსულებმა შანხაიში ნაციონალისტების სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასცეს ერთნაირი მოთხოვნილებები ნანკინის ინციდენტისათვის ანაზღაურების შესახებ. მოთხოვნილებათა შესრულების ვადა არ არის აღნიშნული. (ადს).

ჩან-კაი-ში გაემგზავრა ფრონტზე

შანხაი, 11 აპრ. სამხედრო მოქმედების გაცხოველების გამო გომინდანის აღმასკომის განკარგულების თანახმად ჩან-კაი-ში გაემგზავრა ნანკინში, სადაც პირადათ უხელმძღვანელებს სამხედრო ოპერაციებს. (ადს).

ნაციონალისტების გადამჭრელი ნაბიჯი

შანხაი. 11 აპრ. ნაციონალისტების სამხედრო ხელისუფლებამ ბრძანება გასცა, რომ 11 აპრილიდან დათვალიერებულ იქნას, როგორც უცხოეთის ისე ჩინეთის ყველა გემები, რომელნიც ვუზუნს სტოვებენ.

იუწყებიან, რომ სახელმწიფოებს განზრახვა აქვთ განაცხადონ პროტესტი.

გადამწყვეტი ბრძოლა

ბერლინი, 11 აპრილი. „ბერლინელ ტაგებლატ"-ის შანხაელ კორესპონდენტის ცნობით, იან-ძეიდან ჩრდილოეთით გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს. ჩან-კაი-შიმ ბრძანება გასცა მთავარი შტაბი ნან-ჩანიდან გადატანილ იქნეს ნანკინში. ინგლისელების, ამერიკელების და იაპონელების ევაკუაცია ცენტრალურ ჩინეთიდან გრძელდება (ადს).

ყოველ მოთმინებას საზღვარი აქვს

შანხაი, 11 აპრილი. უცხოელ ჟურნალისტებთან საუბარის დროს, ნაციონალური ჯარების უფროსმა შანხაიში ბაი-ჩუნ-სიმ აღნიშნა, რომ საერთაშორისო უბნის ხელისუფლებას და უცხოეთის ჯარებს დანაშაული მიუძღვით პროვოკაციის მრავალ აქტებში, რომლებიც გამოიხატება ქალაქის ჩინურ ტერიტორიაზე თავდასხმაში და სხვ.

„როგორც სჩანს, განაცხადა ბაი-ჩუნ-სიმ, ზოგიერთი სახელმწიფოები განზრახ ცდილობენ გამოიწვიონ მღელვარება, რათა ამით გაამართლონ თავიანთი ჯარების ყოფნა შანხაიში. თუ პროვოკაცია გაგრძელდა, მას სერიოზული შედეგები მოჰყვება და ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა სავსებით უცხო სახელმწიფოებს ეკისრებათ. (ადს).

სახელმწიფოები საერთო ნოტას ამზადებენ

ლონდონი, 11 აპრილი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ლონდონის პასუხისმგებელ წრეებში დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ შეთანხმებით, რომელიც მიღწეულ იქნა ინგლისის საფრანგეთის, იტალიის და შეერთებულ შტატების პეკინის წარმომადგენლების მიერ ერთნაირ ნოტების შესახებ, რომლებიც უნდა გადაეცეს კანტონის ხელისუფლებას ნანკინის ამბებთან დაკავშირებით. ნოტებს არ ექნება ულტიმატუმის ხასიათი, თუმცა მათში იქნება ანაზღაურების მოთხოვნა. სანქციების საკითხი განხილულ იქნება შემდეგში. ნოტებში არავითარი ვადა არ არის აღნიშნული (ადს).

ჩენი იაპონიასთან დაახლოების მომხრეა

შანხაი, 12 აპრილი. რეიტერის სააგენტო ხანკოუდან იუწყება: „მიღებული ცნობებით, ევგენი ჩენმა იაპონიის საკონსულოს ხანკოუში სთხოვა, რათა მან გადასცეს იაპონიის მთავრობას, რომ ეროვნული მთავრობა დასთანხმდება არ ჩაერიოს იაპონიის კონცესიის მმართველობაში ხანკოუში, არ მოითხოვოს ამ კონცესიის დაბრუნებას ჩინეთის ხელისუფლებისათვის და დაუყოვნებლივ მოსპოს ანტიიაპონური აგიტაცია, თუ იაპონიის მთავრობა თავის მხრივ დასთანხმდება არ შეუერთდეს ინგლისის და შეერთებულ შტატების ულტიმატუმს ნანკინში მომხდარი ინციდენტის შესახებ. (ადს).

უ-პეი-ფუ გაიქცა

პეკინი, 11 აპრილი. უ-პეი-ფუ, თავის მოსამსახურეებისა და მცირე რიცხოვანი მცველი რაზმით გაიქცა შან-სის პროვინციაში.

იუწყებიან, რომ უ-პეი-ფუს განზრახვა აქვს დროებით დასტოვოს პოლიტიკური ცხოვრება. (ადს).

შეტაკება

ლონდონი, 11 აპრილი. ინგლისის ოფიციალური რადიო იუწყება, რომ ჩინ-ძიანიდან 80 კილომეტრის მანძილზე, მდინარე იანძის ნაპირებიდან ინგლისის ნაღმოსანს „ვეტერანს" დაუშინეს ყუმბარები. ინგლისის ნაღმოსანმა საპასუხო ცეცხლით გაანადგურა ჩინელების ერთი ზარბაზანი, ჩააჩუმა ჩინელთა ბატარეა და დააზიანა ყაზარმები. ჩინელების ზარალი გამოურკვეველია. ნაღმოსანზე არავითარი ზარალი არ არის. (ადს).

„ინგლისი ყველა ხარჯებს კისრულობს"

ვენა, 11 აპრილი. ინგლისის ელჩმა იტალიაში მუსოლინის გადასცა მემორანდუმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ სერიოზულ ამბების შესაძლებლობის გამო, სასურველია ჩინეთში გაგზავნილ იქნეს იტალიის მნიშვნელოვანი დამხმარე ძალები. ინგლისის მთავრობა აცხადებს. რომ ის თავის თავზე იღებს ექსპედიციისთან დაკავშირებულ ხარჯებს. მუსოლინმა თანხმობით უპასუხა, მაგრამ იტალია-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტთან დაკავშირებით იტალიის საზღვაო ძალების გადაჯგუფების გამო, იტალიის დამხმარე ძალები იქნება უფრო ნაკლები, ვინემ ეს სურს ინგლისს.

ჯერ-ჯერობით ბრინდიზიდან ჩინეთისაკენ იგზავნება ესკადრა 5 გემის შემადგენლობით.

ის გარემოება, რომ იტალიის მთავრობა უხიტყვოთ მხარს უჭერს ინგლისის პოლიტიკას ჩინეთში აღშფოთებას იწვევს არა მარტო მუშათა ფართე მასებში, არამედ მას უკმაყოფილებით უყურებენ აგრეთვე იტალიის სამრეწველო წრეები, რომელთაც აშინებთ იტალიის მიერ ეკონომიური პოზიციების დაკარგვა ჩინეთში. ამ წრეების აზრით, იტალიის ინტერესები სრულებითაც არ მოითხოვს იტალიის მონაწილეობას ინგლისის ინტერვენციაში. (ადს).

რეაქცია უკანასკნელ ძალებს იკრებს

შანხაი, 11 აპრილი. უცხოეთის პრესის ცნობით, ძიან-სუს პროვინციის ცენტრალურ ნაწილში სუნ-ჩუან ფანის ჯარების ნაშთები, რიცხვით 20.000 კაცი, გაძლიერებულ იქნა მუკდენის ჯარების ნაწილებით და ხელ ახლა გახდა სამხედრო მნიშვნელობის ფაქტორი ჩრდილოელების ბრძოლაში ან-ძი-ძიანის დაბლობის ხელში ჩასაგდებად.

იაპონიის სააგენტო „ტოხო" იუწყება, რომ ჩრდილოელებმა მიაღწიეს იან-ჩოუმდე (ნანკინიდან 70 კილომეტრის მანძილზე); ნაციონალურ ჯარებმა დაიხიეს იან-ძი-ძიანის სამხრეთ ნაპირისაკენ. (ადს).

იაპონელები გარბიან

შანხაი, 11 აპრილი. ტოხოს სააგენტოს ცნობით, იაპონელები სტოვებენ იმ ქალაქებს, რომელნიც შანხაი-ნანკინის რკინის გზის გასწვრივ მდებარეობენ (ჩინ-ცზიიანი, ჩან-ჩჟოუ, სუ-ჩჟოუ და სხ.) ცნობაში ნათქვამია, რომ ჩინელმა მუშებმა სუ-ჩჟოუში ალყა შემოარტყეს იაპონელების რამდენიმე ფაბრიკას, რომ ხელი შეეშალათ ადმინისტრაციის ქალაქიდან წასვლისათვის. მუშები მოითხოვენ რამოდენიმე თვის ჯამაგირს, როგორც კომპენსაციას მუშაობის უცებ შეწყვეტისათვის, რაც ლოკაუტს უდრის. სუ-ჩჟოუში ჩამოვიდა იაპონიის კონსული, რომ შეუთანხმდეს ადგილობრივ იაპონურ საკონსულოებს და ჩინელთა ხელისუფლებას იაპონელების დაუბრკოლებელი ევაკუაციის შესახებ. (ადს).

იუ-ნანი ნაციონალისტებს ემხრობა

კანტონი, 11 აპრილი. იუწყებიან, რომ მილიტარისტული რეჟიმი პროვინცია იუ-ნანში დაამხო გენერალმა ვუ-გოკ-ანმა რომელმაც განაცხადა, რომ უერთდება ეროვნულ მთავრობას. (ადს).

გულახდილობა

ლონდონი, 11 აპრილი. „დეილი ტელეგრაფ"-ის შანხაელი კორესპონდენტი სწერს:

„ეროვნული არმიისა და ინგლისს შორის ფაქტიურად ომია, ვინაიდან ინგლისის ყველა სამხედრო გემებს, რომელნიც იან-ცზეზე დასცურავენ, ყუმბარებს უშენენ. რასაკვირველია, რომ ჩვენ არ ვანადგურებთ ყველა ნავთსადგურებს, რომელნიც თავიანთი მტრული მოქმედებით ხელს უშლიან ნაოსნობას". (ადს).

ინგლისი აქტიურ მოქმედებას მოითხოვს

პარიზი. 11 აპრილი. შანხაიში მყოფი ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება: ინგლისელები მოითხოვენ უცხოელთა ჯარების მიერ დაჭერილი ზონის გაფართოებას და ნანკინის ოკუპაციას. რომ ეროვნული ჯარები მოწყვეტილ იქნან ტიან-ცზინ-პუკოუს რკინის გზის ხაზიდან. (ადს).

თავდასხმა ჩინურ მოსახლეობაზე

შანხაი, 11 აპრილი. იაპონიის 100 მეზღვაურმა და საერთაშორისო უბნის პოლიციამ მოახდინა თავდასხმა შანხაის ჩინურ ტერიტორიაზე ნორდ-სი-ჩუანის რაიონში, სადაც 8 აპრილს ადგილი ჰქონდა იაპონელ მეზღვაურების და ჩინელთა შეტაკებას. გაჩხრიკეს 11 სახლი და ამ სახლებში მცხოვრები 150 კაცი, მათ შორის 21 დააპატიმრეს და გაგზავნეს საერთაშორისო უბანში. (ადს).

იყოფენ ტყავს

ბერლინი, 11 აპრილი. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ის შანხაელი კორესპონდენტი ზალცმანი იუწყება:

„იმ ხმებთან დაკავშირებით, რომ იაპონია ცდილობს მიიღოს მანდატი ჩრდილოეთ ჩინეთზე ყვითელ მდინარემდე, ხოლო ინგლისი—მდინარე იან-ძის მიდამოებზე და შანხაიზე, ახლო მომავალში მოელიან ინგლისის სამხედრო ოკუპაციის სფეროს გაფართოებას, კერძოთ ჩაპეის კომუნისტური რაიონის გაწმენდას. უცხოელი კორესპონდენტების უმრავლესობა სტოვებს პეკინს. გრძელდება უცხოელების, განსაკუთრებით ამერიკელების მასიური ევაკუაცია ჩინეთიდან. (ადს).

ხუთი პროტესტი

ნიუ - იორკი. 11 აპრილი. ცზიან-სუს პროვინციის საგარეო საქმეთა რწმუნებულმა გუო-ტაი-ჩიმ განაცხადა, რომ ნაციონალურმა ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ხუთი პროტესტი უცხო სახელმწიფოთა შემდეგი მოქმედების წინააღმდეგ: ინგლისის ჰაეროპლანების თავდასხმის წინააღმდეგ ჩინეთის ტერიტორიაზე ინგლისელთა თავდასხმის წინააღმდეგ ჩინურ უნივერსიტეტზე, სადაც სტუდენტებს სცემეს, მიაყენეს შეურაცხყოფა და წაართვეს ქონებას, ინგლისელების მიერ სატელეფონო მავთულების გადაჭრის წინააღმდეგ, სამხედრო პოზიციების გამართვის წინააღმდეგ საერთაშორისო უბნის ფარგლებს გარეთ.

ნიუ-იორკი, 11 აპრილი. „ასოშიეიტედ პრეს"-ის შანხაელ კორესპონდენტის ცნობით, ხუთი სახელმწიფოს ნოტები ნანკინში მომხდარ ინციდენტის შესახებ გადაეცა აგრეთვე ევგენი ჩენს ხანკოუში (ადს).

საფრანგეთის ჯარები გადაჰყავს ალჟირიდან

შანხაი, 11 აპრილი. უცხოეთის ლეგიონის ორი ბატალიონი ალჟირიდან გადაჰყავთ საიგონში. (ადს).

იმპერიალისტური პრესა მოუწოდებს ომისაკენ ნაციონალური მთავრობის წინააღმდეგ

ლონდონი, 12 აპრილი. ევგენი ჩენმა ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„გთხოვთ გააფრთხილოთ ინგლისის მუშათა მოძრაობა, რომ იმპერიალისტური პრესა შეგნებულად აწარმოებს პროპაგანდას ომის სასარგებლოდ ნაციონალისტების წინააღმდეგ" (ადს).

ჩინეთის რევოლიუციის დასაცავად.

ბერლინი, 12 აპრილი. კოლონიალურ ერთა ჩაგვრასთან მებრძოლმა ლიგამ აცნობა გომინდანის აღმასკომს ხანკოუში, რომ მან უკვე დაიწყო საპარლამენტო და პარლამენტს გარეშე კამპანია ჩინეთის რევოლიუციის დასაცავად. ლიგა უცხადებს გომინდანის აღმასკომს თავის ძმურ კოლიდარობას და გამოსთქვამს იმედს, რომ ჩინეთის რევოლიუციის მონაპოვარი შენარჩუნებული იქნება ერთსულოვნების, სიმტკიცის და დისციპლინის დაცვის პარტიაში და საომარ ფრონტზე.

დეპეშას ხელს აწერენ ინგლისის, ამერიკის, მექსიკის წარმომადგენლები ლიგაში და აგრეთგერმანიის, ბელგიის, ინდოეთის, ეგვიპტის და ვე პროფ. ეინშტეინი, ინგლისის თემთა პალატის კომუნისტ-დეპუტატთან საკლატვალასთან და სხვებთან ერთად (ადს).

იან-ცზი-ცზიანის ველის სამხედრო ოკუპაციას მოითხოვენ.

ნიუ-იორკი, 11 აპრილი. შანხაიდან მიღებული ცნობებით, სამხედრო ძალები ცდილობენ იან-ცზი-ცზიანის ველის სამხედრო ოკუპაციას. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებზე ახდენენ ძლიერ დიპლომატიურ ზეგავლენას იმ მიზნით, რომ მას მონაწილეობა მიაღებინონ ოკუპაციის გეგმის განხორციელებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩ.-ა. შ. შტატებს ემუქრებიან განმარტოებით. საბჭოთა საელჩოს გარემოცვის გეგმა გამომუშავებული იქნა რამდენიმე კვირით ადრე იმ მიზნით, რომ შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა კავშირი აქეზებს ჩინელებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად (ადს).

ჩ.-ა. შ. შტატები ბრალსა სდებს.

ნიუ-იორკი, 11 აპრილი. შეერთებულ შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეროვნულ მთავრობისადმი მიმართულ ნოტასთან ერთად, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ბრალსა სდებს რეგულიარულ ეროვნულ ჯარებს ჩ.-ა. შ. შტატების კონსულებზე სისტემატიურ თავდასხმის გამო.

„ნოტაში წარდგენილი მოთხოვნილებები,—ნათქვამია განცხადებაში,—მეტად ზომიერი ხასიათის არიან და შეიცავენ იმის მინიმუმს, რაც უნდა გააკეთოს ყოველმა მთავრობამ, რომელსაც შეუგნია თავისი ღირსება და მოვალეობა სხვა მეგობრულად განწყობილ ერების მიმართ (ადს).

დუნკანი ინგლისის პოზიციის შესახებ

შანხაი, 11აპრილი, გაზეთი „სინ-ბენ-ბა" აქვეყნებს საუბარს ინგლისის ჯარების მთავარსარდალთან შანხაიში დუნკანთან. დუნკანი უარყოფს ხმებს, თითქოს შანხაის რაიონში ფარულად ეწყობოდეს სიმაგრეები, ხოლო სტრატეგიულ პუნქტებში იდგმებოდეს ფუგასები. დუნკანმა განაცხადა, რომ ინგლისის კონცესიების დაბრუნება ხანკოუში და ცზი-ცზიანში მოწმობს ინგლისის უანგარობას, და დასძინა: „თუ ადგილი ექნა უცხოელთა უბნის ძალით დაკავების ცდას, ინგლისელები ამას წინააღმდეგობას გაუწევენ. (ადს).

პროფესიონალურ მოძრაობის ამოცანები შანხაიში

შანხაი, 11 აპრილი. შანხაის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ პრესის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა:

„შანხაიში 600 ათასზე მეტი მუშა გაერთიანებულია 17 საწარმოო კავშირში. პროფესიონალურ მოძრაობის წინაშე შანხაიში სდგას შემდეგი ამოცანები: დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად ბრძოლა კონცესიების დაბრუნებისათვის, ყოველივე ძალღონის გამოყენება იმისათვის, რომ ეს მიღწეულ იქნეს მშვიდობიანი გზით. მხრის დაჭერა ადგილობრივ რევოლიუციონურ მთავრობისათვის, მუშათა გვარდიის განმტკიცება, რომელიც წარმოადგენს ნაციონალურ მთავრობის და რევოლიუციონური არმიის დასაყრდენს, აგიტაციისა და პროპაგანდის გაძლიერება". (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

რა გავლენას იქონიებს ჩინეთში ჩადენილი ავაზაკობა და პროვოკაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სამხედრო ოპერაციებზე, ამას ახლო მომავალი გვაჩვენებს.—ამ უმაგალითო თავხედობამ და ყაჩაღურმა თავდასხმამ თითქოს დაჩრდილა სამხედრო ოპერაციები.

ცხადია თავისთავად, რომ ხუნხუზების ყოფილი ბელადი და თვითონაც გასაბაწრი ავაზაკიც ჯან-სო-ლინი, მიუხედავად ჩვეულებრივი თავხედობისა, ვერ გაბედავდა ასეთი საქმის ჩადენას, თუ მისი ზურგის უკან სხვა უფრო ძლიერი დამხმარე არ იქნებოდა. ამჟამად სავსებით გამორკვეულია, თუ ვისი წაქეზებით და კურთხევით ჩაიდინა ჯან-სოლინმა ეს საქმე.

აწ შექმნილი საერთო სტრატეგიული მდგომარეობა პეკინის სამხრეთით, მდ. ხუან-ხეს ველით, იმ გვარია, რომ ჯან-სო-ლინის მიერ ჩადენილი ავაზაკობა არამ თუ არა გააუმჯობესებს მისთვის ამ სტრატეგიულ მდგომარეობას, არამედ პირიქით უფრო ართულებს და სახიფათოდ ხდის. ჯან-სო-ლინის აწინდელი მდგომარეობა იმ გვარია, რომ მოითხოვს ზურგის სრულ სიმშვიდეს და სიწყნარეს. ჯან-სო-ლინის მარჯვენა ფრთა მეტად საშიშ მდგომარეობაშია, აქ მას ემუქრება დასავლეთიდან ფინ-იუ-სიანი თავისი 100 ათასი ჯარით და უფრო ჩრდილოეთით კიდევ პროვინცია შენ-სის მფლობელი თავისი 60 ათასი ჯარით. მართალია მუკდენელების ჯარი კაი-ფინის მიმართულებით წინ იწევს, სამხრეთისაკენ და ცნობა იყო, ვითომ ამ ჯარს აეღოს სუი-ჯოუ პეკინ-ხანკოუს რკინის გზაზე, კაიფინის სამხრეთით. მაგრამ ეს წინსვლა ადვილად შესაძლებელია კატასტროფით დამთავრდეს. აღმოსავლეთით კანტონელების ჯარი უახლოვდება მეორე სუი-ჯოუს, რომელიც კვანძია კაიფინ სუ-ჯოუს და პეკინ-ნანკინის რკინის გზებისა, მაშასადამე ეს ჯარი სადაცაა თვით შანდუნის პროვინციაში შეიჭრება, ე. ი. შემოუვლის მუკდენელების მარცხენა ფრთას. ასეთ გარემოებაში, როდესაც ორივე ფრთა მეტად საშიშ მდგომარეობაშია, მაშასადამე ზურგსაც ხიფათი მოელის, ამ ზურგით აყალმაყალის ატეხა სტრატეგიული თვალსაზრისით სრული უგუნურებაა, მით უმეტეს რომ თვით ეს ზურგი მაინც და მაინც ჯან-სო-ლინისათვის აგრე რიგად საწდობი არ არის, თავის დროზე ნათქვამი გვქონდა, რომ იმ პროვინციების, სადაც ჯერ-ჯერობით უფლობს ჯან-სო-ლინი, მოსახლეობა ისეთ განწყობილებაშია, რომ ჯან-სო-ლინი იძულებულია ყველგან საკმაოდ მრავალ რიცხოვანი ჯარები იყოლიოს. ვიმეორებთ რომ ჯან-სო-ლინის „ინციდენტი" გამოწვეულია არა სამხედრო, არამედ სულ სხვაგვარი მოსაზრებით და ინტერესით. აქ ერთი რამ აშკარაა, რომ ჯან-სო-ლინს უსათუოდ სწადია გართულება საერთოდ მდგომარეობისა, მთელი არევ-დარევის შექმნა. ასეთი მისი წადილი მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ჯან-სო-ლინმა უკვე დაკარგა იმედი სამხედრო ოპერაციების სასურველად დამთავრებისა. იგი ალბად დარწმუნდა რომ ბრძოლის ასპარეზზე მას კეთილი არა მოელის რა, რომ კანტონელების ჯართან პირის პირი შეხლა მეტად საეჭვოა მისთვის. ამას სხვათა შორის მოწმობს მის მიერ დაწყებული თავხედური ოპერაცია კაი-ფინის სამხრეთით, რომელიც უსათუოდ კატასტროფით დამთავრდება.

ამჟამად სამხედრო მდგომარეობა და ძალთა განაწილება საერთო ფრონტის დასავლეთ ნაწილში ამგვარია: ტუნგუანი (მდ. ხუან-ხეზე-ლუნხაის რკინის გზის დასაწყისი პუნქტი) სდგას ახალხო არმია ფინ-იუ-სიანისა (100 ათასი) და ემუქრება იმავე რკინის გზით მდებარე ლოიანს (ხე-ნანს), სადაც სდგას უ-პეი-ფუს დარჩენილი ჯარი; შემდეგ აღმოსავლეთით იმავე რკინის გზით ჩენ-ჯოუში (კვანძი ლუნხაის და პეკინ-ხანკოუს რკინისგზებისა) და კაი-ფინში იმყოფება მუკდენელების ჯარის ნაწილები. ამჟამად, ეს ჯგუფები შეტევას აწარმოებს სამხრეთისაკენ და, როგორც ვთქვით, დეპეშის ცნობით, ვითომ უკვე სამხრეთით მდებარე ქ. სუი-ჯოუ დაუკავებია. კიდევ უფრო აღმოსავლეთით, იმავე ლუნ-ხაის რკინის გზის გაყოლებით ქ. ნინ-ლინის სამხრეთით მოქმედობენ კანტონელების მომხრე ჯარები და მათ აღმოსავლეთით სუ-ჯოუს სამხრეთით შეტევას აწარმოებს ნანკინიდან წამოსული კანტონელების ჯარი. იმ ოპერაციას, რომელსაც მუკდენელების ჯარი კაი-ფინ-ჩენ-ჯოუდან სამხრეთისაკენ აწარმოებს რასაკვირველია, მიზნად ხუ-ბეის პროვინციაში შეჭრა აქვს დასახული და აქ ქ. ხანკოუს ხელში ჩაგდება. მიზანი მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანია და თუ განხორციელდა თქმა არ უნდა, სამხრეთელების ჯარი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს, რადგანაც ეს იქნება მათი მთელი ფრონტის გარღვევა მთავარი საკვებო გზის, ხანკოუ - კანტონის რკინის გზის გადაჭრა. მაგრამ მარტო მიზნის არჩევა და დასახვა არაა საკმარისი. საქმე მის აღსრულება - განხორციელებაშია და აი სწორედ ამ მიღწევის გზაზე მუკდენელებს მოელის კატასტროფა.

თუ დავაკვირდებით ჯარების აწინდელ განაწილებას ბრძოლის ასპარეზზე და მათ დაჯგუფებას, აშკარა გახდება ჩვენთვის რამდენად სახიფათოა ის ოპერაცია, რომელსაც ამჟამად მუკდენელები აწარმოებენ. კანტონელების მედგარი შეტევა ფრონტის აღმოსავლეთის ნაწილით უსათუოდ გამოიწვევს მათი მომხრე ჯარების მედგარ წინსვლას, იმ ჯარების, რომელნიც ნინ-ლინის სამხრეთით მოქმედობენ. ამას მოჰყვება მუკდენელების ჯარის მარცხენა ფრთისათვის შემოვლა. მეორეს მხრით ფინ-იუ-სიანის ჯარის მედგარი შეტევა ტუნ-გუანის მხრით ლოიანისაკენ (ხენანისაკენ) მოასწავებს იმავე მუკდენელების ჯარის მარჯვენა ფრთის შემოვლას, ე. ი. ადვილათ შესაძლებელია, რომ წინ წასული მუკდენელების ჯარი ორ ცეცხლის შუა ჩავარდეს და ასეთ შედეგს ჯან-სო-ლინისათვის უსათუოდ საბედისწერო მნიშვნელობა მიეცემა. ამრიგად აღნიშნულ ოპერაციას მეტად დიდი რისკი აქვს იმ დროს, როდესაც მისი განხორციელება და ბოლომდის მიყვანა მეტად საეჭვოა.

ამჟამად ამ ოპერაციის ოდნავ მაინც უზრუნველყოფისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს კანტონელების ჯარების დროებით მაინც შეჩერებას და დაბანდებას. და სწორედ ამიტომ კანტონელების ჯარის ზურგით გააფთრებული იმპერიალისტები უზომო პროვოკაციებს მიმართავენ და ავაზაკურ მოქმედებაზე აქეზებენ ჯან-სო-ლინს. ინგლისელ კაპიტალისტებს ჯერ გაცრუებული აქვთ იმედი იმპერიალისტების საერთო ფრონტის შექმნისა, აგრეთვე ფუჭად ჩაუარა მოლოდინმა, რომ თვით გომინდანის შიგნით მოხდებოდა განხეთქილება და რევოლიუციის ციხე შიგნიდან გატყდებოდა. ვერც ჯან-სო-ლინის ავაზაკურმა თავდასხმამ საბჭოთა საელჩოებზე მოიტანა ინგლისისათვის სასურველი შედეგი. საბჭოთა კავშირი არ წამოეგო ავაზაკურ პროვოკაციის ანკესზე. რა თქმა უნდა, ახლო მომავალში უნდა მოველოდეთ მორიგ ახალ პროვოკაციას. მაგრამ სულერთია ვერავითარი პროვოკაცია ვერ შესცვლის უკვე შექმნილ სტრატეგიულ მდგომარეობას და ვერ უშველის ისტორიის მიერ განწირულს ჯან-სო-ლინს და მის დამხმარე უფრო მასზე დიდს ავაზაკებს.

ი. გედევანიშვილი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტი-საბჭოთა პროვოკაცია ჩინეთში

ამხ. რიკოვის მოხსენება

სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობაზე

ვისი ხელი მოქმედობს

მოსკოვი, 12 აპრილი. ამხ. რიკოვი, რომელსაც ყრილობა მხურვალე ოვაციით ეგებება, ამბობს:

„სრულიად საკავშირო საბჭოთა ყრილობის მოახლოების გამო მე მინდოდა ამ ყრილობაზე არაფერი თქმულიყო საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ დღეებში მომხდარი ამბები მაიძულებენ ვსთქვა რამდენიმე სიტყვა ნოტების გაცვლა-გამოცვლის შესახებ ჩვენსა და ჩინეთის მთავრობას შორის. ჩვენ მთავრობას არ შეუწყვეტია დიპლომატიური ურთიერთობა ჩინეთის მთავრობასთან, მან მხოლოდ გამოიწვია ჩინეთიდან ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. ჩერნიხი.

ჩინეთში ადგილი ჰქონდა ჩვენ საელჩოზე თავდასხმას, საელჩოს მთელ რიგ თანამშრომლების გაძარცვას და დაპატიმრებას. დამახასიათებელია, რომ თავდასხმა ერთდაიმავე დროს მოხდა ჩინეთის მთელ რიგ ქალაქებში. შანხაიში მოხდა თავდასხმა ჩვენს საკონსულოზე; ტიანძინში—მთელ რიგ საბჭოთა დაწესებულებებზე. ცნობილია, რომ შანხაის მთავრობა არ ემორჩილება პეკინის მთავრობას. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა რაღაც ძალა, რომელმაც შესძლო მოეწყო თავდასხმა ჩვენზე მთელ რიგ ქალაქებში, და მოუკიდებლად იმისგან, თუ რომელი მთავრობის ტერიტორიაზე არიან ეს ქალაქები. იმპერიალისტური სახელმწიფოების მონაწილეობის და ხელმძღვანელობის გარეშე პეკინის მთავრობა ვერ შესძლებდა ამის განხორციელებას პასუხისმგებლობა ამ აღმაშფოთებელ და ჯერ არ ნახულ მოქმედებისათვის ეკისრება არა მარტო პეკინის მთავრობას, არამედ იმ სახელმწიფოებსაც, რომელნიც ხელს უწყობდენ და ხელმძღვანელობას უწევდენ ამ მოქმედებას, ვინაიდან დიპლომატიური კორპუსის ნებართვის გარეშე ჩან-ძო-ლინის რაზმებს არამც თუ არ შეეძლოთ გაეძარცვათ ჩვენი საელჩო, გამოეტანათ ქონება და დაეპატიმრებინათ თანამშრომლები, არამედ მათ არ შეეძლოთ იმ ტერიტორიაზე გასვლაც კი, რომელზედაც მოთავსებულია ჩვენი საელჩო. ეს თავდასხმა იმდენათ თავხედური და არაჩვეულებრივია, რომ მისგან უკვე გაიმიჯნა მთელი რიგი მთავრობებისა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჯერ არა გვაქვს ასეთი განცხადებები ინგლისის და იტალიის მთავრობისგან. ეს კი იმას მოწმობს, რომ არიან იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელმძღვანელობას უწევდენ მომხდარ თავდასხმას.



ამხ. რიკოვი

თავს ვერ გაიმართლებენ

პეკინის მთავრობა შეეცადა თავდასხმა აეხსნა მით, რომ ჩვენი წარმომადგენლობის მოსამსახურეებს შორის არიან პეკინის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები. მაგრამ თავდასხმამდე პეკინის მთავრობას ამის შესახებ ერთი განცხადებაც არ გაუკეთებია. მთელი ეს არგუმენტაცია წამოაყენეს მხოლოდ ეხლა, რომ როგორმე გაემართლებიათ ის ძალადობა, რომელიც ჩადენილ იქნა ჩვენი წარმომადგენლების მიმართ ჩინეთში. ასეთივე არგუმენტებით ცდილობენ თავის გამართლებას ზოგიერთი უცხო სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლები".

ამასთან დაკავშირებით ამხ. რიკოვს მოჰყავს ორი ფაქტი ჩინეთში მომხდარი ამბებიდან:

— როცა რამდენიმე წლის წინად ჩამოგდებულ იქნა ჩინეთის ერთ-ერთი მთავრობა, დიპლომატიურმა კორპუსმა თავშესაფარი მისცა მთელ რიგ ჩამოგდებულ მინისტრებს, რომელთაც სდევნიდა ჩინეთის ხალხი. როცა შანხაის მიდამოებში ჩრდილოეთის არმია დამარცხდა, შანხაის საერთაშორისო საკონსულო კორპუსმა არამც თუ მისცა თავშესაფარი ჩრდილოეთის არმიის ორი ათას ჯარისკაცს, არამედ გადაიყვანა კიდეც ისინი ცინდაოში ჩან--ძო-ლინის არმიასთან შესაერთებლად.

„ასეთ ფაქტების არსებობის დროს,—ამბობს ამხ. რიკოვი,—ჩვენ ბრალს გვდებენ იმაში, რომ ჩვენ საელჩოს მოსამსახურეებს შორის არის რამდენიმე ჩინელი, რომელნიც ემხრობიან გომინდანს და არა ჩან-ძო-ლინს. ზოგიერთი დიპლომატები ცდილობენ ეს ფაქტი ახსნან, როგორც საბჭოთა კავშირის ჩარევა ჩინეთის სამოქალაქო ომში, და იმავე დროს თვითონ თავის ტერიტორიაზე ინახავენ ერთ-ერთ მებრძოლ მხარის ჯარების მთელ რაზმებს".

შემდეგ ამხ. რიკოვი აღნიშნავს, რომ საელჩოზე თავდასხმის და სამხედრო ატაშეს გაჩხრეკის დროს საბჭოთა წარმომადგენელი არ დაუშვეს დასწრებოდა გაჩხრეკას და არც კი შეატყობინეს მას იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა იქ.

— წაიღეს არა მარტო დოკუმენტები, არამედ ავეჯი, ნივთები, ტანსაცმელი და სხვ. წაღებულ ნივთების სია არ შეუდგენიათ, რის გამო ჩვენ მთავრობას არ შეუძლია გამოარკვიოს თუ რა არის წაღებული.

ხმა ადგილიდან: არსებობს თუ არა ჯარი ჩვენი საელჩოს დასაცავად?

რიკოვი უპასუხებს:—მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენი სახელმწიფო—ერთად ერთი უცხო სახელმწიფოა, რომელსაც თავისი ჯარების არც ერთი რაზმი არა ყავს ჩინეთის ტერიტორიაზე (ხანგრძლივი ტაში).

თავდასხმის აზრი

ეხება რა საკითხს იმის შესახებ, თუ რა აზრი ჰქონდა ჩვენს საელჩოზე თავდასხმას, ამხ. რიკოვი აღნიშნავს, რომ მისი მიზანი იყო ჩვენი კავშირის წაჩხუბება ჩინეთთან. იმპერიალისტებს რომ შეეძლოთ გამოეწვიონ წითელი არმიის შეიარაღებული ბრძოლა ჩინელებთან ჩინეთის თუგინდ ერთ რომელიმე უბანში, ეს იქნებოდა საშინელი ლახვარი ჩინეთის რევოლიუციისათვის. მაშასადამე, თავდასხმის მთავარი მიზანია ასეთი შეტაკების გამოწვევა.

—მე მაქვს დოკუმენტი, ამბობს ამხ. რიკოვი, რომელიც მხოლოდ დღეს მიიღო მთავრობამ და რომელიც სავსებით ადასტურებს ზემოდთქმულს. დოკუმენტში ლაპარაკია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკ. გზის მდგომარეობაზე. გამოვაქვეყნებ მხოლოდ ერთ ადგილს:

„მთავარსარდალმა ჩან-ხუან-სიანმა განკარგულება მისცა მეზერავი ნაწილის უფროსებს მოიხმარიონ ყველა თანამშრომლები და მოახდინონ სასტიკი ჩხრეკა, რათა აუცილებლად იპოვონ საბჭოთა დაწესებულებებში იარაღის და კომუნისტური ლიტერატურის საწყობები, თუნდაც ამისთვის საჭირო შეიქნეს პოლიციის მთავარ სამმართველოს საკუთნოების მთელი მარაგის დახარჯვა".

— დოკუმენტიდან სჩანს, რომ აქ არის მთელი გეგმა, რომელიც აქ განისაზღვრება იმ თავდასხმებით, რომელთაც ადგილი ჰქონდა პეკინში, შანხაიში და ტიან-ძინში. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენ ჩინეთთან დავსდეთ ეგრეთ წოდებული პეკინის ხელშეკრულება, რომელიც თვით დასავლეთ ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიული პრესის სიტყვითაც კი თავისი სარგებლიანობით აღემატება ჩინეთის ყოველგვარ ოცნებას.

ჩვენ მაგარი ნერვები გვაქვს

ეს ხელშეკრულება არის ერთგვარი დროშა, რომლის ქვეშ სწარმოებს ჩინეთის ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ. უკანასკნელ პროვოკაციაზე ჩვენ უპასუხებთ ისეთივე შეურყეველი მშვიდობიანი პოლიტიკით, როგორსაც ჩვენი მთავრობა ატარებდა წარსულ წლების განმავლობაში. იმპერიალისტური ომის დროს ბევრი ამბობდა, რომ ომს მოიგებს ის, ვისაც უფრო მაგარი ნერვები აქვს. ჩვენ საკმაოდ გამობრძმედილი ვართ არალეგალურ და ლეგალურ ბრძოლებში. შემცდარია, ვისაც ჩვენი ნერვების სისუსტის იმედი აქვს. (ხანგრძლივი, მქუხარე ტაში).

თავდასხმა საბჭოთა კონსულზე კენიგსბერგში

ბერლინი, 11 აპრილი. „კენიგსბერგერ ალგემეინე ცეიტუნგის" ცნობით, 10 აპრილს საღამოთი კრუგშტრასეზე საბჭოთა კონსულს კენისბერგში კანტორის თავს დაესხა რამოდენიმე კაცი, რომლებმაც თავში ჯოხების დარტყმით წააქციეს ის მიწაზე. კანტორის ძახილზე მივიდა პოლიცია, რომელმაც დააპატიმრა 30-მდე კაცი.

მეორე ცნობით, ფაშისტების ჯგუფი, რომელიც ბრუნდებოდა კრებიდან, კრუგშტრასეზე შეხვდა ორ მამაკაცს და ორ ქალს, რომელნიც ლაპარაკობდენ რუსულად. მასწავლებელი ლეხელი მივიდა ხსენებულ 4 პირთან და ერთი მათგანი წააქცია მიწაზე. დაპატიმრებულმა ლეხელმა დაკითხვის დროს განაცხადა, რომ არ იცოდა ვისთან ჰქონდა საქმე. კონსულს უმნიშვნელოდ დაზიანებული აქვს ფეხი და ხელი. პროვინციის მთავრობის კომისარმა და კენიგსბერგის პოლიციის პრეზიდენტმა ინახულეს კონსული.

ყველა დაპატიმრებულები, გარდა, ლეხელისა, განთავისუფლებული არიან. (ადს).

გერმანიის მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს

ბერლინი, 11 აპრილი. გარეშე საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ დეპარტამენტის დირექტორმა ინახულა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბერლინში კრესტინსკი და გულწრფელი მწუხარება გამოსთქვა გერმანიის მთავრობის სახელით კენინსბერგში მომხდარი ინციდენტის გამო. (ადს).

საკოს და ვანცეტის

პროტესტი

ნიუ-იორკი, 11 აპრილი. საკომ და ვანცეტიმ პროტესტით მიმართეს სასამართლოს სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის გამო. საკო და ვანცეტი კვლავ აცხადებენ, რომ სრულიად უდანაშაულონი არიან და ამხილებენ კლასიურ სასამართლოს (ადს).

ამხ. დოვგალევსკი

იაპონიის პრემიერთან.

ტოკიო, 11 აპრილი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იაპონიაში ამხ. დოვგალევსკი სრულუფლებიან წარმომადგენლობის მრჩევლის ამხ. ზეხდოვსკის თანხლებით ეწვია იაპონიის პრემიერს ვაკაცუკის (ადს).

საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის შემდეგ

დაპატიმრებულები კიდევ არ განთავისუფლებიათ

პეკინი, 11 აპრილი. საელჩოს დაპატიმრებულ რუს თანამშრომლების დაკითხვა და გატაცებულ დოკუმენტების განხილვა გრძელდება. გაზეთ „ინ-შიბაო“-ს ცნობით, ვიცე-კონსული და ორი სტუდენტი (თარჯიმანები) მალე იქნებიან განთავისუფლებული. სააგენტო „მოვენ“-ის ცნობით, პეკინის უნივერსიტეტის ლექტორმა და ნაციონალური უნივერსიტეტის რექტორმა პეკინში ინახულეს ჩან-სუე-ლიანი და მოითხოვეს, რომ ლი-ტაი-ჩაო, როგორც გამოჩენილი მეცნიერი, გადაეცეს სამოქალაქო სასამართლოს, ხოლო მისი ქალიშვილები დაუყოვნებლივ განთავისუფლებული იქნენ (ადს).

გაო-ტაი-ჩის დეპეშა

მოსკოვი, 12 აპრილი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის შეკითხვის საპასუხოდ ძიან-სუს პროვინციის გარეშე საქმეთა კომისარმა გაო-ტი-ჩიმ გამოგზავნა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მოადგილის ამხ. კარახანის სახელზე შემდეგი დეპეშა:

„საკონსულო გარშემორტყმულია ინგლისელების მუნიციპალური პოლიციით და მოხალისეების მიერ, როგორც სჩანს, მუნიციპალურ ხელისუფლების განკარგულებით, რის გამო ფაქტიური პასუხისმგებლობა ეკისრება შანხაის საკონსულო კორპუსს. მე პროტესტს ვაცხადებ. გაო-ტაი-ჩი“.

გულახდილი აღიარება

ტოკიო, 11 აპრ. ჩინეთის ელჩმა იაპონიაში ოფიციალურად განაცხადა, რომ ჩან-ძო-ლინსა და უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის პეკინში მოხდა წინასწარი შეთანხმება საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის შესახებ. (ადს).

400.000 გირ. სტერლინგი „საჩუქრათ“ ჩან-ძო-ლინს.

პეკინი, 11 აპრ. ჩინეთის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ინგლისი ყოველივე ღონეს ხმარობს, რათა ჩაითრიოს შეერთებული შტატები და იაპონია ბრძოლაში საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ნაციონალურ მოძრაობის წინააღმდეგ. ჭორი იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა საელჩოს გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა იაპონიის საწინააღმდეგო შეთქმულება, მიზნად ისახავს იაპონიის ჩათრევას ინგლისის პოლიტიკაში. პირველი ჯილდო, რომელიც ინგლისმა მისცა ჩან-ძო-ლინს საელჩოზე თავდასხმისათვის, შეადგენს 400.000 გირ. სტერლინგს. ეს თანხა ჩინეთის საბაჟოების ინგლისის ინსპექტორმა ეგლენმა გადაუგზავნა შანხაი-გონკონგის ბანკს, რომელმაც ის გადასცა დანიშნულებისამებრ. (ადს.).

თავხედობა გრძელდება

ლონდონი, 11 აპრ. რეიტერის პეკინელი კორესპონდენტის ცნობით, ნებართვას, რომელიც პეკინის ხელისუფლებამ მისცა დიპლომატიურმა კორპუსმა საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობებში ჩხრეკის მოხდენის შესახებ, ორჯელ გაუგრძელეს ვადა იმ მიზნით, რომ პოლიციისათვის ჩხრეკის გაგრძელების საშუალება მიეცათ.

მუნიციპალურ საბჭოს „მზრუნველობა“

ლონდონი, 11 აპრილი. ინგლისის ოფიციალური რადიო იუწყება, რომ შანხაის საერთაშორისო უბნის მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარე ფესენდენმა საბჭოს სახელით გამოაქვეყნა ცნობა იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულია საბჭოთა საკონსულოს მიმართ შანხაიში. ცნობაში ნათქვამია, რომ საერთაშორისო უბნის პოლიციის კომისარმა, როგორც კი შეიტყო ჩან-ძო-ლინის ჯარების თავდასხმის შესახებ საბჭოთა საელჩოზე პეკინში, დაუყოვნებლივ მიიღო ზომები საბჭოთა საკონსულოს დასაცავად, ვინაიდან მას ჰქონდა მრავალი ცნობები შანხაის საბჭოთა საკონსულოს მიმართ უაღრესად მტრული განწყობილების არსებობის შესახებ. პოლიციის კომისარმა საკონსულოს შენობის ირგვლივ დააყენა პოლიციელების დამცველი რაზმი. ვინაიდან მოსალოდნელი იყო საკონსულოზე თავდასხმა, მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარემ წინადადება მისცა პოლიციის კომისარს გაეძლიერებია საკონსულოს დამცველი რაზმი და გაეჩხრიკა ყველა ვინც შევიდოდა საკონსულოში, ან გამოვიდოდა იქიდან, მათთვის იარაღის აღმოჩენის მიზნით. (ადს).

ჩემბერლენი იცავს „სამართლიანობას“

ლონდონი, 11 აპრილი. უპასუხა რა შეკითხვაზე საბჭოთა საელჩოს შენობაზე თავდასხმის შესახებ პეკინში, ჩემბერლენმა თემთა პალატაში დაწვრილებით დაახასიათა, რაც მოხდა, წაიკითხა ჩინეთის ხელისუფლების მიერ 6 აპრილის თარიღით გამოქვეყნებული ცნობა და გამოაქვეყნა უდენდეიკის წერილი, რომელშიაც ის აცხადებს, რომ ყველა დაპატიმრებული შესაფერად უნდა იქნენ გასამართლებული.

კენვორტი (მუშათა პარტიის წევრი) შეეკითხა ჩემბერლენს, რა გარანტია არსებობს, რომ საელჩოს ფარგლებში დაპატიმრებულ ჩინელებს რიგიანათ ეპყრობიან და რომ მათ გაასამართლებენ?

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ გარანტიების მოთხოვნა ადვილია, მაგრამ ჩინეთში არსებულ პირობებში არც ისე ადვილია იმის გამორკვევა, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს გარანტიები. შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ რამდენათაც მან იცის, ცნობა იმის შესახებ, თითქოს ზოგიერთი დაპატიმრებული ჩინელები უკვე სიკვდილით დასჯილნი არიან, არ შეეფერება სინამდვილეს. ჩემბერლენმა დასძინა, რომ მან პალატას გააცნო ყველა ცნობები, რომლებიც მის ხელთ იყო და მისთვის აშკარაა, რომ ოქმზე ხელის მომწერი სახელმწიფოები მართალნი არიან, როცა ამბობენ, რომ საელჩოთა უბანში არ შეიძლება ისეთი პირების დამალვა, რომელნიც შეთქმულებას აწყობენ ადგილობრივ ხელისუფლების წინააღმდეგ (ადს).

საბჭოთა საკონსულოს ბლოკადა გრძელდება

ბერლინი, 11 აპრ. საბჭოთა საკონსულოს ბლოკადა გრძელდება სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი საკონსულოსთან შეწყვეტილია. საბჭოთა ბანკი დაიხურა. ერთდროული გამოსვლა საბჭოთა წარმომადგენლობის წინააღმდეგ პეკინში, შანხაიში და ტიან-ძინში მოწმობს, რომ ამ საკითხის შესახებ არსებობდა წინასწარი შეთანხმება. (ადს.).

საბჭოთა ნოტის გამოძახილი

საფრანგეთში

საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილებებს სამართლიანად თვლიან.

პარიზი, 11 აპრ. „ლე სუარი“ პეკინის მთავრობისადმი გაგზავნილი საბჭოთა ნოტის შესახებ სწერს, რომ საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილებანი სავსებით დასაბუთებულია, ვინაიდან თვით საელჩოს კორპუსმა სცნო, რომ ჩან-ძო-ლინმა ბოროტად გამოიყენა მისთვის მიცემული ნებართვა. (ადს).

გერმანიაში

გერმანიის პრესა საბჭოთა ნოტის შესახებ.

ბერლინი, 11 აპრილი. გერმანიის გაზეთები აქვეყნებენ საბჭოთა მთავრობის ნოტას ჩინეთის საქმეთა რწმუნებულისადმი უმეტეს შემთხვევაში უკომენტარიოდ. სათაურებში ზოგიერთი გაზეთი ხაზს უსვამს საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილებების ზომიერებას (ადს).

ინგლისში

ლონდონი, 11 აპრ. გაზეთების უმრავლესობა აქვეყნებს პეკინის მთავრობისადმი გაგზავნილი საბჭოთა ნოტის ტექსტს. ზოგ გაზეთს ნოტის სრული ტექსტი მოჰყავს, ზოგს კი შემოკლებული სახით. (ადს).

შვეციაში

მოითხოვენ ნეიტრალიტეტის დაცვას.

სტოკჰოლმი, 11 აპრ. შვეციის პრესა აქვეყნებს საბჭოთა კავშირის ნოტას პეკინის მთავრობის მიმართ. უმეტეს შემთხვევაში გაზეთები თავს იკავებენ კომენტარიებისაგან და კმაყოფილდებიან იმის აღნიშვნით, რომ ნოტა მოწმობს საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის მოყვარეობას. ყველა გაზეთები აცხადებენ, რომ შვეციის ელჩს არ მიუღია მონაწილეობა ჩან-ძო-ლინისათვის გაჩხრეკის ნებართვის მიცემაში და აღნიშნავენ, რომ შვეციამ ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას შესაძლო კონფლიქტში საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის.

იმპერიალისტების პროვოკაციის წინააღმდეგ

საბჭოთა კავშირის მშრომელთა პროტესტი

საპროტესტო დემონსტრაციები მოსკოვში.

მოსკოვი, 12 აპრილი. მოსკოვის ქუჩები სავსეა საპროტესტოდ გამოსული მრავალი ასი ათასი მშრომელებით. შუადღის ორი საათიდან ფაბრიკებსა და ქარხნებში დაიწყო მიტინგები. დემონსტრანტებიდან მწყობრი რიგები ყველა რაიონებიდან გაემართენ დიდი თეატრისაკენ, სადაც საბჭოთა ყრილობის სხდომაა. დღის 4 საათზე შესწყდა ტრამვაის და ავტობუსის მოძრაობა ცენტრის მახლობლად მდებარე ქუჩებში. დიდ თეატრთან ავტომობილებზე არიან ყრილობის დელეგატები. მათ შორის არის ამხ. რიკოვი.

ავტომობილების გვერდით მიდიან დემონსტრანტების ურიცხვი კოლონები: მუშები, სტუდენტები, სტუდენტ-ქალები, მოსამსახურენი, პიონერები, მოსწავლენი და წითელარმიელები.

მშრომელთა მოსკოვის კოლექტიური საპროტესტო ლოზუნგია:

„ჩვენ მთავრობისაგან მოვითხოვთ გადამჭრელ ზომებს იმპერიალისტური ბანდიტების წინააღმდეგ.

ჩვენ არ დაუშვებთ ჩვენი წარმომადგენლების აბუჩად აგდებას.

ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ თავდაცვისათვის ყოველთვის მზად ვართ“.

მშრომელთა მისალმებებზე უპასუხა ამხ. კალინინმა, რომელმაც მთელი ყრილობის სახელით განაცხადა, რომ ყრილობა არ შედის ეჭვში, რომ, როცა დადგება კავშირის არსებითი ინტერესების დაცვის მომენტი, მოსკოვის პროლეტარიატი, როგორც ყოველთვის, იყო, არის და იქნება მუშათა და გლეხთა ინტერესებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ამხ. კალინინის სიტყვა მხურვალე ტაშმა დაჰფარა (ადს).

ხელოვანთა პროტესტი

ლენინგრადი, 12 აპრილი. ა. ქ. გლაზუნოვის თავმჯდომარეობით გაიმართა ლენინგრადის დრამატიულ და მუსიკალურ მწერალთა საზოგადოების წევრთა საერთო კრება. კრებამ ერთხმად გამოიტანა, რეზოლიუცია, რომლითაც ჩინელ და რუს თეთრგვარდიელთა თავდასხმას, ინგლის - ამერიკის იმპერიალისტების წაქეზებით, სთვლის საბჭოთა კავშირის ჩათრევის ცდათ ახალ ომში.

„ვესალმებით რა საბჭოთა მთავრობას, — ნათქვამია რეზოლიუციაში. — ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ის გადამწყვეტ ზომებს მიიღებს ჩვენი ქვეყნის სახელისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის. (ადს)

პროტესტები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან

რიბინსკი, 12 აპრილი. პეკინში მომხდარმა ამბებმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვიეს რიბინსკის მუშა-მოსამსახურეებში. ყველა წარმოება - დაწესებულებებში გაიმართა საპროტესტო მიტინგები იმპერიალისტების გაუგონარი პროვოკაციის წინააღმდეგ. (ადს)

სამარა, 12 აპრილი. გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგები პეკინში საბჭოთა წარმომადგენლობის თანამშრომლებზე თავდასხმის წინააღმდეგ. (ადს)

პენზა, 12 აპრილი. პეკინში მომხდარ ამბების გამო ყოველდღე ფაბრიკებსა, ქარხნებსა და დაწესებულებებში იმართება საპროტესტო მიტინგები. მუშები მოითხოვენ დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. (ადს)

სტალინგრადი. 12 აპრილი. ჩინეთის ამბების გამო, ყველა წარმოებებში იმართება დიდი საპროტესტო მიტინგები. მუშები მოითხოვენ გადამჭრელი ზომების მიღებას იმპერიალისტების ძალადობის წინააღმდეგ. (ადს)

საქართველოს მშრომელთა ხმა

თბილისის ალმასკომის 1-ლი სტამბის რეზოლიუცია.

მოისმინა რა ამხ. ხოსიანის მოხსენება ჩინელ და ინგლისელ იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების ვერაგული თავდასხმის შესახებ საბჭოთა საელჩოზე პეკინში და შანხაიში, თბილისის ალმასკომის პირველი სტამბის მუშათა საერთო კრება, გამოთქვამს ღრმა აღშფოთებას იმპერიალისტების ამ მორიგი ვერაგობის გამო. კრება აღნიშნავს, რომ ჩინეთის ძლევამოსილი ეროვნულ განმანთავისუფლებელი რევოლიუცია, რომელიც თანდათანობით ღრმავდება და ვითარდება წალეკავს ყველა ჯურის შინაურ და გარეშე იმპერიალისტებსა და მილიტარისტებს. საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები ღრმა სიმპატიითა და ძმური თანაგრძნობით უცქერიან ჩინეთის მშრომელ ხალხს, რომელიც გმირულ ბრძოლით ინთავისუფლებს თავს იმპერიალისტების უღლიდან. ჩინეთის რევოლიუციის ძლევამოსილ განვითარების მიზეზად იმპერიალისტები, განსაკუთრებით ინგლისის იმპერიალიზმი, როგორც ყოველთვის ეხლაც მოსკოვს ასახელებენ. ამიტომ არის, რომ მათ მიერ მოსყიდული ჩინელი რეაქციონერები და ოქტომბრის რევოლიუციის მიერ საბჭოთა კავშირიდან გაძევებული რუსი-თეთრგვარდიელები თავს დაესხნენ ჩვენს წარმომადგენლობას ჩინეთში და დაარბიეს იგი. იმპერიალისტებს სურთ ომში და სისხლის ღვრაში ჩაითრიონ საბჭოთა კავშირი, რომელიც მშვიდობიან აღმშენებლობას ეწევა. გამოვთქვამთ, რა ღრმა აღშფოთებას იმპერიალისტების ამ ახალ ვერაგობის წინააღმდეგ, ჩვენ ვაცხადებთ, რომ არ წამოვეგებით მათი პროვოკაციის ანკესზე. ჩვენ სავსებით სწორად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯი. ჩვენ გვწამს, რომ გამარჯვებული ჩინეთის რევოლიუცია და ჩინეთის მშრომელი ხალხი შესაფერ პასუხს გასცემს გათავხედებულ იმპერიალისტებს საბჭოთა კავშირის შეურაცყოფისათვის.

გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციას!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობას!

ძირს საერთაშორისო იმპერიალიზმი!

ძირს პეკინისა და შანხაის მახინატორები და ყაჩაღები!

მიტინგი თბილისის საყუდში.

გუშინ, 12 აპრილს, დღის 3 საათზე, თბილისის საყუდის და სარონოდლ ფარეზში შესდგა მუშა-მოსამსახურეების გაერთიანებული კრება პეკინში მომხდარ თავდასხმის გამო.

მოხსენება გააკეთა ამხ. კეკელიძემ, რომელმაც აღნიშნა ჩინეთის სამხედრო და პოლიციის რაზმის ყაჩაღურად თავდასხმა პეკინში საბჭოთა სამხედრო ატაშეს და საელჩოს თანამშრომელთა ბინებზე.

მუშა-მოსამსახურეთა კრებამ, რომელსაც დაესწრო 1500-მდე კაცი, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მთავრობას საკმაო ტეხნიკური საშუალებები გააჩნია, და აგრეთვე ძლიაც ხელს უწყობს, ის მაინც უარს აცხადებს ომზე, ვინაიდან საბჭოთა მთავრობა მშვიდობიანობისაკენ მიისწრაფის და არავითარ პროვოკაციულ მახეში არ გაებმება; თუ არ შესწყვიტეს უცხო იმპერიალისტებმა თავიანთი პროვოკაცია და საბჭოთა სოციალისტური მშენებლობა დარღვეული იქნა, ჩვენ, მუშა-მოსამსახურეები, მზათა ვართ სათანადო პასუხი გავცეთ სოციალიზმის მოსისხლე მტრებს“.

მუშკორი ლევ. გუნია.

კოლოფების ქარხანაში.

(თბილისი)

12 აპრილს შესდგა 1-ლ სახელ. კოლოფების ქარხნის „ინტერნაციონალი“-ს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 300-მდე მუშა. კრებამ მოისმინა ამხ. გამბაროვის ცნობა პეკინის პოლიციის და ჩინეთის რეაქციონურ სამხედრო რაზმების მხეცურად თავდასხმის შესახებ საბჭოთა წარმომადგენლობაზე. რაზედაც მუშა-მოსამსახურეები გამოსთქვამენ დიდ აღშფოთებას და უცხადებენ პეკინის მთავრობას უსასტიკეს პროტესტს.

მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები ლამობენ ჩაითრიონ საბჭოთა კავშირი სისხლის მღვრელ ომში, მაგრამ საბჭოთა კავშირის პროლეტარული ხელისუფლება იმპერიალისტების ბოროტ ზრახვებს წინასწარ ალღოს უღებს და არ ებმება მათ ანკესზე

— ჩვენ არ გვინდა ომი,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—მხოლოდ თუ კი ვინმე მოინდომებს ჩვენი მშვიდობიანი შრომის დარღვევას, ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი, ვიბრძოლებთ ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

ბორჯომში.

ბორჯომი, 12 აპრილი. მუშების მრავალრიცხოვანმა კრებამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე ჩინელ მილიტარისტების თავდასხმის წინააღმდეგ. რეზოლიუციაში მუშები მიმართავენ საბჭოთა მთავრობას წინადადებით მიიღოს ენერგიული ზომები მოძალადეების წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ ისინი, როგორც ერთი კაცი, მზად არიან საბჭოთა მთავრობის მოწოდებისთანავე გამოვიდნენ ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად (ადს).

ბათომში.

ბათომი, 12 აპრილი. რემედასის უჯრედების მდივანთა თათბირმა ერთხმად გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია ნანკინისათვის მხეცურად ყუმბარების დაშენის და საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმის წინააღმდეგ პეკინში და შანხაიში (ადს).

ლაყბობა განიარაღების შესახებ

ბერლინი, 11 აპრილი. განიარაღების კონფერენციის მომზადებელ კომისიის სხდომაზე ჟენევაში სესილმა განაცხადა, რომ საფრანგეთის შეცვლილი წინადადება სახღვაო განიარაღების საკითხის შესახებ არ ეთანხმება ინგლისის უშიშროების ინტერესებს. საფრანგეთის წინადადება უარჰყო აგრეთვე შემდეგ გამოსულმა იტალიელმა დელეგატმა. ზოგიერთი გაზეთის აზრით, ჟენევის მოლაპარაკება სულ უფრო და უფრო ექცევა ჩიხში, რომლიდანაც გამოსავალი არსად სჩანს (ადს).

მემაღაროეთა გაფიცვის გამოძახილი

ლონდონი, 11 აპრილი. თემთა პალატაში ბიუჯეტის განსახილველად წარდგენის დროს ფინანსთა მინისტრმა ჩერჩილმა 1926—27 წლის დეფიციტი, რომელიც დაახლოვებით 37 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრის, ახსნა ხაზინის შემოსავლის შემცირებით და ხარჯების გადიდებით, რაც გამოიწვია საყოველთაო გაფიცვამ და აგრეთვე მემაღაროეთა გაფიცვამ. ამ გაფიცვებმა დაახლოვებით 32 მილიონი გირვანქა სტერლინგის ზარალი მიაყენა სახელმწიფოს (ადს).

საფრანგეთთან მოლაპარაკების გარშემო

პარიზი, 11 აპრილი. ჰავასის სააგენტო იტყობინება: „ზოგიერთი გაზეთების ცნობების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე მალე იქნება მიღწეული შეთანხმება განსაკუთრებით იმ კრედიტების საკითხზე, რომელთაც საბჭოთა კავშირი მოითხოვს. ამის გამო ფინანსთა სამინისტრო უარყოფს ამ ხმებს ისევე, როგორც ამას უარყოფს ამ ხმებს გარეშე საქმეთა სამინისტრო. კერძოდ აღნიშნავენ, რომ კრედიტების საკითხისადმი პრაქტიკულად მიდგომა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა არსებითი მუხლები ვალების მოწესრიგების საკითხში საბოლოოდ იქნებიან ჩამოყალიბებული. ამჟამად შეთანხმება ვალების შესახებ არ არის მიღწეული“. (ადს).

ლატვიის მუშები მოითხოვენ

საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადებას

რიგა, 11 აპრილი. ლატვიის რეფორმისტულ პროფკავშირების კონგრესმა რიგაში ადგილებიდან გაგზავნილ დელეგატების და პროფკავშირთა ქვედა საფეხურის მუშაკების მოთხოვნით მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მთავრობისაგან მოითხოვს საბჭოთა კავშირთან საგარანტიო და სავაჭრო ხელშეკრულების დადებას. (ადს).

ფაშისტების შურისძიება

სანტოს და სხვების საქმე

ვენა, 12 აპრილი. დღეს ბუდაპეშტის საგანგებო სასამართლოში დაიწყო 21 ბრალდებულის პროცესი.

თავმჯდომარემ ტერეკი, პროცესის წინადღით პროკურორმა მისცა განკარგულება ჟანდარმისა და სამღვდელოებას დაესწრონ პროცესს იმ მიზნით, რომ მოემზადონ მონაწილეობისათვის სიკვდილით დასჯაში, რომელიც საგანგებო სასამართლოს შესახებ არსებულ კანონის თანახმად, უნდა მოხდეს ნახევარი საათის განმავლობაში განაჩენის გამოტანის შემდეგ.

პასუხისგებაში მიცემულ პირებისათვის წაყენებული ბრალდების ძირითადი პუნქტი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული. მზადება აჯანყებისათვის კომინტერნის დავალებით არსებული წყობილების დასამხობად, უნგრეთის კონსტიტუციის გაუქმების და პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადების განზრახვა.

ბრალდებულებს იცავს ბუდაპეშტის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის უფლების პროფესორი და ინგლ. საელჩოს იურისტკონსულტი ბუდაპეშტში ვამბერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი სოც.-დემოკრატი ხებელტი და ყოფილი მთავარი დამცველი რაკოშის პროცესზე ლენგიელი.

მასები „ბელადების“ წინააღმდეგ

გერმანელ მენშევიკების კონფერენციაზე

ბერლინი, 11 აპრილი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინ - ბრანდენბურგის ორგანიზაციის კონფერენციაზე უმრავლესობა იცავდა ოპოზიციონერ თვალსაზრისს პარტიულ ხელმძღვანელების ცენტრალურ პარტიულ ორგანოს „ფორვერტს“-ის წინააღმდეგ. უმრავლესობა მოითხოვდა ბერლინ - ბრანდენბურგის ორგანიზაციის ცალკე გაზეთის გამოცემას. განსაკუთრებით სასტიკ კრიტიკაში გაატარეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგარეო პოლიტიკა. უმრავლესობა ხაზ გასმით აღნიშნავდა, რომ შტრეზემანის პოლიტიკა არ შეიძლება სოციალ - დემოკრატიის პოლიტიკას წარმოადგენდეს.

პარტიის პრეზიდიუმის თვალსაზრისს იცავდა კრისპიენი. მან ხაზ გასმით აღნიშნა, რომ შტრეზემანი ატარებს თავის დროზე სოციალ - დემოკრატების მიერ დაწყებულ პოლიტიკას, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ანხორციელებდნენ მეორე ინტერნაციონალის ბიუროსთან მუდმივ კონტაქტით.

კონფერენციის უმრავლესობამ დაადგინა გამოუშვას ცალკე გაზეთი. (ადს)

ტიციანის სურათის აღმოჩენა

ლონდონი, 11 აპრილი. „დეილი მეილ“-ის ცნობით, ნიუ-იორკში შეისყიდეს ტიციანის მიერ დახატული პორტრეტი, რომელიც აღმოჩენილ იქნა ერთ-ერთ კოშკში დიჟონის მახლობლად. პორტრეტში გადაიხადეს 200.000 გირვანქა სტერლინგი (2 მილიონი მანეთი); პორტრეტი შეისყიდეს ამერიკელებმა. ეს სურათი გამოფენილი იქნება ხელოვნებათა მუზეუმში („მეტროპოლიტენ“). ამ სურათის შეძენის შემდეგ ამერიკელების მიერ ევროპის ხელოვნებათა განძეულობის შესყიდვაზე დახარჯული თანხა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში უდრის 40 მილიონ გირვანქა სტერლინგს (400 მილიონ მანეთს).

პარტიული ცხოვრება

ოსტატებს შორის მუშაობის შესახებ

რესპუბლიკების ყველა ცენტრ. კომიტეტებს და დედა-ქალაქების ყველა კომიტეტებს

ჩვენი სოციალისტური მრეწველობის წარმატებით განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობა არის მუშათა ფართო მასების ჩაბმა წარმოების მმართველობის მონაწილეობაში, თვით მუშათა წრიდან მომზადება წარმოების ხელმძღვანელთა და ორგანიზატორთა ყველა სამეურნეო საფეხურებზე და სწორი ურთიერთობის დამყარება საწარმოო — სამეურნეო მექანიზმის ყველა ნაწილებს შორის.

პარტიული დირექტივების სისწორით შესრულება სამეურნეო აღმშენებლობის დარგში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მეურნეობის დაბალი საფეხურის ორგანიზატორების სწორად დაყენებული მუშაობისაგან,—ცეხსა და სახელოსნოში, — ოსტატისაგან.

ოსტატი პირველი ადმინისტრატორ - ორგანიზატორია წარმოებაში. იგი არის ქარხნის მმართველობის დირექტივების გამტარებელი და უფროსი ამხანაგი მუშებისათვის, იგი არის შემაკავშირებელი ჯაჭვი მუშებისა და ქარხნის მმართველობის შორის. მისგან ბევრი რამ არის დამოკიდებული ცეხსა და სახელოსნოს მუშაობაში, როგორც სამეურნეო დარგში, ისე მუშათა აქტივიდან წარმოების ახალი ორგანიზატორების და ხელმძღვანელების მომზადების დარგში. ოსტატის მდგომარეობის გაურკვევლობა წარმოებაში ხშირად იწვევს იმას, რომ ქარხნის მმართველობის განკარგულებათა შესრულებას თან სდევს კონფლიქტი ოსტატსა და მუშებს შორის და პირიქით, მისწრაფებას მუშებთან კარგი ურთიერთობის შექმნისა მოაქვს ზიანი წარმოების ინტერესებისათვის.

პარტიამ დიდი მუშაობა შეასრულა წითელი დირექტორების მიმართ და ამით სოციალისტური მრეწველობა უზრუნველჰყო მეურნეობის ხელმძღვანელთა აუცილებელი კვალიფიციური კადრით. წითელი დირექტორის საზოგადოებრივი მდგომარეობა განმტკიცდა. ასეთივე მუშაობა აუცილებლად უნდა ჩატარდეს დაბალი საფეხურის მეთაურთა შემადგენლობის—ოსტატების მიმართაც. ეს აუცილებლობა განსაკუთრებით აშკარავდება მსხვილ წარმოებებში, სადაც არიან ძველი ხელოსნების მნიშვნელოვანი კადრი, რომელთაც ცოდნა მიღებული აქვთ ძველ კაპიტალისტურ ფაბრიკებში, იცნობენ წარმოების საიდუმლოებებს და სხვ. ჩვენს სოციალისტურ ფაბრიკებში საჭიროა ოსტატი — საზოგადოებრივი მუშაკი, ოსტატი — მუშებისათვის უფროსი ამხანაგი და მასწავლებელი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს რა ამ ამოცანის უდიდეს მნიშვნელობას და იმას, რომ დღემდე ადგილების მუშაობაში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ამ ამოცანას, წინადადებას იძლევა, რომ პარტორგანიზაციების და პროფკავშირების მთელი ყურადღება მიპყრობილ იქნას ოსტატებს შორის მუშაობის საკითხებისაკენ. კონკრეტულად აუცილებელია შემდეგი ღონისძიებათა ჩატარება:

1) ოსტატების აღრიცხვის მოგვარება წარმოებებში;

2) მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ ოსტატების თანამდებობაზე მუშათა საწარმოო აქტივიდან იქნან დაწინაურებული და გაძლიერდეს მათი კომუნისტური შემადგენლობა.

3) პერიოდულად იქნას მოწვეული ოსტატებისა და ქარგლების თათბირი, როგორც პარტიული, პროფესიონალური, ისე სამეურნეო ხაზით, (სასურველია საწარმოო პრინციპის მიხედვით).

4) გაძლიერებულ იქნას ხელოსანთა მიზიდვა წარმოების სხვადასხვა თათბირებში მონაწილეობისათვის (საერთო საქარხნო, საწარმოო თათბირები, საცეხო საწარმოო თათბირები და კომისიები) და დაუახლოვდნენ ისინი წითელი დირექტორების კლუბების მუშაობას, სადაც ეს კლუბები არის.

5) რეგულიარულად იქნას მოსმენილი ანგარიშები და მოხსენებები მუშათა საცეხო კრებებზე და კომუჯრედებში.

6) ჩატარებულ იქნას ფართო ახსნა - განმარტებითი კამპანია, განემარტოს მუშებს და განსაკუთრებით მუშა-ახალგაზრდობას და შეგირდებს, თუ როგორი როლი და მნიშვნელობა აქვს ოსტატს სოციალისტურ აღმშენებლობაში, და ამ გზით განვამტკიცოთ ნდობა მისდამი და მივიღოთ მისგან პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება და მითითებანი. ამასთანავე ოსტატები უნდა დავაინტერესოთ შეგირდების კარგად დაყენებაში.

ამავე დროს აუცილებელია ოსტატებსაც შევაგნებინოთ, რომ ხელოსანი ავტორიტეტი მუშის თვალში, უპირველეს ყოვლისა, თვითონ მან უნდა შექმნას მუშებისადმი თავისი ამხანაგური მოპყრობით, ცოდნით და ინიციატივით და მუშებთან ერთად მონაწილეობით არა მარტო საწარმოო, არამედ წარმოების საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ოსტატებს უნდა შევაგნებინოთ აგრეთვე ე. წ. „საიდუმლოებების“ დაცვის სრული უნაყოფობა და მავნებლობა.

შესრულებული მუშაობის შედეგები უნდა გაშუქებული იქნას მორიგ ანგარიშებში და მოხსენებებში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მდივანი **ნაზარეტიანი**.

პარტდატვირთვა ლენრაიონში

საქართველოს [illegible] ლენინის რაიონის საორგანიზაციო თათბირმა უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა [illegible] კომისიის წევრის მოხსენება [illegible] გამოკვლევის შედეგთა შესახებ. კომისიას [illegible], თუ რამდენად [illegible] შეადგენდა გამორკვევა, თუ რამდენად სისწორით იქნა განხორციელებული რაიკომის და ქვემდგომი პარტორგანიზაციების დადგენილება ამ საკითხის შესახებ პარტიულების სწორხომიერი დატვირთვის დარგში.

კომისიამ გამოიკვლია სამი ტიპიური უჯრედი: სატრანსპორტო, რონოდის პარკი, საბჭოთა—ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო, და საფაბრიკო-საქარხნო—ტიპოლიტოგრაფია. კომუნისტების საერთო რიცხვიდან ამ სამ უჯრედში დატვირთვა აქვთ 46 პროცენტს. პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულთა საერთო რიცხვიდან მუშაობის დარგების დაგვარად კომუნისტების დატვირთვა მოვალეობის რიცხვის მიხედვით ყველა სამ უჯრედში ამგვარია:

პარტიული და კომკავშირის ხაზით—118 კომუნისტი ასრულებს 188 მოვალეობას.

პროფსაბჭოთა ხაზით—103 კომუნისტი ასრულებს 130 მოვალეობას,

კოოპერაციისა და ნებაყოფლობითი საზოგადოებების ხაზით—72 კომუნისტი ასრულებს 93 მოვალეობას.

68 კომუნისტი ასრულებს 73 სხვადასხვაგვარ ხასიათის მოვალეობას.

ამგვარად, ამ სამ უჯრედში პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმული 185 კომუნისტი ასრულებს 484 მოვალეობას, რაც საშუალოდ ერთ პარტიულზე შეადგენს 2,6 მოვალეობას.

ამ კომისიის მიერ შეტანილი პრაქტიკული წინადადებანი გამოკვლევის მასალების მიხედვით, რომელიც მიიღო საორგანიზაციო თათბირმა, შემდეგში მდგომარეობს:

პარტიულთა დატვირთვის მოგვარების დარგში აღნიშნულ უნდა იქნას მთელი რიგი მიღწევანი წარსული წლის გამოკვლევასთან შედარებით:

1) შემცირდა მოვალეობათა რაოდენობა ერთ პარტიულზე იმის მეოხებით, რომ ეს მოვალეობანი თანასწორად იქნა განაწილებული უჯრედის ყველა წევრებს შორის (შემთხვევები, როცა ერთი ამხანაგი ასრულებდა 10—12 მოვალეობას, ეხლა აღარ არსებობს, მხოლოდ 5—7 მოვალეობა მოდის სამ უჯრედში ჩაბმულ მომუშავეთა 17 პროცენტზე).

2) გაძლიერდა კომუნისტების ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში პარტიის ახალგაზრდა წევრთა ხარჯზე (სამ უჯრედში ჩაბმულთა საერთო რიცხვიდან, რომელთაც შეეხო გამოკვლევა,—63 პროც. შეადგენენ ახალგაზრდა წევრები).

3) პარტმუშაობის გეგმიანი განაწილების დარგში უნდა აღინიშნოს უფრო სწორი გეგმა ადგილებზე იმისა, თუ რა ჩაითვლება პარტიულ მოვალეობათ (უჯრედების ბიუროების წევრები, საუჯრედო კომისიების წევრები, პარტორგანიზატორები, საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა, ქალთა შორის მუშაობა, კომკავშირში მუშაობა, ხელმძღვანელობითი მუშაობა კოოპერატიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციებში და ნებაყოფლობით საზოგადოებებში).

ამავე დროს თათბირი ამ დარგში სცნობს, რომ რაიკომის დირექტივა მთელი პარტმასის პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმის შესახებ პარტდატვირთვის მოწესრიგების გზით, არასრულად განხორციელდა, სახელდობრ:

1) პარტიულების 50 პროც. დატვირთვის გარეშეა.

2) პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულ კანდიდატთა ფენების პროცენტი არაა საკმაო.

3) პარტიულების მიერ 5,6 და 7 მოვალეობის შემთხვევებს კვლავ აქვს ადგილი უჯრედებში (17 პროც. სამ უჯრედში).

ამ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად საორგანიზაციო თათბირი უჯრედის წინაშე სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ დატვირთვა უფრო სწორხომიერად იქნას განაწილებული, რისთვისაც საჭიროა:

1) მიღწეულ იქნას უჯრედის წევრთა შემდგომი დატვირთვა ყოველი აქტივისტის დატვირთვის გადასინჯვის გზით, ყოველ მათგანს მიეცეს 2 ან 3 მოვალეობა.

2) დატვირთვის გადასინჯვის დროს აღებულ იქნას კურსი იმაზე, რომ პრაქტიკულ მუშაობაში ჩაიბას უჯრედის წევრთა, განსაკუთრებით კანდიდატთა ფენების მაქსიმალური რაოდენობა; ამასთანავე სიფრთხილის გამოჩენა საჭიროა უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე პარტიულებისადმი, რომ ისინი ძლიერ არ იქნენ დატვირთულნი მუშაობით.

3) პარტიულების დატვირთვის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თავისუფალი საღამოების რაოდენობა (გარდა კვირისა, წასვლა-წამოსვლისა, სწავლებისა, ავადმყოფობისა).

4) მომავალში მტკიცედ იქნან აღრიცხული ის პარტიულები, რომლებსაც მასა ირჩევს სხვადასხვა ორგანიზაციებში.

5) შემოღებულ იქნას პარტიულების მიერ პარტმოვალეობის შესრულების შემოწმება ბიუროს და უჯრედის პლენუმზე მოხსენებების მოსმენის გზით; ამასთანავე მათ უნდა მიეცეთ დირექტივები მომავალი მუშაობის შესახებ.

მ. პ—ი.

პარტდატვირთვის შესახებ

პარტიის ძირითადი ორგანიზაციის (უჯრედის, კოლექტივის, თემკომის) ნაყოფიერი მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის განაწილებული მუშაობა ორგანიზაციის ცალკე წევრებს შორის. თუ მუშაობა თანაბრად არის განაწილებული, თუ თვითეული წევრს მიჩენილი აქვს რამე მოვალეობა, პარტორგანიზაციის საერთო მუშაობაც ნაყოფიერია, ის უფრო ცხოველი და შინაარსიანია. პარტდატვირთვის თანაბრად განაწილება წევრთა შორის, საშუალებას აძლევს ორგანიზაციის თვითეულ წევრს უფრო მეტი ენერგიით მოეკიდოს საქმეს და უკეთ შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, რადგან თვითეულ მათგანს საშუალება ეძლევა მეტი დრო მოანდომოს დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას. მიუხედავათ იმისა, რომ პარტმოვალეობის თანაბრად განაწილებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ მხრივ ჩვენს ორგანიზაციებში ერთ ხანს საქმე ძლიერ მოუწესრიგებელი იყო. იშვიათი არ იყო ისეთი მოვლენა, როდესაც ერთ დაიმავე ორგანიზაციაში პარტიის ერთ წევრს 10-15 მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული, ხოლო მეორე სრულიად არას აკეთებდა. აქედან ის შედეგი გამომდინარეობდა, რომ ზომაზე დატვირთული ამხანაგი ერთი სხდომიდან ან თათბირიდან მეორეზე გარბოდა, ერთი წუთით შეხვედრის საშუალება არ ჰქონდა, იძანცებოდა და საქმეს რიგიანად ვერც ერთ ადგილას ვერ აკეთებდა, ხოლო მეორე წევრი კი, უმოქმედობის გამო პასიურად რჩებოდა და თავის უნარს ვერ [illegible]. ამ არანორმალურ მდგომარეობას თავის დროზე მიაქციეს ყურადღება პარტიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა. მიღებულ იქნა მთელი რიგი დადგენილებებისა და გატარებულ იქნა აგრეთვე საჭირო ღონისძიებები იმისათვის, რომ პარტიის წევრთა შორის მოვალეობათა განაწილება უფრო სწორი და თანაბარი ყოფილიყო.

ორგანიზაციას უკვე აქვს საგრძნობი მიღწევები პარტდავალებათა განაწილების დარგში. ეხლა უკვე უფრო იშვიათი არის ისეთი შემთხვევა, როცა უჯრედის ესა თუ ის წევრი ზომაზე მეტად არის დატვირთული. მოვალეობათა განაწილება უფრო თანაბრად, უფრო მიზანშეწონილად ხდება. უჯრედის წევრების უმრავლესობა თანდათანობით ებმება სხვადასხვა კომისიებში, ნებაყოფლობითი საზოგადოებებში და სხვა. მაგრამ მიუხედავად ამისა პარტდატვირთვის დარგში ჯერ კიდევ ყველაფერი მაინც ვერ არის რიგზე და ძირითად პარტორგანოებს მოვალეობაა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას.

ჩვენ გვაქვს მასალა პარტდატვირთვის მდგომარეობის შესახებ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომში. ლენინრაიკომმა საგანგებო კომისია გამოჰყო ამ საკითხის შესასწავლად და გამოირკვა, რომ საგრძნობ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ არის მნიშვნელოვანი ნაკლიც. ასე მაგალითად, გამოკვლეულ სამ უჯრედში პარტიულთა 50 პროცენტი ჯერ კიდევ პარტდატვირთვის გარეშეა დარჩენილი. უკვე აღარ არის ისეთი შემთხვევა, როცა პარტიის წევრს 10-12 მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ 5-7 მოვალეობა 17 პროც. მაინც აქვს და სხვა (იხ. წერილი „პარტდატვირთვა ლენინის რაიონში“)

ცხადია, ამგვარ მოვლენებს სხვა რაიონებში და ქალაქშიაც აქვს ადგილი. აქედან გამომდინარეობს ამოცანა: მუშაობა პარტიის ახალ ფენების ჩასაბმელად პარტმუშაობაში, მუშაობა პარტდატვირთვის უკეთ გასანაწილებლად, იმ რიგათ, რომ ორგანიზაციის წევრთა თუ მთელი მასა არა, უდიდესი უმრავლესობა მაინც იქნეს ჩაბმული საქმიანობაში ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პარტდატვირთვის დარგში სავსებით გავატაროთ ცხოვრებაში პარტიის ხელმძღვანელ ორგანიზაციების დირექტივა.

ბა—ნიძე.

საცალო ფასების დაკლება

(კამპანიის შედეგები)

ა. წ. თებერვლის 16-ს დადგენილებით შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოგვცა დირექტივა, რომ ივნისის 1-თვის სამრეწველო საგნებზე საცალო ფასები დაკლებული ყოფილიყო საშუალოდ არა ნაკლებ 10 პროც., მაგრამ იმ პირობით კი—, რომ მარტის 1-თვის სამრეწველო საგნებზე ფასები დაკლებული უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 3 პროც.-სა.

და აი ეხლა, როდესაც დირექტივის ნაწილის ვადა უკვე გასულია, საკითხავია, რა გაკეთდა ამ მხრით?

რეალური ზომა, რომელიც მიღებულ იქნა ხელისუფლების მიერ ფასების დაკლებისათვის, იყო ფართლეულზე ზედნართის შემცირება. შინ-ვაჭრობის სახკომის დადგენილებით ყველა სახის ფართლეულზე შემცირებულ იქნა ზედნართი და დაწესდა ახალი, როგორც თბილისისა და საქართველოს დანარჩენი ქალაქებისათვის, ისე სასოფლო ადგილებისათვის.

ახალი ზედნართის დაწესება თავისთავად იწვევდა ფართლეულის გადაფასებას და შემცირებული ზედნართის მიხედვით ახალი ფასების დაწესებას; და მართლაც კოოპერატივებისა და სახ. სავაჭრო ორგანოების განკარგულებაში მყოფი ფართლეული გადაფასებულ იქნა და ამ გადაფასებამ აი რა რეალური შედეგი მოგვცა:

მიღწევები თბილისის სამომხმარებლო კოოპერაციაში

თბილისის მუშკოოპმა ფართლეულის გადაფასების შედეგათ დაუკლო ფასები ბამბეულ ფართლეულზე 5 პროც., ხოლო მატყლისა და სელის ნაქსოვობაზე 2 პროც.

სატრანსპორტო მომხმარებელთა საზოგადოებამ „ზაკტპო“-მ გადაფასების შედეგათ მოახდინა ფასების დაკლება ფართლეულზე 6,23 პროცენტით.

სამხედრო მომხმარებელ საზოგადოებამ „ბოეც“-მა-კი 6 პროცენტით.

ფართლეულის გადაფასებასთან ერთად თბილისის სამომხმარებლო კოოპერაციამ ფასების დაკლების მიზნით მოახდინა გადაფასება აგრეთვე სხვა სამრეწველო საგნებისაც და ამის დამიხედვით თბილისის მუშკოოპმა დაუკლო სამრეწველო საგნების ფასი საშუალოდ 4,09 პროც. და საბაკალეო-საგასტრონომიო საქონელზე—10,6 პროც.

საზ. „ბოეცმა“ ასეთივე გადაფასების შედეგათ სამრეწველო საგნების ფასები დაუკლო 4,89 პროც., ხოლო დანარჩენი საგნებს—9,41 პროც.

ამ რიგად, როგორც ვხედავთ თბილისის სამომხმარებლო კოოპერაცია ენერგიულად შეუდგა ფასების დაკლების გატარებას. საერთო ჯამს თუ გავუკეთებთ ამ ციფრებს მივიღებთ, რომ ა. წ. მარტის 10-სთვის თბილისის კოოპერაციამ გადაფასა 2.136.609 მ. და 27 კ. ღირებული საქონელი. ამ ღირებულებას დაუკლო აბსოლუტურ ციფრებში—121.058 მ. 91 კაპ., ე. ი. ფასების დაკლება კოოპერაციაში რეალურად მოხდა 5,7 პროც.

ასეთი შედეგები მოგვცა ფასების დაკლებამ თბილისის კოოპერაციაში.

რა მოგვცა სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებმა

საინტერესოა ვიცოდეთ რა გაკეთდა ამ მხრით სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში?

სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ „გრუზგოსტორგ“-მა ფართლეულის გადაფასების შედეგათ მოახდინა მასზე ფასების დაკლება საშუალოდ 5,3 პროც. სხვა საგნებზე მანვე ჩაატარა შემდეგი დაკლება ფასებისა: გალანტერეაზე ფასები შემცირებულ იქნა—2,3 პროცენტით, საპონზე—12,5 პროც. და ჭურჭლეულზე 1,3 პროც.

საზ. „თბილისის ვაჭრობამ“ აგრეთვე ჩაატარა საქონელზე ფასების დაკლება, რის შედეგაც დაკლებულ იქნა ფასები რკინაზე (სხვადასხვა ხარისხის)—1 პროც., ჭურჭლეულზე 2,3 პროც., ქაშანურის ნაკეთობაზე 5 პროც., ტყავეულ საქონელზე—5 პროც. და ფეხსაცმელებზე—7 პროცენტით.

როგორც ვხედავთ თბილისში კოოპერაციისა და საზ. ვაჭრობის ორგანოების მიერ საცალო ფასების დაკლების დირექტივა წარმატებით იქნა შესრულებული და ეხლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფასების დაკლება ქ. თბილისში საშუალოდ ჩატარდა დაახლოვებით 6 პროცენტით.

ადგილობრივი მრეწველობის მიღწევები

ეჭვს გარეშეა, რომ საცალო ფასების დაკლების ჩატარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ადგილობრივი მრეწველობის ნაკეთობაზე ფასების სათანადო დაკლებას.

ამ მხრივათაც, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ გადადგმული ენერგიული ნაბიჯების შედეგათ ჩვენ, აი რა მიღწევები გვაქვს:

საპონ-ზეთის ტრესტმა დაუკლო ფასი საპონ „მამალზე“—2,4 პროც., საპონ „ტოლლე“-ზე—2,3 პროც., ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ნაწარმოებზე—20 პროც. და სხვა დანარჩენ საქონელზე 17-დან 38 პროცენტამდე.

ტყავ-ტრესტმა თავისი ნაწარმოების საქონელზე ფასების დაკლება მოახდინა საშუალოდ 3-დან 5 პროც.-დე. ფეხსაცმელებზე ფასების დაკლება უდრის საშუალოდ 3½ პროც.

სამთო მრეწველობის ტრესტმა დაუკლო ფასი კეროსინზე 12,5 პროც. და აგრეთვე შემცირდა საორგანიზაციო ხარჯები სხვა ნავთის პროდუქტებზე 1 პროც.

საზ. სასწორმა დაუკლო ფასები სხვადასხვა სახის სასწორებს—3,3 პროცენტიდან 8 პროც.-დე.

თამბაქოს ტრესტმა მოახდინა მნიშვნელოვანი დაკლება ფასებისა თავის ნაწარმოებზე, ასე, მაგალითად: უმაღლეს ხარისხის პაპიროსებზე მან დაუკლო საშუალოდ—6 პროც., პირველი ხარისხის პაპიროსებზე „ა“—5 პროც., მეორე ხარისხის პაპიროსებზე „ა“—4 პროც., ხოლო „ბ“-ს—10 პროც. მესამე ხარისხის პაპიროსებზე—11 პროც. აგრეთვე დაუკლო მან ფასები სხვადასხვა ხარისხის თამბაქოებზე საშუალოდ 10-დან 15 პროცენტამდე.

ტყის მრეწველობის ტრესტმა მოახდინა შემდეგი ფასების დაკლება—1 ხარისხის ხე-ტყის მასალაზე—7,7 პროც., ხოლო მეორე ხარისხის ხე-ტყის მასალაზე კი —4,5 პროც.

ლითონტრესტმა თავის მხრით დაუკლო ფასები თავის პროდუქციაზე—საშუალოდ 5 პროცენტით, ხოლო იმ საგნებზე კი, რომლითაც იგი ვაჭრობს საშუალოდ 3-დან 15 პროც.-დე.

როგორც ვხედავთ ადგილობრივი მრეწველობის ნაკეთობაზე ფასების დაკლება განხორციელებულ იქნა ყოველ შემთხვევაში იმ რაოდენობით, როგორც ეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივით იქნა განსაზღვრული.

მდგომარეობა ადგილებზე

მაგრამ აქ მთავარი ყურადღება ექცევა იმ გარემოებას თუ ფასების დაკლება რამდენათ იქნა განხორციელებული პროვინციაში, ე. ი. სასოფლო ადგილებში. თუ გადავხედავთ იმ ცნობებს, რომელიც ამ შემთხვევაში ჩვენს განკარგულებაშია, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივათაც მნიშვნელოვან მიღწევებს აქვს ადგილი.

ქ. ბათომში ფართლეულზე ზედნართების შემცირების შედეგათ გადაფასებულ იქნა ფართლეულობა და სხვა საქონელიც. ბათომის მუშკოოპმა ამ გადაფასების შედეგათ მოგვცა შემცირება საქონლის ღირებულებისა 2.482 მ. და 50 კაპ., ე. ი. ფასების დაკლება მოხდა 3,9 პროცენტით.

საზ. „ბოეცმა“ გადააფასა ფართლეულის ნაშთი და დაუკლო ფასები 5,5 პროც. სხვა სამრეწველო საგნების გადაფასების შედეგათ ფასები დაკლებულ იქნა 8,2 პროც.

ასე რომ საშუალოდ საცალო ფასების დაკლება ქ. ბათომში განხორციელდა 4,63 პროც.

ასეთივე წესით ტარდებოდა ფასების დაკლების კამპანია ქ. ქუთაისში.

საქონლის გადაფასება მოახდინა როგორც მუშკოოპმა „კოოპერაციამ“, ისე „ზაკტპო“-მ და „ბოეცმა“. ამ გადაფასებას აი რა შედეგი მოჰყვა: საერთოდ მთელმა ქუთაისის კოოპერაციამ გადააფასა საქონლის მასა ღირებული 121.339 მან. 72 კაპ., დაუკლო აბსოლუტურ ციფრებში 10.591 მან. და 62 კაპ., რაც ნიშნავს ფასების დაკლებას 8,7 პროც.

გადაფასების შედეგათ საზ. „ქუთაისის ვაჭრობამ“ დაუკლო ფართლეულის საცალო ფასები 3,23 პროცენტით და ტყავეული საქონლის ფასი—3,03 პროც.

ფასების დაკლება სოფლად

რაც შეეხება სასოფლო ადგილებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ჯერ ამ მხრით სათანადო შემოწმებული ცნობები არ მოგვიპოვება, მაგრამ ერთი რომ შეიძლება დღესვე დარწმუნებით ითქვას. ზედნართების შემცირების გამო სასოფლო კოოპერატივებს ფასები საშუალოდ უნდა დაეკლოთ არა ნაკლებ 2 პროც., ვინაიდან ფართლეულობას სოფლის კოოპერატივების ბრუნვაში უჭირავს არა ნაკლებ 45 პროცენტისა სამრეწველო საქონლებს შორის. ხოლო თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ შემცირებულ იქნა მრეწველობის მიერ საგასაცემო ფასები სამრეწველო საქონლისა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი მოგვცემს სოფლის კოოპერატივებში სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ—1 პროც. ამ რიგად შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო კოოპერატივებში ფასების დაკლება საშუალოდ უნდა განხორციელებულიყო 3 პროცენტით. ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალი სავსებით გამოგვირკვევს სასოფლო ადგილებში ფასების დაკლების ნამდვილ სურათს.

ეს რაც შეეხება სამრეწველო საგნებზე ფასების დაკლებას.

სასოფლო მეურნეობის პროდუქცია

ეჭვს გარეშეა, რომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ფასების დაკლებას იმ სასოფლო მეურნეობის საგნებზე, რომელნიც საბიუჯეტო შენაკრებში თვალსაჩინო როლს თამაშობენ. ასეთი პროდუქტებია: კვერცხი, კარტოფილი, კომბოსტო, ლობიო და ხახვი.

რამდენიმე ხნის წინათ ამ საგნებზე ფასები მეტად მერყევი და ცვალებადი იყო სხვადასხვა კოოპერატივებში. ზოგან ფასი მაღალი იყო და ზოგან კი დაბალი. მომწესრიგებელი ორგანოების დავალებით კოოპერატივებში ეს ფასი გათანასწორებულ იქნა და ამ რიგად მათი ცვალებადობა თავიდან აცილებული იქნა.

სასოფლო-მეურნეობის საგნებზე ფასების ასეთი ცვალებადობა კოოპერატივებში გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ თავის დროზე კოოპერაციამ ვერ შესძლო მათი გეგმიანი დამზადება საჭირო რაოდენობით. რათა მომავალში ასეთ არანორმალურ მოვლენას ადგილი არ ექნეს საჭიროდ იქნა ცნობილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემდეგი რაოდენობის გეგმიანი დამზადება: კვერცხი 200 ყუთი ყოველთვიურად, კარტოფილი 200.000 ფუთი, ხახვი 20.000 ფუთი და კომბოსტო 30.000 ფ. წლიურად. ხსენებული პროდუქტების დამზადება სოფლის კავშირს და ცეკავშირს, რომელთაც სათანადო ხელშეკრულება უნდა დასდვან სამომხმარებლო კოოპერაციასთან, ხოლო შინავაჭრობის კომისარიატმა სათანადო ზომები უნდა მიიღოს ამ დამზადებისათვის სათანადო მიზნობრივი კრედიტის გახსნისათვის.

ამ რიგად, სასოფლო მეურნეობის საგნების ბაზარი თუ ამგვარი წესით იქნა მოწესრიგებული, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მომავალში სრულებით ადგილი არ ექნება ამ საგნებზე ფასების ცვალებადობას და ქ. თბილისის კოოპერაციაც უზრუნველყოფილი იქნება ამ სამეურნეო საგნებით, რომელნიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საბიუჯეტო შენაკრებში.

ფასების დაკლება და საბიუჯეტო შენაკრები

თუ ფასების დაკლების კამპანია ამგვარი ტემპით მიმდინარეობს, საინტერესოა ვიცოდეთ რა გავლენა მოახდინა მან საბიუჯეტო შენაკრების ღირებულებაზე, გვაქვს თუ არა ჩვენ ამ მხრით რაიმე მიღწევები, და თუ გვაქვს როგორი.

ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია უკანასკნელი ცნობების მიხედვით დავადასტუროთ შემდეგი: საბიუჯეტო შენაკრების ღირებულება აპრილის 1-თვის შემცირებულ იქნა იანვრის 1-ს ღირებულებასთან შედარებით 5,9 პროც. იანვრის 1-ს ღირებულება იყო 19-16, აპრილის 1-ს კი 18 მან. 02 კაპ. ამ რიგად საერთო შემცირება უდრის 5,9 პროცენტს.

საინტერესოა როგორია შემცირება იმ სამრეწველო საგნებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა ცალ-ცალკე, რომელნიც საბიუჯეტო შენაკრებში შედიან:

სამრეწველო საგნების ფასების დაკლება მოხდა აპრილის 1-ს იანვრის 1-ს ფასებთან შედარებით 8,3 პროც., ხოლო სასოფლო-სამეურნეო საგნებისა კი — 4,9 პროც.

ეხლა ვიკითხოთ, რა ცვლილებები განიცადა საბიუჯეტო შენაკრების ღირებულებამ კერძო ბაზარზე?

აპრილის 1-ს იანვრის 1-თან შედარებით საბიუჯეტო შენაკრების ღირებულება შემცირებულა 1 პროც., საბიუჯეტო შენაკრებში შემავალ საგნებს შორის სამრეწველო ჯგუფის საგნების ღირებულება შემცირებულია 5,9 პროცენტით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საგნების ღირებულება გაზრდილა 1,3 პროც., აგრეთვე გაზრდილა კვების საგნების ღირებულებაც 1,9 პროცენტით.

ამ რიგად, როგორც ვხედავთ ფასების დაკლების კამპანიას, რომელიც ჩატარებულ იქნა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების მიერ, თავისი რეალური ნაყოფი გამოუღია, რაც გამოიხატა საბიუჯეტო შენაკრების საერთო ღირებულების 5,9 პროც. შემცირებაში.

სხვადასხვა ღონისძიებანი

ფასების დაკლების კამპანიის ჩატარებისათვის და რეალური შედეგების მიღწევისათვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ეძლევა ისეთ ღონისძიებებსაც, რომელნიც აქტიურად ხელს უწყობენ საცალო ფასების დაკლების განხორციელებას.

ასეთ ღონისძიებას ეკუთვნის საზღვრითი ზედნართის დაწესება ისეთ საგნებზე, რომელნიც ამდენ ხანს შინა-ვაჭრობის დანორმვის სფეროში არ შედიოდენ. ასეთი საგნებია, მაგალითად, სილიკატები, გალანტერეა და ლითონის ჭურჭლეულობა. ამჟამად ამ საგნებზე მტკიცე საზღვრითი მაქსიმალური ზედნართებია დაწესებული, როგორც სოფლის, ისე ქალაქის ადგილებისათვის და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გარემოება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საცალო ფასების დაკლების რეალურად განხორციელებას.

ჩვენს სინამდვილეში აგრეთვე ადგილი ჰქონდა ისეთ გარემოებას, როდესაც ორგანიზაციები, რომელთა მოქმედების მთავარ საგანსაც ვაჭრობა არ წარმოადგენდა, ეწეოდენ დეფიციტური და ყველა სხვა სახის საქონლით ვაჭრობას. ეს გარემოება თუ ერთის მხრით იწვევდა ზედმეტი ხარჯების გაწევას და აგრძელებდა საქონლის გამტარ ჯაჭვს, მეორეს მხრით ხელს უშლიდა კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოების ამ საგნებით სათანადო დატვირთვას, რაც ბუნებრივათ საქონლის ფასების აწევას იწვევდა ამ უკანასკნელების მიერ. ეხლა შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ეს არანორმალური მოვლენაც საბოლოოდ აღმოფხვრილია, ვინაიდან ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად შინა-ვაჭრობის სახკომმა სავსებით აუკრძალა დეფიციტური საქონლით ვაჭრობა ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა, ალმასკომების სავაჭრო განყოფილებანი, გლეხკომები, წითელი ჯვარი, სასპორტო საზოგადოება „დინამო“, უდინთა დამხმარე საზოგადოება, ბავშვთა დამხმარე საზოგადოება და სხვ.

აი მოკლეთ ასეთი სურათი გვეშლება თვალწინ საცალო ფასების დაკლების სფეროში.

ახალ მიღწევებისაკენ

რასაკვირველია, ეს ნახევარიც არ არის იმისა, რაც შესრულებული და გაკეთებული უნდა იქნეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივის მიხედვით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ივნისის 1-ლი შორს არ არის, ხოლო ამ რიცხვისათვის კი საცალო ფასების დაკლება უნდა მოხდეს არა ნაკლებ 10 პროც. ცხადია, საკავშირო ტრესტებისა და სინდიკატების მიერ მრეწველობის საგნებზე საგასაცემო ფასების დაკლება (5 პროც.) თავისთავად აქტიური ფაქტორი იქნება ამ დირექტივის საბოლოოდ შესრულებისათვის. საკავშირო მრეწველობის საგნებზე საგასაცემო ფასების დაკლება, სხვადასხვა სათანადო მიზეზების გამო, რეალურად ჯერ საქართველოში სავსებით არ არის განხორციელებული. მართალია, ნაწილობრივ იგი ტარდება, მაგრამ სავსებით და სათანადოთ მისი განხორციელება ახლო მომავლის საქმეა.

მაგრამ, ჩვენის ფიქრით, შეუძლებელი იქნება ამ დირექტივის სავსებით განხორციელება და 10 პროც. საცალო ფასების ივნისის 1-თვის დაკლება, თუ ამ საქმეში მომწესრიგებელ და საკონტროლო ორგანოებს ფართო დახმარება არ გაუწიეს და ენერგიული მონაწილეობა არ მიიღეს ფართო მასებმა.

ნ. ა—ძე.

ძანიბონის პროცესი

რომი, 11 აპრილი. სახელმწიფოს დაცვის საგანგებო ტრიბუნალში დაიწყო ძანიბონის, კაპელის და ხუთი სხვა ბრალდებულის პროცესი. მათ აბრალებენ მუსოლინიზე თავდასხმის მოწყობის ცდას 1925 წლის ნოემბერში. (ადს)

რომი, 11 აპრილი. ძანიბონის პროცესზე მეორე დღეს დაიწყო ბრალდებულ გენერალ კაპელის დაკითხვა. უკანასკნელმა განაცხადა, რომ მას ფიქრადაც არ ჰქონდა სამხედრო შეთქმულების მოწყობა ფაშიზმის წინააღმდეგ და რომ მან არაფერი არ იცოდა იმის შესახებ, თუ ძანიბონს განზრახული ჰქონდა მუსოლინიზე თავდასხმის მოწყობა. შემდეგ დაიწყო ძანიბონის დაკითხვა. სასამართლოს თავმჯდომარე შეუდგა დაკითხვას. ძანიბონმა განაცხადა, რომ „მას განზრახული ჰქონდა ფაშიზმის წინამძღოლის მოკვლა 1925 წლის 4 ნოემბერს“. პოლიციას რომ მოესწრო არა დილის 9 ნახევარ საათზე, არამედ დღის 12 ნახევარ საათზე, —სთქვა ძანიბონმა — მე უსათუოდ მოვასწრებდი ჩემი განზრახვის სისრულეში მოყვანას“.

შემდეგ ძანიბონი შეეხო იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია მისი მტრული განწყობილება ფაშიზმისადმი. თავმჯდომარემ მოუწოდა მას წესრიგისაკენ და წინადადება მისცა არ გასცილებოდა წაყენებულ ბრალდების ფარგლებს. ძანიბონმა დაწვრილებით მოუთხრო სასამართლოს თავდასხმის მზადების შესახებ და დასძინა: „პირველი ჩემი გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ თავდასხმის დროს გამოსულიყო დაახლოვებით ორასი კაცი, რომლებიც გასროლის გაგონებისთანავე უნდა დარეოდენ ფაშისტებს, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ სასახლის აივნის ქვეშ. და ამით გამოეწვიათ არეულობა. როცა ყოველივე ეს ცდა უნაყოფო დარჩა, მე გადავსწყვიტე მარტო მემოქმედნა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ფაშიზმის ბელადის მოკვლის შემდეგ სამხედრო დიქტატურა რომ აღდგენილიყო, იტალიის პოლიტიკური წესწყობილება ამით არ იზარალებდა“.

საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა ძანიბონის შეკითხვა მისცა 300.000 ფრანკის შესახებ, რომელიც ძანიბონმა მიიღო საფრანგეთიდან ჩეხოსლოვაკიის სოციალ - დემოკრატების ბელადის ვინტერისაგან. ძანიბონმა უპასუხა, რომ მან მიიღო 70.000 ლირა, რომელიც მას სურდა გამოეყენებია ანტი-ფაშისტური პროპაგანდისათვის ეს ფულები მას გადასცეს მეგობრებმა. (ადს)

მატარებლების დამტვრევა

პრაღა, 12 აპრილი. 12 აპრილს ბრნოში მოხდა მატარებლების დაჯახება. დახოცილია და დაჭრილი 120 კაცი. 5 ვაგონი სრულიად განადგურებულია (ადს).

ლონდონი, 11 აპრილი. ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ იქ მოხდა ნავთით დატვირთულ მატარებლების დაჯახება. 13 ვაგონი დაიწვა, მოკლულია 6 კაცი (ადს).

ოსმალეთის ბიუჯეტი

ანგორა, 11 აპრილი. 1927 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს მეჯლისში ფინანსთა მინისტრმა ხაზ გასმით აღნიშნა, რომ ბიუჯეტი შედგენილია უდეფიციტოთ. მინისტრმა შეადარა ბიუჯეტის პროექტი ძველი ოსმალეთის იმპერიის მაქსიმალურ ბიუჯეტს, რომელიც იყო 1912 წელს და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ტერიტორია უფრო ფართო იყო იმპერიას გადადებული ჰქონდა საზოგადოებრივი სამუშაოების, ვაჭრობის სასოფლო მეურნეობის იუსტიციის და სახალხო განათლებისათვის სულ მხოლოდ 7 ნახევარი პროცენტი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვაზე არაფერს არ ხარჯავდა. 1927 წლის ბიუჯეტში კი ამ საჭიროებისათვის გადადებულია 15 პროცენტი. (ადს)

უკანასკნელი ცნობები

ბანდიტები ბანდიტებს მადლობას უცხადებენ

ტოკიო, 11 აპრილი. „ოსაკა მაინიჩის“ პეკინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მუკდენის ჯარების შტაბის უფროსი იან-იუტინი 8 აპრილს მივიდა ინგლისის მისიაში და მადლობა გადაუხადა საბჭოთა საკონსულოს ჩხრეკის დროს აღმოჩენილ დახმარებისათვის. კორესპონდენტი, აგრეთვე, იუწყება, რომ „ჩინური წრეებიდან მიღებული ცნობებით, ინგლისი არა ოფიციალურად დასთანხმდა 4 მილ. ჩინური დოლარის სესხად მიცემაზე აბგოცზიუნისათვის („დამამშვიდებელი არმია“).

გაზეთები იუწყებიან, რომ იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს პეკინსა და ტიანძინში 5 ასეული, რათა იქაური გარნიზონები შეავსოს 8 ასეულამდე. (ადს)

იაპონიის პრესა საბჭოთა ნოტის შესახებ

ტოკიო, 11 აპრილი. 11 აპრილს ყველა გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილზე მოათავსეს საბჭოთა კავშირის ნოტა პეკინის მთავრობისადმი და ლიტვინოვის სურათი, მოკლე კომენტარიების დართვით. მთავრობის ორგანო „ხოჩი“ სწერს: ეხლა აღარ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჩან-ძო-ლინმა თავდასხმა მოახდინა დიპლომატიურ კორპუსთან წინასწარი შეთანხმებით. საბჭოთა ნოტა ადასტურებს, რომ მოსკოვი მაინც მიისწრაფვის კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისაკენ და არ სურს მიმართოს იარაღს“.

ლიბერალური „ტოკიო - ასახი“ და მთელი რიგი სხვა გაზეთები ასე აყალიბებენ იაპონიის ხელისუფალთა აზრს ნოტაზე: „საბჭოთა კავშირი ცოტას კარგავს პეკინის მთავრობასთან ურთიერთობის შეწყვეტით. ურთიერთობის შეწყვეტა უფრო საბჭოთა კავშირისათვის არის სასარგებლო, რადგან მას საშუალება ეძლევა წავიდეს ნაციონალური მთავრობის ცნობის გზით; საბჭოთა კავშირი არ გამოაცხადებს მობილიზაციას, მაგრამ გადავა აშკარა დახმარების გაწევაზე სამხრეთელებისათვის, განსაკუთრებით ფინ-იუ-სიანისათვის“.

ევროპას ბევრი რამ შეუძლია ისწავლოს.

მოსკოვი, 12 აპრილი. საერთაშორისო საზოგადოების—„ევროპის კულტურულ ლიგის“ გენერალურმა მდივანმა პრინცმა კარლ როგანმა, რომელმაც მოსკოვში რამდენიმე დღე დაჰყო, საზღვარგარეთ გამგზავრების წინ განაცხადა, რომ ევროპას ბევრი რამ შეუძლია ისწავლოს საბჭოთა რუსეთისაგან, სახელდობრ სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ეროვნული საკითხის მოწესრიგება და განსაკუთრებით ისეთი პერსპექტივებით და გატაცებით მუშაობა, როგორითაც საბჭ. კავშირში მუშაობენ. (ადს).

ვარშავის მუნიციპალიტეტის დათხოვნა.

ვარშავა, 11 აპრილი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დეკრეტს ვარშავის მუნიციპალიტეტის დათხოვნის შესახებ. ხელახალი არჩევნები მოხდება მაისში (ადს).

სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობა

ამხ. ლობოვის მოხსენება

მოსკოვი, 12 აპრილი. 12 აპრილის დილის სხდომაზე, ყრილობამ მოისმინა ამხ. ლობოვის მოხსენება რ. ს. ფ. ს. რ.-ს მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. რუსეთის მრეწველობის საერთო პროდუქცია საკავშირო მრეწველობაში შეადგენს 31 პროც.-ს. 1924-25 წელში რუსეთის მრეწველობის პროდუქციის ღირებულება განისაზღვრებოდა 800 მილიონი ომის წინადროინდელი მანეთით, 1925-26 წ. 1.200 მილ. მან., 1926-27 წ.—1.500 მილიონი მან. სულ უკანასკნელ ორ წელში მრეწველობაში დაბანდებულია 250. მილ. მანით. წელს დაბანდებულია 200 მილ. მან., რაც საშუალებას იძლევა, რომ პროდუქცია გადიდებულ იქნას 30-35 პროც.-ით. ახალი ქარხნების მშენებლობაზე წელს დაიხარჯება 50 მილ. მან. იმ ქარხნების ღირებულება, რომლებიც ახლა შენდებიან რუსეთში, აღწევს 150 მილ. მანეთს. 1923-24 წელში რუსეთის მრეწველობამ იზარალა 4 ნახ. მილ. მანეთი, ხოლო 1925-26 წ. მას უკვე მოგებად დარჩა 140 მილ. მანეთი, დაახლოვებით ვარაუდით 1926-27 წელში ეს მოგება ავა 180 მილ. მანეთამდე. მიუხედავად ამისა მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა მაინც არ არის მტკიცე. 1924-25 წ. თვითღირებულება დაკლებულ იქნა 13 პროც.-ით, 1925-26 წ. გაიზარდა 6 პროც.-ით, 1926-27 წელში საჭიროა შესრულდეს მთავრობის დირექტივა თვითღირებულების დაკლების შესახებ 5 პროც.-ით მაინც. მუშების რიცხვი რუსეთის მრეწველობაში 427.000-დან 1925-26 წ. გაიზარდა 640.000-დე 1926-27 წელში; შრომის ნაყოფიერება დაწყებული 1923-24 წლიდან გაიზარდა 1924-25 წელში 2 პროც.-ით, 1925-26 წ. 9 პროც.-ით, ბოლო წელს — 12 პროც.-ით. 1923-24 წელთან შედარებით საშუალო ხელფასი გაიზარდა 1924-25 წელში — 19 პროც.-ით, 1925-26 წ. — 9 პროც.-ით, 1926-27 წ. — უნდა გაიზარდოს 7 პროც.-ით.

შეეხო რა საიჯარო მრეწველობას, ამხ. ლობოვი აღნიშნავს საიჯარო ფონდის გადათვალიერების აუცილებლობას, მისი სრული გამოყენების მიზნით. ამხ. ლობოვი დაწვრილებით ჩერდება ნედლეულის საკითხზე, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ბელორუსიის საბჭოთა ყრილობა

კონსტიტუციის მიღება

მინსკი, 12 აპრილი, ბელორუსიის საბჭოთა ყრილობამ მოისმინა იუსტიციის სახალხო კომისარის მოხსენება ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსულმა ბელორუსიის კომპარტიის ცეკას გენერალურმა მდივანმა კრინიცკიმ სთქვა:

„ჩვენი კონსტიტუცია ბელორუსიის ფარგლებში მცხოვრებ ყოველ ერს უზრუნველჰყოფს თავისი ნაციონალური კულტურის განვითარებით სოციალისტურ გზაზე“.

შემდეგ სიტყვით სამშობლო ენაზე გამოვიდნენ ბელორუსთა, პოლონელთა და რუსების წარმომადგენლები. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ბელორუსიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია სავსებით უზრუნველჰყოფს ეროვნული კულტურის განვითარებას.

ამის შემდეგ გამოქვეყნდა კონსტიტუციის ტექსტი. კონსტიტუციის თვითეულ 13 მუხლთავებს ცალკე უყარეს კენჭი.

ამხ. ჩერვიაკოვმა შემოიტანა წინადადება, რომ მთლიანად იქნას დამტკიცებული კონსტიტუციის — ბელორუსიის ძირითადი კანონის ტექსტი. მთელი ყრილობა ფეხზე დგება და ერთხმად იღებს კონსტიტუციას. კენჭის ყრის დროს იძახოდა: გაუმარჯოს საბჭოთა ბელორუსიას და საბჭოთა კავშირს! კონსტიტუციასთან ერთად მიღებულ იქნა ბელორუსიის სახელმწიფო ღერბი და დროშა. საერთოდ ღერბი იგივეა, რაც საკავშირო, ხოლო ცოტად განსხვავებით ხაზებით, რომლებიც ახასიათებენ ბელორუსიის ეროვნულ და ბუნებრივ თავისებურებებს. ღერბს აქვს წარწერა ბელორუსიის ოთხ სახელმწიფო ენაზე — ბელორუსულზე, რუსულზე, ებრაულზე, პოლონურზე. (ადს)

საბჭოთა საქართველო

წერილები

30 წელი

(ქუთაისის აკად. თეატრის იუბილეს გამო)

მიმდინარე წლის 16 აპრილი ქუთაისის აკადემიური თეატრისათვის უდიდესი ზეიმის დღეა. ამ დღეს ქუთაისის თეატრს უსრულდება 30 წელი მისი არსებობიდან. ასეთი ისტორიის მქონე პროვინციის თეატრები ჩვენში თითზე თუ ჩამოითვლებიან.

თეატრი მეფის რუსეთის პირობებში იყო არა მარტო ეგრედ წოდებული „ხელოვნების ტაძარი", როგორც საზოგადოთ უყვართ მისი დახასიათება. თეატრი ნიკოლოზის რეჟიმის პირობებში იყო ძლიერი პოლიტიკური ტრიბუნა, ის იყო არსებულ წესწყობილებისადმი მტრულად განწყობილ ელემენტების შეუმჩნეველი ორგანიზატორი და წამხალისებელი.

ასეთია თეატრის ისტორიული მნიშვნელობა ჩვენში. და ეს დებულება მით უფრო სწორია პროვინციის თეატრისათვის, სადაც განმანთავისუფლებელ მოძრაობის გავლენა დიდ ქალაქებთან შედარებით ბუნებრივათ უფრო სუსტი იყო და სადაც ეს მოძრაობა მეტ თავშესაფარს პოულობდა თეატრის კედლებში.

ქუთაისის აკადემიურმა თეატრმა ამ მხრივ სახელოვნად შეასრულა თავისი ისტორიული როლი. ქუთაისი პროვინციის ქალაქებს შორის ერთი მოწინავე ადგილთაგანია, სადაც თითქმის ჩაუქრობლად ღვივოდა რევოლიუციის ცეცხლი. სცენას ბუნებრივათ არ შეეძლო ამ მოძრაობის გარეთ დარჩენა. ქუთაისის თეატრი ჩაისახა და განვითარდა სწორედ ამ მოძრაობასთან ერთად და ამ მოძრაობის ჭირ-ვარამით ცხოვრობდა ძველი რეჟიმის საბოლოოდ დამხობის უკანასკნელ დღემდე.

ვერც მატერიალური ხელმოკლეობა, ვერც მეფის სატრაპების ცენზურის სიმკაცრე და ვერც მრავალი სხვა დაბრკოლებანი ვერ ახშობდენ ქუთაისის თეატრში სიცოცხლის ძალას და ენერგიას.

დღეს, 30 წლის არსებობის თავზე ქუთაისის მუშები და გლეხები შესაფერისად აღნიშნავენ თავის თეატრის ამ დამსახურებას. დღეს მშრომელი ქუთაისი ბატონია ქუთაისის და თავის თავის, დღეს საბჭოთა კავშირის დანარჩენ მუშებსა და გლეხებთან ერთად ის უძღვის წინ სოციალისტური რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობას. არსად და არასოდეს ისე დიდი ასპარეზი არ ჰქონია ხელოვნებას, როგორც საბჭოთა წყობილების დროს.

ქუთაისის მუშები და გლეხები საბჭოთა ხელისუფლების ხელოვნებისადმი ამ განსაკუთრებულ პატივდებას ერთხელ კიდევ დაამტკიცებენ თავისი თეატრის არსებობის 30 წლის არსებობის დღეს.

მეზობელი.

კაცის მეგობარი ჭია კახეთში

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

კახეთი ითვლება მეაბრეშუმეობის ერთ-ერთ კუთხეთ საქართველოში. აქაური ბუნება, ჰავა, ადგილ-მდებარეობა არა ნაკლები ხელშემწყობი არიან ჭიისათვის, ვიდრე გურია-სამეგრელო ან იმერეთისა. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს დარგი აქ სრულებით არ ვითარდება. მართალია, უკვე 1923 წელში კახელებმა აღადგინეს მეაბრეშუმეობაში ომის წინანდელი მდგომარეობა, მაგრამ ეს მიღწევა რაც ერთ დონეზე დადგა —იქვე გაიყინა. ამგვარად, ის მოსავალი, რომელსაც იღებდა კახეთის მეაბრეშუმე ძველად, დღესაც უცვლელად დარჩა. ეს რაოდენობა საშუალოდ ორივე კახეთის მაზრებისათვის (თელავის და სიღნაღის) უდრის 5.000 ფუთ ნედლ პარკს. ამავე დროს, შარშან თელავში იქმნა ამოძრავებული აბრეშუმის სახვევი ქარხანა 52 ტაშტით, რომელსაც ყოველწლიურად სჭირდება 6000 ფუთზე მეტი ნედლი პარკი. ეს ქარხანა გაძლიერებული იქნება კიდევ იმოდენივე დაზგებით, ე. ი. მისი გადამუშავების უნარიც გაორკეცდება. მაშინ, რა თქმა უნდა, კახეთის პარკის მოსავალი ქარხანას ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებს.

აშკარაა, რომ არსებული მდგომარეობა უნდა შეიცვალოს, რადგან ის დამაკმაყოფილებელი არაა. მეაბრეშუმეობა უნდა განვითარდეს, მაგრამ როგორ და რა გზით? საქმე იმაშია, რომ კახეთს დღეს არ ყოფნის საკუთარი თუთის ხეები ჭიის გამოსაკვებად. ამ მიზეზის გამო, თესლის 5.000 კოლოფზე მეტის დარიგება ყოვლად შეუძლებელია, და სწორეთ ამით აიხსნება მეაბრეშუმეობის ზრდის შეჩერება. შემდეგ, უნდა ითქვას, რომ კახეთში ჯერ კიდევ ძალიან სუსტათ არიან გაცნობილი აბრეშუმის ჭიის წესიერად გამოკვებას, მისი მოვლა-პატრონობას. არავითარი ყურადღება არ ექცევა ბინების მოწყობას, სისუფთავეს და სხვა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი პაწაწინა ოთახის პატრონი დიასახლისი ორ კოლოფ თესლს აიღებს ხოლმე გამოსაკვებად. კვება უწესრიგოა, დღეში ერთხელ და ორჯერ—თანაც ფურცელი ხშირად ჭუჭყიანია და სველი. ამიტომაა, რომ უმრავლესობას ჭიები ეხოცებათ და მთელი მოსავლისაგან ხელდაბანილი რჩებიან. ვისაც ჭიები გადურჩება—იმასაც მცირე მოსავალი მოსდის: კოლოფიდან ერთი ფუთი ან ძალიან—ერთი ნახევარი.

ასეთ მდგომარეობის გამოსასწორებლად დიდი მნიშვნელობა ექნება საინსტრუქტორო მუშაობას ხალხისათვის რაციონალური წესების შესწავლის მიზნით და ჭიების სანიმუშოდ გამოკვებას საჩვენებელ პუნქტებზე ან გლეხის მეურნეობებში.

ამ უკანასკნელ წლებში კახეთში თვალსაჩინოდ განვითარდა აბრეშუმის თესლის დამზადება. მარტო თელავში მოქმედობს ორი ამხანაგობა: „ოგანოვი და კ" და „გრენიორი" და ორი კერძო მეთესლე: მოსეს ოგანოვი და გრიგორიანცი. შარშან მათ დაამზადეს 14.500 კოლოფი ჭიის თესლი, რომელიც ჩააბარეს თბილისის მეაბრეშუმეობის სადგურს. ამ გასულ სეზონში (1926 წელს) დაამზადეს 25.000 კოლოფამდე, ე. ი. ერთი მეოთხედი მთელი საჭიროებისა საქართველოში. მაგრამ საქმე იმაშია, რომ კერძო მეთესლეები არ არიან დაინტერესებული თვით თესლის გაუმჯობესების საქმეში. მათ მოვალეობას შეადგენს ხოლოდ პებრინიდან თავისუფალი თესლის დამზადება. ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, რომ გაუმჯობესდეს თვით პარკი, თავისი ღირსებით და გაიზარდოს სათანადოდ მოსავლიანობაც. სათესლეთ მიჩნეულ პარკს განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა სჭირდება, აგრეთვე საჭიროა საუკეთესო ეკზემპლიარების შერჩევა და სხვა. ეს კი გაკეთდება მხოლოდ მაშინ როდესაც კერძო გრენიორების ბადლად მუშაობას ხელს მოჰკიდებს დაინტერესებული ამ საქმეში საზოგადოებრივი ან კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაცია. კახეთის მეაბრეშუმეობას ესაჭიროება მეტი ყურადღება.

ესტატე კაკულია.

ვინ სარგებლობს საფონდო მიწებით?

(ს. აცანა, გურია)

1924 წელს ს. აცანაში ჩატარდა მიწკომთა კომპანია, რომლის მთავარ მიზანს შეადგენდა გაეგოთ თუ როგორ არის მიწები განაწილებული გლეხობაზე.

ამ კამპანიის დროს აღმოჩნდა ისეთი მიწებიც, რომლის მეპატრონეები სხვადასხვა ქალაქებშია გადასახლებული და საერთოდ ისეთები, რომლებსაც პატრონი სრულებით არ სარგებლობს.

ზემოხსენებულ მიწებს პატრონის მემკვიდრეები სარგებლობდა. მიწკომებმა ასეთი ადგილები საფონდო ადგილებში გადარიცხეს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველივე ფორმალურად მოხდა და სინამდვილეში კი ისევ მემკვიდრეები სარგებლობენ. იმ დროს, როდესაც მრავალი მოიპოვება აქ უმიწაწყლო გლეხობა და ძალიან სივიწროვეა სამოსახლო მიწებზე.

ამას კარგად ხედავს ადგილობრივი საბჭო და აღმასკომიც, მაგრამ დიდათ არ იწუხებს თავს, ამ საქმის საბოლოოდ მოწესრიგებისათვის.

სამაზრო სამიწათმოქმედო კომიტეტმა მაინც უნდა მიაქციოს ყურადღება ამ მოვლენას; საჭიროა ამ მიწების საბოლოოდ ჩამორთმევა და გადაცემა უმიწაწყლო გლეხობაზე.

ლახვარი.

ჩვენი კოოპერატივის ნაკლი

(ფოცხოს თემი, სენაკის მაზრა)

აქ არსებობს 1922 წლიდან კოოპერატივი. ეს არის ნოქალაქევის მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივის განყოფილება, რომელიც ფოცხოდან დაშორებულია 12 ვერსით. ჩვენი კოოპერატივის ნოქრები, როგორც მათ უნდათ, ისე ყიდიან საქონელს. გარდა ამისა ნოქრებს დახლის ქვეშ აქეთ საქონელი დამალული და თავის ნათესავებს და ძმა ბიჭებს უფრო აძლევენ, ვიდრე ჩვეულებრივ მყიდველს.

გარდა ამისა ქსოვილების გაყიდვა აქ სწარმოებს არშინებით. ეს იმდროს, როდესაც მთელი საბჭოთა კავშირის კოოპერატივები გადასულია მეტრიულ სისტემაზე. ნოქალაქევში მეტრი რომ ღირს 45 კაპ. აქ არშინი ღირს 42 კაპ. ნუ თუ ეს სწორია. გლეხები ეკითხებიან რატომ არ არის მეტრიო, მაშინ ის უპასუხებს. რა ჯანდაბად გინდაო, ეს უკეთესიაო, გლეხობის მოთხოვნაა რომ გადაიდეს მეტრით გაყიდვაზე. ძალიან ხშირია აქ რომ არის საქონელი და გლეხობა უვარდება ხელში ბანძის წვრილ ვაჭრებს.

ა. ბანძელი.

როდის შეკეთდება ხიდი

(შაუმიანი, ბორ. მ.)

შაუმიანი ძალიან ცოცხალი ქალაქია, აქ მშვენიერად მუშაობს კოოპერატივი. გვაქვს თითქმის ყველა დაწესებულება, მაგრამ ყველაფერს ელფერს უკარგავს უხიდობა პატარა ღელეზე, რომელიც შაუმიანს დასავლეთის მხრიდან უვლის. ამ ღელეს თავისი კალაპოტი გაუფართოებია და დღესაც განაგრძობს ნაპირების ნგრევას, რის გამო კალაპოტის სიფართოვე დაახლოვებით ას საჟენს უდრის. ღელეში ძალიან დიდი ქვებია. კაცს არ შეუძლია გაიაროს ისე, რომ ფეხი არ დაისველოს, ამ ვეებერთელა ქვებზე დატვირთულ ურმის გორაობა ხომ ჯოჯოხეთს წარმოადგენს. ამის გარდა აქ გადის ხშირად ეტლებით ჩანახისაკენ და ლალვარისაკენ მიმავალი ხალხი, ამავე გზით ხშირად მოგზაურობენ აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებების რევიზორები და ზაფხულობით მოაგარაკენი ამ გზით მიდის გლეხები შაუმიანის ბაზრისაკენ შემდეგი სოფლებიდან: სიონი, ახკულა, წერაქვი, ხოხმელი, დამია, ხოჟორი და მრავალი სხვა, სულ 18 სოფლამდე. ყველა მოწადინებულია, რომ ამ ღელეზე გაკეთდეს ხიდი. დიდ დახმარებას ჰპირდებიან ამ საქმის ხელმძღვანელს, მაგრამ ყოველ საქმეს თაოსნობა უნდა და აქ აღარ აღმოჩნდა ჯერ-ჯერობით ისეთი ორგანო, რომელიც ამ საჭირ-ბოროტო საქმეს ხელმძღვანელობას გაუწევდა.

შალვა ქავზანაძე.

სონა მკითხავი

(ბორჯომი)

ბორჯომ-ბალში ჯორჯაძის ქუჩაზე, საქმიან გამვლელებს ხშირად ხვდება გლეხი ქალები, რომელნიც კითხულობენ „სონა მკითხავის" ბინას. მართლაც, სონას გავარდნილი აქვს სახელი როგორც დახელოვნებულ მკითხავს. განსაკუთრებით კვირაობით აწყდებიან მის ბინას, და ბაზარზე ნავაჭრ ორიოდ გროშს მატყუარა ქალს უტოვებენ. თვითონ სონა განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობა თავის პროფესიას. მასთან ჩამოსულ ქალებს ის საიდუმლო დარიგებას აძლევს, რათა მისი ბინა მხოლოდ ქალებს აცნობონ.

საჭიროა აილაგმოს ეს ქალბატონი.

ელბერდ.

რადიო სოფლად

(აჭარისტანი)

სოფ. ქვედა მარადიდი მდებარეობს ჭოროხის პირად. მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 950 სულს. აქ არსებობს 4 წლედი შრომის სკოლა, არის აგრეთვე ქოხ-სამკითხველო, სადაც მოდის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები და ერთი თურქული გაზეთი.

ამას გარდა ქოხ-სამკითხველოში არის დადგმული რადიო მიმღები აპარატი. ადგილობრივი მოსახლეობა კვირაში სამჯერ ისმენს ოპერებს, კონცერტებს და ლექცია-მოხსენებებს.

ხშირად გაიგონებ ადგილობრივ ფუხარა გლეხობიდან: ვინ იფიქრებდა, რომ ამ ჩვენს მიყრუებულ სოფლებში ამისთანა განათლებას შემოიტანდნენო.

ქ. მელქაძე.

მუშათა ცხოვრება

დღეს საღ. 6 საათზე რედაქციის ბინაზე შესდგება „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება

რა ქვია ამას?

ბედნიერი დღე იყო სადგ. კარაკლისისათვის 1925 წლის 12 აგვისტო. ამ დღეს ეწვია მას სანიტარული კომისია.

აღმოჩნდა, რომ სადგ. კარაკლისში ყოველ მხრივ უკიდურესი ანტისანიტარული მდგომარეობაა; სხვათა შორის გამოირკვა, რომ არც ერთი ჩასაფურთხებელი არ ყოფილა. მგზავრები პირდაპირ იატაკზე აფურთხებდენ.

კომისია ადგენს: მიეცეს სადგ. კარაკლისს 15 ჩასაფურთხებელი.

2 სექტემბერს გამგეობის ერთ ერთი წევრი სანიტარულ კომისიის ოქმზე აწერს დადგენილებას, რომ საფურთხებელი სადგ. კარაკლისისათვის უნდა შეიძინოს სამასალო სამსახურმა,

მაგრამ როგორ ფიქრობთ ამით თავდება საქმე? სრულიადაც არა.

კომისიის ოქმი გამგეობის წევრის რეზოლიუციით სამი თვის განმავლობაში სამასალო სამსახურში განისვენებს. მხოლოდ 3 დეკემბერს ეკითხება სამასალო სამსახური სალიანდაგო სამსახურს—რამდენი საფურთხებელი უნდა შევიძინოთო, მიუხედავად იმისა, რომ რეზოლიუციაში უკვე იყო აღნიშნული რაოდენობა, 21 დეკემბერს სალიანდაგო სამსახური ატყობინებს კარაკლისის უბნის უფროსს წარმოუდგინოს მოთხოვნილება მთავარ სამასალო საწყობს საფურთხებლებზე. 1926 წლ. 9 აპრილს, ე. ი. სამთვენახევრის შემდეგ ინება უბნის უფროსმა მთავარ სამასალო საწყობში მოთხოვნილების წაყენება. სამასალო საწყობში არ აღმოჩნდა საფურთხებლები.

ერთი თვის შემდეგ უბნის უფროსი სთხოვს სამასალო სამსახურს—დართოს ნება საფურთხებლების ბაზარზე შეძენის, და ამით ბოლო მოუღოს ამდენ დავიდარაბას და მიწერ-მოწერას.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მოაგონდათ სამასალო სამსახურში, რომ რკინის გზას აქვს სათუნუქო სახელოსნო, სადაც შეიძლება ჩასაფურთხებლების გაკეთება.

მიდის სასწრაფო შეკითხვა სახელოსნოს: რამდენ დროში დაამზადებთ და რა ღირს 15 საფურთხებელი.

7 ივლისს სახელოსნო უპასუხებს: დავამზადებთ 10 დღეში; ეღირება თითო ცალი 4 მ. 45 კაპ.

ეს ამბავი გაიგეს კარაკლისელებმა. სიხარულით ცას წვდებიან. ერთი წელიწადი მოუნდა ჩვენამდე საფურთხებლების ჩამოტანას, მაგრამ ეხლა მაინც ხომ ვეღირსეთო.

ასე ფიქრობდენ კარაკლისელები, მაგრამ სხვაფერ მსჯელობდენ „უფროსები", შეიქნა მიწერ-მოწერა—აბა ვინ უნდა გადაიხადოს შეძენის ფული.

24 ივლისს ეკითხებიან უბნის უფროსს—ვის ანგარიშზე უნდა იქნეს შეძენილი ჩასაფურთხებლებიო.

მხოლოდ ორი თვის შემდეგ—23 სექტემბერს აძლევს ამაზე პასუხს უბნის უფროსი.

არავინ იფიქროს, რომ ამ პასუხით გათავდა საქმე; საკითხი ამოიწურა. იმ უბედურ დღეზე დაწერილმა ოქმმა სადგ. კარაკლისისათვის 15 ჩასაფურთხებლის შეძენის შესახებ ასე იარა ერთი სამსახურიდან მეორეში, ერთი განყოფილებიდან მეორეში, ერთი საწყობიდან მეორეში 1926 წლის 17 დეკემბრამდე—ამ ხნის განმავლობაში ვერ გადაწყდა ვის უნდა შეეძინა და გადაეხადა ფული.

17 დეკემბერს ეს მიწერ-მოწერა შემთხვევით ხელში ჩაუვარდა გზათა გამგეობის თავმჯდომარეს. აქ ეღირსა საკითხს მოგვარება.

15 საფურთხებლის შეძენას დასჭირდა 450 დღეზე მეტი და დაიხარჯა აუარება მელანი, აუარება ქაღალდი.

რა ქვია ამას?

ტ.

ამერიკული სისტემა საჭიროა, მხოლოდ უნდა განმტკიცდეს დისციპლინა

საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარმა თბილისში ყოფნის დროს, გადაჭრით განაცხადა, რომ აუცილებლად შემოღებულ უნდა იქნეს რკინის გზებზე ამერიკული სისტემით მიმოსვლა. ზოგიერთ ამხანაგებს ეს განცხადება მაინც და მაინც არაფრად მოუვიდათ ჭკუაში, რადგანაც ეს ამხანაგები მთელი თავისი არსებით წინააღმდეგი არიან ამერიკული სისტემის შემოღების.

ამერიკული სისტემის შემოღების შემდეგ ორთქლმავალს არ ეყოლება პატრონი, არ ეყოლება ცალკე მიმაგრებული ბრიგადა, რომელიც თავის საკუთრებასავით მოუაროს ორთქლმავალს. „ამერიკული სისტემის დროს ორთქლმავალზე დღეს ერთი მემანქანე იქნება, ხვალ მეორე, ზეგ მესამე—და არც ერთი არ იზრუნებს ორთქლმავლის მოვლაზე, რაც გამოიწვევს ორთქლმავლების დაავადებას და ჩვენი ტრანსპორტის მოშლას. ასე ამბობენ ეს ამხანაგები.

თავის თავად ცხადია ეს ამხანაგები ჩვენი მეურნეობის, ჩვენი ტრანსპორტის ინტერესებიდან გამოდიან. ამერიკულ სისტემას ერთი დიდი უპირატესობა აქვს—ეს ის, რომ ორთქლმავლები არ გაცდებიან, მუდამ მუშაობაში იქნება, ჩვენს რკინის გზაზე მოძრაობა უფრო გადიდდება. ამას კი ჩვენთვის დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რუსეთში, ზოგიერთ უბნებში 2-3 თვეა უკვე შემოიღეს ამერიკული სისტემა; ზოგს სამი-ოთხი თვის გამოცდილება აქვს, ზოგს კი ერთი წლისაც. ცხადია, ამერიკულ სისტემას აქვს უარყოფითი მხარეები: ორთქლმავლის ბრიგადები არ აქცევენ ყურადღებას ორთქლმავალს, რა უფუჭდება, რა აქვს შესაკეთებელი, თავის დროზე არ შეაქვთ ის წიგნში. რემონტის მუშები თავის დროზე არ უკეთებენ რემონტს და სხ. ამას აქვს ადგილი. მაგრამ ეს არ არის ისეთი, რომლის დაძლევა არ შეიძლებოდეს. ამისათვის საჭიროა, რომ დამყარებული იქნეს მაგარი დისციპლინა. ყველა ორთქლმავალი ორთქლმავლის ბრიგადისათვის ერთი უნდა იყოს, და ყველას ერთნაირად უნდა უვლიდეს, ერთნაირი მომჭირნეობით ეპყრობოდეს. მათი მიზანი უნდა იყვეს ტრანსპორტის გაჯანსაღება, ორთქლმავლების მაქსიმალური გამოყენება. ეს კი შესაძლო გახდება ამერიკული სისტემით, თუ ჩვენ შევსძლებთ ნამდვილი დისციპლინის შექმნას. რკინის გზის ყოველმა მუშაკმა ამას უნდა შეუწყოს ხელი. მაგარი შრომის დისციპლინის განმტკიცება—აი რას უნდა მიექცეს ყურადღება.

ო.

გულგრილობას აქვს ადგილი

ზოგიერთ დაწესებულებაში საწარმოო თათბირების მუშაობა ვერ არის სათანადოთ ჩამოყალიბებული. ეწყობა სხდომები, არის მსჯელობა და მსჯელობის შემდეგ გამოაქვთ დადგენილებები; ეს ასე უნდა გაკეთდეს, მაგრამ ბოლოს კი არაფერი კეთდება რიგზე და თავის დროზე.

1925 წელს მთ. სახელოსნოს სადურგლო თათბირის სხდომაზე გადაწყდა, რომ სახერხი მანქანა № 676 უნდა შეკეთებულიყო, რადგან ის წამხდარი იყო და სათანადოთ ვერ მუშაობდა. ამის შესახებ მთელი 1926 წლის განმავლობაში იარეს სპეციალისტებმა, ზომეს იქით, აქეთ და როგორც იყო 1927 წლის დასაწყისში ეღირსა სახერხ მანქანას დაშლა. მაგრამ ერთი კვირა აკეთებენ, აკეთებენ, მეორე კვირას შლიან, არღვევენ და მაინც ვერ აამუშავეს. საინტერესოა გაგება — ნუ თუ ა.-კ. რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს არ შეუძლია ასეთი წვრიმანის შეკეთება შესრულოს თავის დროზე. მაგრამ ეტყობა ცოტა გულგრილობას აქვს ადგილი წარმოებაში.

მ. ლან. ტ.-პირელი.

მუშათა ქრონიკა

— **კულტთათბირი.** ა.-კ კულტთათბირი გაიხსნება ა.-წ. 15 აპრილს.

— **50 მან. დახმარება.** ტრანსპორტზე მომუშავეთა ც.-გ. გადაუგზავნა ქუთაისის სამაზრო ადგილკომს უმუშევართათვის დასახმარებლად 50 მან.

— **კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი".** —კოლოფების ფაბრიკამ „ინტერნაციონალმა" მარტის თვის განმავლობაში დაამზადა თამბაქოს ტრესტის ქარხნების საჭიროებისათვის, სხვადასხვა მარკის **2.813.879** ცალი პაპიროსის კოლოფი.

— ამავე თვეს ქარხანამ სარეალიზაციოდ დაოპერატივებისათვის და საკონდიტროებისათვის სხვადასხვა სახის — 41.655 ცალი კოლოფი

— ამავე თვეს (მარტში) ქარხანამ მიიღო საბჭოთა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან — **38.240** კილო რუსეთის თეთრი კარდონი.

პროფკავშირების ქრონიკა

— **სიღნაღის ნავთი.** სიღნაღის სამაზრო პროფბიუროსაგან მიღებულ ცნობებით სიღნაღის ნავთის მუშაობას უკვე შეუდგენ.

— **წევრთა რაოდენობა.** სიღნაღის სამაზრო პროფბიუროს გაერთიანებულ წევრთა რაოდენობა ამჟამად უდრის 4.453 კაცს.

— **ქუთაისი.** ქუთაისის სამაზრო პროფბიურო გადატანილია ქალაქ ზესტაფონში.

— **ადგილკომის დაარსება.** მედსანშრომის კავშირის ც. გ. მიზანშეწონილად სცნო ვერის ამბულატორიის თანამშრომელთათვის დაარსდეს ადგილკომი.

რკინისგზებზე

მგზავრობის გასაუმჯობესებლად

მგზავრების მატარებელში ჩასხდომა, განსაკუთრებით დიდ სადგურებში უმეტესად არა ნორმალურ პირობებში ხდება. ხშირად აქვს ადგილი უწესრიგობას.

არის შემთხვევები, როდესაც მგზავრების ადგილებს იკავებენ მატარებლის გამყოლი ბრიგადები

უნდა აღინიშნოს, გზებზე მოძრავი მატარებლების რიცხვი სავსებით საკმარისია მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და უმეტეს შემთხვევებში თვითეული მათგანი 15—20 პროცენტით აუვსებელი რჩება. ცხადია ასეთ პირობებში მგზავრების ამატარებლებში ჩასხდომის დროს რაიმე უწესრიგობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ყველა აქ ჩამოთვლილ არანორმალურ მოვლენებს მიაქცია ყურადღება გზათა-მიმოსვლის სახალხო კომისარიატმა, რომლის აზრით ყოველივე ეს ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ სადგურებზე და ხაზებზე მომუშავე გზის ადმინისტრაცია არ აქცევს სათანადო ყურადღებას მგზავრების რონოდების ჩასხდომის საქმეს.

ამის გამო კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა რკინის გზებს, მიიღონ მთელი რიგი ზომებისა, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს:

სადგურების სალაროები უსათუოდ უნდა გაიღოს ერთი საათით ადრე მატარებლის გასვლამდე. მატარებლის შემადგენლობა მგზავრების ჩასასხდომად უნდა ჩამოაყენონ იმ ანგარიშით, რომ დაცულ იქნეს მგზავრების ნორმალურად ჩასხდომა რონოდებში, მხოლოდ არა უგვიანეს ერთი საათისა მატარებლის გასვლამდე.

ბილეთების გასინჯვა რონოდებში შესვლის წინ უნდა ხდებოდეს უაღრესად მოკლე დროში. მგზავრების ჩასხდომისას, კონდუქტორები და რონოდების გამყოლები უნდა იდგენ თავის ადგილზე.

მგზავრების ჩასხდომას აუცილებლად უნდა ადევნოს თვალყური სადგურის უფროსი, ან მისი თანაშემწე მათ თვალყური ადევნონ წესრიგს და გასცენ საჭირო განკარგულება.

სადგურის მორიგეს სადგურის ბაქანზე მატარებლის გასაშვებათ გამოსვლის დროს, ხელში უნდა ეჭიროს მოწმობის წიგნაკი; მოწმობა უნდა მისცეს იმ მგზავრებს, რომელთაც ვერ მიასწრეს ბილეთის აღება. ეს მოწმობები ასეთ მგზავრებს მისცემს შემდეგ სადგურამდე მგზავრობის საშუალებას.

მატარებლის მოსამსახურე ბრიგადებს კატეგორიულად ეკრძალებათ მგზავრებისათვის მიჩნეული ადგილების დაკავება რონოდებში.

ყველა აქ ჩამოთვლილ ღონისძიებათა გატარება მით უმეტეს აუცილებელია, რომ უკვე ახლოვდება საზაფხულო სეზონი, როდესაც მგზავრების მოძრაობა საგრძნობლად გაიზრდება.

გურულების თხოვნა

სოფ. გომის (ოზურგეთის მაზრა) მცხოვრებლებმა სთხოვეს ამიერ-კავკასიის რკ. გზ. გამგეობას დაუთმოს მათ რკინის მასალები მდ. ბუსუჯზე ხიდის ასაგებათ.

ეს საკითხი განხილული იქნება გამგეობაში.

მაისში ნავთის პროდუქტების ექსპორტი გაძლიერდება

გზათა - მიმოსვლის კომისარიატის წინადადებით, მუშაობა ა.-კ. რკ. გზების გატარებითი უნარიანობის გასაძლიერებლად წარმოებულ უნდა იქნეს დაჩქარებულის წესით, იმ ანგარიშით, რომ იგი აღმოსავლეთის ხაზზე დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს — 15 მაისისა, ხოლო დასავლეთის ხაზზე რაც შეიძლება უფრო მოკლე ხანში.

სარემონტო მუშაობისათვის საჭირო ნაწილების მიღების დასაჩქარებლად, კომისარიატმა სთხოვა ა.-კ. რკ. გზებს დაუყოვნებლივ გაუგზავნოს სია საბჭოთა კავშირის იმ ქარხნებისა, რომლებიც თავის დროზე არ ასრულებენ აღებულ დაკვეთებს.

გზათა კომისარიატმა ამასთანავე დამატებით გადასდო თანხები თბ. მთავარ სახელოსნოების გადასაკეთებლად. ამავე დროს გზას მიცემული აქვს წინადადება შეამციროს ავადმყოფ მოძრავ შემადგენლობის რიცხვი.

ყველა ამ ღონისძიებათა გატარების შემდეგ ა.-წ. 15 მაისიდან გათვალისწინებულია საექსპორტო ნავთის პროდუქტების ჩასხმის გადიდება —280 ცისტერნამდე დღე-ღამეში. აქედან საექსპორტო ბენზინის ჩასხმა განისაზღვრება 70 ცისტერნით.

ამასთანავე გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კ. რკ. გზ. დააჩქაროს ცისტერნების მოწყობა კაზანცევის მუხრუჭებით.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ა.-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ხარჯთაღრიცხვა

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. ფინსახკომს ახალი სამეურნეო წლის ბიუჯეტის შედგენის დროს გაითვალისწინოს ა.-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ხარჯთაღრიცხვის გადიდების აუცილებლობა: ხარჯთაღრიცხვის გადიდება საჭიროა სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესებისა და სტატისტიკური მუშაობის გაფართოებული გეგმის შესრულების მიზნით.

ავტომობილების მოძრაობის მოწესრიგება

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა გზათა კომისარიატის რწმუნებულს აიღოს ზომები, რომ გატარებულ იქნეს ცხოვრებაში საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება ავტომობილების მოძრაობის მოწესრიგების შესახებ.

აგროდახმარება

სენაკის მაზრაში

მიმდინარე წლის თებერვლის განმავლობაში სენაკის მაზრაში სხვადასხვა რაიონში ადგილობრივ აგრონომების მიერ გამართული იყო 36 საუბარი გლეხებთან, შემდეგ თემებზე: ადრეული ხვნა, საქონლის კვება, წესიერი პლანტაჟი ვენახებში და ამერიკული ვაზის შერჩევა; რაციონალურ ბოსტნის მოწყობა, ფრინველის მოვლა, ცოცხალი ღობის მნიშვნელობა, ბრძოლა ხილის მავნებლებთან. საუბრის დროს გლეხებს დაურიგეს 99 პოპულიარული სას.-სამ. წიგნაკი. კურსებს დაესწრო 1492 კაცი. აგრონომიულ ბიბლიოთეკით ისარგებლა 458 კაცმა. მაზრის 82 ადგილას მოწყობილი იყო საჩვენებელი ნაკვეთები; ამას გარდა აგრონომები განმარტებას აძლევდენ გლეხებს სხვადასხვა სას.-სამეურნეო საკითხებზე.

სახელმწიფო დაზღვევა

დაზღვევა ცეცხლისაგან

ცეცხლისაგან დაზღვევის საქმე თანდათანობით ფართოვდება. დამზღვევთა რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო ისახავს რა მიზნად, რომ სტიქიური უბედურებისაგან ქონების დაზღვევა მისაწვდომი გახადოს ყველა მუშა-მოსამსახურე და ღარიბ მოქალაქეთათვის, თანდათან ამცირებს სატარიფო წლიურ განაკვეთს. მაგალითად, 1925—26 წელში სატარიფო განაკვეთი ქალაქ თბილისისათვის 32 კაპეიკიდან შემცირებულ იქნა 10 კაპეიკამდე დაზღვევის ყოველ 100 მანეთზე, როგორც მოძრავს, ისე უძრავ ქონებაზე. ამასთან ერთად ძლიერ გამარტივებულია თვით დაზღვევის ფორმალური მხარე. ქონების დამზღვევი მსურველმა წერილობით ან სიტყვიერათ უნდა განაცხადოს ამის შესახებ სახელმწიფო დამზღ. კანტორაში. კანტორა დაუყოვნებლივ გზავნის მასთან აგენტს, რომელიც ახდენს დაზღვევას.

ფასების დაკლების

კამპანია თელავის მაზრაში

მრავალმა სავაჭრო ორგანიზაციებმა თელავის მაზრაში კამპანია ფასების დაკლების შესახებ გაიგეს, როგორც საქონლის გადაფასება და დაუკლეს ფასები მოგების ხარჯზე, არ მიიღეს რა სხვა არა ვითარი ზომები. ყველაზე ენერგიული აღმოჩნდა თელავის მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოება, რომელმაც ფასების დაკლება მოახდინა ნაწილობრივ აპარატის რაციონალიზაციის ხარჯზე, სახელდობრ: გააუქმა ერთი განყოფილება საქმისათვის ზიანის მიუყენებლად, შეამცირა ნავთის გამტარებელი პუნქტები, გააუმჯობესა ბრუნვა და დარჩენილი პუნქტების მუშაობა, იჯარით გასცა ფურნე, რომელსაც ზარალი მოჰქონდა და სხვა. ამიტომ ფასების დაკლება გამოიხატა შემდეგში: ძაფზე ფასები დაკლებულია 20 პროცენტით, ნარმაზე, ჩითზე და სატინაზე 4-6 პროც., შაქარზე — 6 პროცენტი, ტყავზე 20 პროცენტით და სხვა. საშუალოდ ფასები დაკლებულია 7 პროცენტით. ამ ფაქტმა დიდი არევ-დარევა გამოიწვია თელავის კერძო ვაჭრებში, რადგან გლეხები მიაწყდენ კოოპერატივის მაღაზიებს. ბოლოსდაბოლოს კერძო ვაჭრებიც იძულებული იყვენ დაეკლოთ ფასები ყველა საქონელზე, გარდა იმ საქონლისა, რომელიც კოოპერატივში არ იშოვება, ანდა ცოტაა.

ფასების დაკლება გატარდა აგრეთვე სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებებში, თუმცა ყველგან არა. ასე, მაგალითად, ახალ სოფლის მთლიანმა სამომხმარებლო საზოგადოებამ თეთრი ძაფის ფასები შეამცირა 15 კაპეიკამდე, მისმა განყოფილებამ კი ახალ გავაზში 17 ნახევარ კაპეიკამდე.

გლეხების დასახლება

ახალ მიწებზე

მიწსახკომის მიწათ-მოქმედების განყოფილების ცნობით, საქართველოს გასაბჭოების დღიდან 1927 წლის 1 იანვრამდე აღმოსავლეთ საქართველოს შვიდ მაზრაში გადასახლდა სხვადასხვა ადგილებიდან: თბილისის მაზრაში—559 კომლი, ბორჩალოს მაზრაში—28 კომლი, სიღნაღის მაზრაში—199 კომლი, თელავის მაზრაში 212 კომლი, გორის მაზრაში—92 კომლი, დუშეთის მაზრაში—28 კომლი, ახალქალაქის მაზრაში—211 კომლი, სულ დასახლდა ახლად 1339 კომლი, აქედან ქართველი—437 კომლი (33 პროც.); რუსი—409 კომლი (30 პროც.); თათარი—74 კომლი (6 პროც.); სომეხი—234 კომლი (14 პროც.); გერმანელი—122 კომლი (9 პროც.); ოსი—40 კომლი (3 პროც.) და აისორი—23 კომლი (2 პროც.).

ავადმყოფების კვების

ახალი წესი

ჯანსახკომის თანამშრომელმა ამხ. ხეცაძემ დაამუშავა სანატორიუმებში, სამკურნალო დაწესებულებებში და საავადმყოფოებში მოთავსებულ ავადმყოფთა კვების ახალი წესი. აღნიშნული წესით უარყოფილია ამჟამად არსებული ე. წ. „ყაზარმული" კვება და შემოღებულია ულუფათა ამორჩევის სისტემა.

ექიმების აზრით, ამ ახალი სისტემის შემოღება ხელსაყრელია იმით, რომ ერთის მხრივ ავადმყოფებს განუვითარდებათ მადა და მეორეს მხრივ სახელმწიფოს ამით არაფერი ზედმეტი ხარჯების გაწევა არ მოუხდება. ახალი სისტემის შემოსაღებათ ავტორმა დაამუშავა ვრცელი პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელშიაც მოყვანილია საჭმელების დამზადების რეცეპტები.

სახელმძღვანელო განსახილველად წარედგინება საკურორტო სამმართველოს, რომელსაც განზრახვა აქვს მომავალი საკურორტო სეზონიდან შემოიღოს ავათმყოფთა კვების ეს ახალი სისტემა.

ბუნების ძეგლთა

დაცვა

განათლების კომისარიატის ბუნების ძეგლთა დაცვის სექციამ პროფ. ქურდიანის მოხსენების თანახმად ყორუღებათ (ზაპოვედნიკი) გამოაცხადა 1) ელდარის ფიჭვი (ყარაიაზში), 2) ბიჭვინთის ფიჭვი (აფხაზეთი), 3) მარიან ჯვარის სახეცვლილი ფიჭვნარი (გარე-კახეთი), 4) ბაწარის ხეობის უთხოვარი (კახეთი), 5) გოგნის ბზანარა (ოკრიბა, ქუთ. მაზრა), 6) ლაგოდეხის ხეობა სივრცით 3500 დესეტინა, 7) გორდის პარკი (სენაკის მაზრა), 8) ზუგდიდის პარკი, 9) ბორჯომის: შავი ტყე 24 ჰექტარი, ნაძვრევი—365 ჰექტარი და 10) კოჯორის საბავშვო ბაღის ბაღი (სუმბათაშვილისეული). ამავე სექციამ დაადგინა ძველი ხეების დაცვის მიზნით ხელუხლებლად დაცული უნდა იქნას საყდრების გალავანში და მათ რაიონებში აღმოცენებული ძველი ხეები, აგრეთვე აკრძალულია უხნიერესი ხეების მოჭრა მთელ რესპუბლიკაში. სექციამ შუამდგომლობა აღძრა მიწსახკომ. კომისარიატის წინაშე, რათა ტყის მცველების საშუალებით შედგენილი იქნას რესპუბლიკაში დაცულ უძველესი ხეების და იშვიათი ხეების ჯიშის სიები, მათი დაცვისა და გამოკვლევის მიზნით.

ზაჰესის ამუშავების გამო

რამდენად მტკიცეთაა აგებული ზაჰესი

ზაჰესის მომავალ საბოლოო ექსპლოატაციაში გადასვლასთან დაკავშირებით, წამოჭრილია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მტკიცეთაა შესრულებული ზაჰესის სხვადასხვა ნაგებობანი და მოსალოდნელი იქნება თუ არა ქალაქისათვის ელდენის მიწოდების დროებით შეწყვეტა. ამის შესახებ ჩვენი თანამშრომელი შეეკითხა სხვადასხვა გამოჩენილ სპეციალისტებს, რომლებმაც შემდეგი განაცხადეს:

— ჰიდრო-ელსადგურების ისტორიაში ხშირია დიდი კატასტროფების შემთხვევები. ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ამერიკაში მდინარემ მოგლიჯა სადგურის მთავარი ჯებირი. ხშირათ ხდება ისიც, რომ წყალი გააფუჭებს მთავარი არხის კალაპოტს და გაჟონავს. არის აგრეთვე სხვა ხასიათის შემთხვევებიც.

ზაჰესის აგების დროს მთავარი ყურადღება ექცეოდა ნაგებობათა სიმტკიცეს. მაგალითად ზაჰესის მთავარი კაშხალის ჯებირი ისე მტკიცედაა გაკეთებული, რომ ყოვლად შეუძლებელია წარმოდგენა ისეთი ძალის, რომელმაც ის მოანგრიოს, ჯებირის პროექტის გამოსამუშავებლად განხილული იყო ორი ვარიანტი. ერთი ვარიანტით აღებული იყო მდინარე მტკვარის ადიდების შესახებ შემუშავებული სტატისტიკური ცნობები გასულ 50 წლის განმავლობაში, ხოლო მეორე ვარიანტით, რომელიც გერმანელმა სპეციალისტებმა წარმოადგინეს—გასული ასი წლის განმავლობაში. მაშასადამე, რომ ადგილი ექნეს ამ ასი წლის განმავლობაში მომხდარ უდიდეს წყალდიდობის მაგვარ წყალდიდობას, მას ზაჰესის ჯებირი ადვილათ აიტანს. ჯებირის სიმტკიცე კიდევ უფრო გააორკეცა მდინარის იშვიათად მოხდენილმა კალაპოტმა. იმ ადგილას, სადაც ჯებირია, აღმოჩნდა პიტალო კლდე, რომელსაც ჰქონდა ბუნებრივი ჯურღმულები. ჯებირის საძირკველი ჩამჯდარია თავისი ბეტონის ნერვებით ხწორედ ამ ამოხრულ ადგილებში.

ზაჰესის მუშაობის დროებითი შეჩერება შესაძლებელია გამოიწვიოს აგრეგატების ან ტრანსფორმატორების გაფუჭებამ. წარმოუდგენელია, რომ ერთ და იმავე დროს გაფუჭდეს ოთხივე აგრეგატი, ხოლო ზოგიერთი მათგანი რომ გაფუჭდეს კიდეც, მათი მუშაობა სასწრაფოდ შეცვლილ იქნება დანარჩენი აგრეგატებით. იგივე ითქმის ტრანსფორმატორების შესახებაც.

ზაჰესის მუშაობაზე მთავარი არხის დეფექტს არ შეუძლია დიდ გავლენის მოხდენა, რადგან წყალის მარაგი ძალიან დიდია და რამდენიც არ უნდა გაჟონოს წყალმა, საგუბარში დაგროვილი წყალი მაინც ეყოფა საგენერატორო სადგურს. მთავარი არხი ისე საფუძვლიანათაა გამოცდილი, რომ მისი გაფუჭება არაა მოსალოდნელი რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში.

დარჩა უკანასკნელი მოსალოდნელობა, ეს ელდენის გადამცემი ქსელის გაფუჭების შესაძლებლობა. ტეხნიკური გამოცდილებით ყოველმა ახლად გაყვანილმა ქსელმა უნდა გასძლოს 25 წელიწადი. მაშასადამე ზაჰესის ელდენის გამტარ ქსელს დასჭირდება სრული გამოცვლა-განახლება 1952 წელს. ამ დროისათვის თბილისს, გარდა ზაჰესის ელდენისა, გადაეცემა აგრეთვე რაიონის ჰიდრო-ელსადგურის ენერგია, ისე, რომ ზაჰესის შეჩერება აღარ იქნება თბილისისათვის საშიში. პირველ ხანებში კი შესაძლებელია ქსელის ზოგიერთ ადგილებში დაზიანება, რის შეკეთებასაც მხოლოდ რამოდენიმე საათი დასჭირდება.

მიუხედავათ ამისა, ზაჰესის ამუშავების პირველ ხანებში თბილისში მაინც მორიგებათ დატოვებული იქნება ზოგიერთი ელექტრო-სადგურები.

სად უნდა მოვიწვიოთ „მწყემსი"-ს ყრილობა?

(წინადადების სახით)

მეცხვარეთა კოოპ. ამხ. „მწყემსი"-ს ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმს განზრახვა აქვს მოიწვიოს ყრილობა ქვემო-მაჩხაანში, სიღნაღის მაზრაში. ჩემის აზრით, ბევრად უკეთესი იქნებოდა, ყრილობა მოწვეული ყოფილიყო თბილისში. ამით ჯერ ერთი საშუალება მიეცემათ ხელისუფლების წარმომადგენლებს ახლოს გაეცნონ ამ ფრიად სასარგებლო მეურნეობის ცხოვრებას. გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია შემდეგი გარემოება: დელეგატები, რომელთა რიცხვი ასობით განისაზღვრება, მაჩხაანში მოკლებულნი არიან ღამის გასათევსა და მოსასვენებელ ადგილებს.

აქ საქართველოს ყოველ მხრიდან მოსული დელეგატები ღამის გასათევად აწუხებენ ადგილობრივ მოსახლეობას. ხშირად დელეგატებისათვის აქ საჭმელის შოვნაც კი ძნელია. თბილისში კი არც ერთი ეს დაბრკოლება არაა. ყოველგვარი საშუალება გვაქვს.

სხვა, რომ არა იყოს რა, თბილისიდან „მწყემსი"-ს ყოველ ყრილობაზე მიიწვევენ ხოლმე სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებს, რაიც იწვევს აუარებელ ხარჯებს. ერთი სტუმრის ხარჯი, დაჰფარავს ჩამოსულ 10 და 15 ჩამოსულ დელეგატების ხარჯს.

მე მგონია ამ გარემოებას ანგარიშს გაუწევს ცენტრალური საბჭო და აუცილებლად თბილისში მოიწვევს ყრილობას.

შაქრო ნავთლუღელი.

ევროპის კოოპერატიული დელეგაციები მოემგზავრებიან საქართველოში

საქართველოს კოოპერაციის მდგომარეობასთან გასაცნობათ, ზაფხულში ჩვენში მოელიან ევროპის სხვადასხვა ქვეყნების კოოპერატიულ დელეგაციებს.

დელეგაციების მისაღებათ ცეკავშირთან შექმნილია სპეციალური კომისია.

ცეკავშირში მიღებულ ცნობით პირველი დელეგაცია ჩამოვა მაისის დამლევს ჩეხო-სლოვაკიიდან.

შავი-ქვის

მრეწველობა

ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში ამჟამად ტარდება მუშაობის ნაწილობრივი მექანიზაცია: დადგმულია ექსკავატორი, რომელიც 4—5 წუთში ტვირთავს რონოდებს 800 ტონა შავი ქვით. თითო დაყრაზე ესკავატორი რონოდაზე აყრის ერთ-ნახევარ ტონა შავ-ქვას. ამას გარდა სამრეწველო რაიონში ეწყობა შავი-ქვის გადაზიდვა გამოკიდებული გზის საშუალებით.

წარმომადგენლობათა ლიკვიდაცია

ამიერ - კავკასიის და საქართველოს მუშ. და გლეხთა ინსპექციების დადგენილების თანახმად, ა.-კ. კოოპერატივთა კავშირში შესდგა თათბირი წარმომადგენლობათა ლიკვიდაციის შესახებ.

თათბირს დაესწრენ კოოპერაციის, სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების და შინა-ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენლები.

თათბირმა გამოიტანა დადგენილება, იმის შესახებ, რომ ზოგიერთ წარმომადგენლობათა ფუნქციების გადაცემა შესაძლებელია კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებისათვის.

თათბირზე გამოირკვა, რომ კოოპერაცია სავსებით მიიღებს თავის თავზე საფეიქრო სინდიკატის სელის ქსოვილებით მოვაჭრე მაღაზიის და რეზინის ტრესტის ფუნქციებს. „აზთევზი"-ს წარმომადგენლობაზე დასთანხმდა თბილისის მუშკოოპი. საქ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ მიიღო თავის თავზე სახელმწიფო ფერად ლითონების მრეწველობის და „ტეჟე"-ს წარმომადგენლობა.

შაქრის ტრესტის, საფეიქრო სინდიკატის და ქაღალდის ტრესტის შესახებ გარკვეული დადგენილება თათბირს არ გამოუტანია; საკითხი გადაწყვეტილი იქნება იმის შემდეგ, როცა გამორკვეული იქნება ყველა ის მომენტები, რომლებიც დაკავშირებულია მათ ლიკვიდაციასთან.

საკითხი ზეთისა და ქონის სინდიკატის და კავკასიის მინერალური წყლების წარმომადგენლობის შესახებ ღიად დარჩა; ივი გამორკვეული იქნება შინა - ვაჭრობის კომისარიატთან ერთად.

წითელ ჯარში

სამხედრო კორესპონდენტთა მუშაობა

(№ ქართული დივიზია).

იმ პოლიტიკურ მუშაობაში, რომელიც წითელ არმიაში ტარდება, სამკორთა მოძრაობას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ისე, როგორც მუშკორის ამოცანას წარმოადგენს დახმარების გაწევა მრეწველობის განვითარების საქმისათვის, სამკორები თავის მუშაობით ყოველმხრივ უწყობენ ხელს ქვეყნის თავდაცვის და წითელ არმიის მშენებლობის საქმეს. გარდა ამისა, სამკორთა მოძრაობის საშუალებით აქტიურ მუშაობაში ებმება მუშებისა და გლეხების მასები, რომელნიც წითელ არმიის რიგებში იმყოფებიან. სამკორთა მოძრაობის პირველ სკოლას წითელ არმიაში წარმოადგენენ კედლის გაზეთები, რაც არის ჩამოყალიბებული ყოველ ასეულში და ცალკე ერთეულში. გარდა ამისა, სამკორები თანამშრომლობენ ქართულ სამხედრო გაზეთ „წითელ არმიელში" და სამოქალაქო გაზეთების სამხედრო განყოფილებებში. ამას წინეთ დამთავრდა ქუთაისის გარნიზონის სამკორთა კონფერენცია, რომელმაც ჯამი გაუკეთა სამკორთა მოძრაობის ძირითად მიღწევებს. კონფერენციის ყურადღების ცენტრში იყო დასმული სამკორებთან აღმზრდელობითი მუშაობის საკითხი. კედლის გაზეთების სამკორთა წრეების სისტემა, რედკოლეგიების წევრთა სემინარები, მუშაობა კედლის გაზეთებში და სამხედრო და სამოქალაქო პრესაში,—აი ძირითადი მომენტები აღმზრდელობითი მუშაობისა სამკორებთან. თვითეულ ასეულში არის ჩამოყალიბებული არა მარტო კედლის გაზეთის გამოცემა, არამედ დამთავრებულია გადასვლა სამკორთა წრეების სისტემაზე ასეულის მასშტაბით, რაც დიდ მიღწევად ჩაითვლება. საკორესპონდენტო მუშაობით დაინტერესებული არიან არა მარტო წერა-კითხვის მცოდნე წითელარმიელები, არამედ მცირე მცოდნენიც. იყო აგრეთვე დამახასიათებელი შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის, ჯერ წერა-კითხვის არამცოდნე წითელარმიელი მიმართავდა კედლის გაზეთის რედკოლეგიას თხოვნით, რომ მისი აზრები ამა თუ იმ საკითხებზე იქნეს მოყვანილი კედლის გაზეთში. რა თქმა უნდა, ასეთი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა. როგორც კონფერენციაზე გამოირკვა, სამკორთა წრეები ამჟამად ერთერთ უმთავრეს როლს თამაშობენ სამხედრო ნაწილების სკოლის გარეშე მუშაობაში. სამწუხაროდ, საგრძნობლად აფერხებს მუშაობას ქართულ ენაზე ლიტერატურის უქონლობა მუშგლებკორთა და სამკორთა მოძრაობის შესახებ. კონფერენციამ აღნიშნა აგრეთვე, რომ თვით სამკორები სუსტად აწარმოებენ მუშგლებკორთა მოძრაობის შესწავლას, რაც უნდა მოეწეროს სამკორთა ორგანიზაციების სუსტ კავშირს მუშგლებკორთა ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება მიექცა ასეულის კედლის გაზეთების მუშაობას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კედლის გაზეთების გამოცემაში მონაწილეობას ღებულობენ უმთავრესად რიგის წითელარმიელები, რომელნიც რედკოლეგიების წევრთა შემადგენლობაში უმრავლესობას წარმოადგენენ. ამავე დროს დიდი ყურადღება ექცევა უპარტიო წითელარმიელთა მასის ჩაბმას კედლის გაზეთის ირგვლივ მუშაობაში.

მიღწევებთან ერთად იყო აღნიშნული მთელი რიგი სუსტი მხარეებისა სამკორთა მუშაობაში და განსაკუთრებით კედლის გაზეთების შინაარსში. ასე, მაგალითად ძლიერ სუსტია საქმიო შემადგენლობის მონაწილეობა კედლის გაზეთებში, მიუხედავათ იმისა, რომ წითელარმიელთა მასა ძლიერ დაინტერესებულია სანიტარიო და ჰიგიენის საკითხებით. სუსტია აგრეთვე კედლის გაზეთების სამხატვრო მხარე, რის გამო კონფერენციამ სცნო სასურველად გაძლიერდეს სამხატვრო წრეების მუშაობა ნაწილებში. იქნება გაუმჯობესებული აგრეთვე იუმორისტული განყოფილებაც.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კონფერენციამ მჭიდრო კავშირის დაჭერის საქმეს მუშგლებკორთა ადგილობრივ ორგანიზაციებთან. ამ კავშირის გაუმჯობესების მიზნით იქნება მოწესრიგებული კედლის გაზეთების გაცვლა-გამოცვლა, სამკორების თანამშრომლობა ადგილობრივ კედლის გაზეთებში და, პირიქით, გაერთიანებული თათბირების მოწყობა და სხვ. კონფერენციამ აღნიშნა აგრეთვე, რომ, როგორც ადგილობრივ კედლის გაზეთებში, ისე სამოქალაქო პრესაში, მოისუსტებს მოსახლეობის გასამხედროების საკითხის გაშუქება. მოსახლეობის გასამხედროების საქმისაგან კი არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის თავდაცვა და მშვიდობიანი განვითარება.

ი. რუდკოვსკი.

კავშირი მუშებთან

(№ ქართ. საარტ. ლეგიონი)

№ საარტილერიო ლეგიონს გაბმული აქვს კავშირი მე-3-ე ინტერნაციონალის სახელობის კოლოფების ქარხნის მუშებთან.

კავშირი გამოყენებულია მუშებში სამხედრო ცოდნის გასავრცელებლად და მათ გასაცნობათ წითელი არმიის ცხოვრება-სწავლებასთან.

ამ მიზნით ლეგიონმა ქარხანაში მოაწყო სამხედრო კუთხე, რომელშიაც საკმაოდ არის სამხედრო მასალა და ლიტერატურა.

კუთხესთან მოწყობილია „ტირი". რომლის საშუალებითაც მუშები და მუშა-ქალები სწავლობენ სასროლო საქმეს.

კუთხეში დრო გამოშვებით იმართება მოხსენებები სამხედრო თემებზე. მოხსენებებს მუშები მრავლად ესწრებიან და იჩენენ დიდ ინტერესს.

ქარხანასთან ჩამოყალიბებულია ქალთა სანიტარული, სასროლო და ცხენოსნობის შემსწავლი წრეები. ჯერ-ჯერობით ამ წრეების წევრთა რიცხვი უდრის 96 კაცს.

მუშებს შორის არიან ცვალებადი წითელი არმიელნი, რომელნიც არ სწყვეტენ კავშირს ყაზარმასთან და იღებენ მონაწილეობას სკოლის გარეშე მუშაობაში. ერთი ცვალებადელი მუშა შეყვანილია ლეგიონის კლუბის გამგეობაში.

მუშები ხშირად დაიარებიან ყაზარმაში წითელარმიელთა ცხოვრების გასაცნობათ, ესწრებიან მასიურ საღამოებზე. ხშირად იმართება საღამო-წარმოდგენები გაერთიანებული ძალებით.

როგორც წითელარმიელნი, ისე მუშები კმაყოფილნი არიან კავშირით.

ა.

ცვალებადელთა შორის

მეჯვრისხევის და ტყვიავის თემებში (გორის მაზრა) მრავლად არიან № ქართ. მსრ. ლეგიონის ცვალებადი წითელარმიელები.

საერთო ტერიტორიალურ შეკრების დამთავრების შემდეგ ცვალებადელნი დაბრუნდნენ სოფლად და ჩაებნენ თავის ჩვეულებრივ საქმიანობაში, მაგრამ ამავე დროს ცვალებადელნი არ ივიწყებენ სამხედრო საქმესაც.

რწმუნებულთა საშუალებით მათ ჰქონდათ გაბმული კავშირი ლეგიონის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობასთან. რეგულიარულად იღებდნენ ყოველივე ახალ განკარგულებებს ლეგიონიდან, იწერდნენ გაზეთ „წითელ არმიელს". ყველა ეს ხელს უწყობდა მათ მეცადინეობას.

ამის გარდა, დრო გამოშვებით ეწყობოდა ცვალებადელთა საერთო კრებები იმ საკითხების გამოსარკვევად, რომელნიც ეხებოდა მათ მომზადების საქმეს.

აპრილის პირველ რიცხვებში რწმუნებულების საშუალებით ეცნობა ცვალებადელებს შეკრების შესახებ. ცვალებადელები დაუგვიანებლივ გამოცხადდნენ სამხედრო კუთხეებში. სროლა სწარმოებდა 100 და 300 ნაბიჯის მანძილზე მიზნებში.

ვარჯიში ხალისიანად ჩატარდა. ცვალებადელთა 84 პროცენტი ჩინებულად ისროდა და არ აუცდენია მიზნისთვის.

სასროლო ვარჯიშმა დაგვანახვა, რომ სახლში ყოფნის დროს ცვალებადელნი არ ივიწყებენ სამხედრო საქმიანობას, არამედ იძენენ უფრო მეტ ცოდნას.

აა.

ამიერ-კავკასიის დელეგატები

საკავშირო საბჭოთა ყრილობაზე

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეოთხე ყრილობამ არჩია საკავშირო საბჭოთა მეოთხე ყრილობაზე დასასწრებად შემდეგი ამხანაგები:

გადამწყვეტი ხმით

ალამალი-ოღლი, აგავერდოვი გუსეინ ბალა, ახუნდოვი მირ-ალი, ასკერ აგჯა-ოღლი, ახუნდოვი რუხულა, ამბარცუმიანი, არუთიუნიანი ერვანდ, ასანაშვილი ა., ანთიძე კ., ბარინოვი მ. ვ., ბაგიროვი მირ ჯაფარ, გაჯი ბაბა გასან ალი-ოღლი, გუსეინოვი დავუდ, გოგიბერიძე მამედ, გოზალოვი სტეფანე, ჯულელი, ჯატიევი, დარახველიძე ვ., ევგრაფოვი, ჟოჟიკაშვილი, იონისიანი ვაჰან, კერიმოვა ნაბატ, კასუმოვი მირ ბაშირ, კორნეევი, კახიანი, ქართველიშვილი, კორძაია, ქურციკაშვილი, ლეპიხოვი მ., ლუკაშინი, ლევანდოვსკი, მაისურაძე გ., მუსაბეკოვი გაზამფარ, მირზოიანი ლევონ, მუქდი უგურლი-ოღლი, მამედოვი ბილან, მელიკ-ოსიპოვი, მახარაძე ფ., მაშკევიჩი, მაკაროვი, ნაზარეტიანი, ორჯონიკიძე სერგო, ორახელაშვილი მამია, ორლოვი, ფანცხავა, ფანცულაია, ფირალოვი, რიზაევი ნავრუზ, რახმანოვი აბდულ, რეზნევი, რუძუტაკი, რასულ-ზადე, სეიფი სამედ-ოღლი, სვანიძე, სუხიშვილი, სტურუა გ., ტატიანი, ტერ-გაბრიელიანი, ურუშაძე, ცხაკაია მიხა, ჩანბა, ეფენდიევი ბალა, ელიავა, კარინიანი, ივანოვი ტიმოთე, შახსუვარიანი.

სათათბირო ხმით

აფციაური, გარიბიანი, გუსეინოვი თეიმურ, გამინ ბეგლიარი, დანიელიანი ნ., ჯავახიძე, ქვანია, იმანოვი აბდულ ფაზ, კადიროვი სეით, მელიქსეტოვი, ნაიბოვი, ნურულა აგაბალა-ოღლი, ნოვრუზოვი, ოკუჯავა შალვა, ხტეპანიანი, სულთანოვი აგა, სუჯიაშვილი, ტაგი ნაზრატ კული-ოღლი, ხანფერიანი, ცუცქირიძე, შარიფ ხანდამირ-ოღლი, შენგელია გ.

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში

— **პერსონალური პენსიები.** საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებიდან მარტში ისეთ პირებს, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით რევოლიუციის, მეცნიერების და საზოგადოების წინაშე პერსონალური პენსიების სახით მიეცათ 10.501 მანეთი.

— **რამდენი დაიხარჯა საინვალიდო სახლების შესანახად.** თბილისში ცაკთან არსებული საინვალიდო სახლების შესანახად მარტში დაიხარჯა 5.500 მანეთი.

— **დახმარებები და სუბსიდიები.** სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ თბილისში ერთდროული დახმარების სახით მარტში დაურიგა ომის ინვალიდებს—625 მანეთი და შრომის ინვალიდებს 9.648 მანეთი; ამავე თვეში სუბსიდიების სახით მისცა გლეხკომებს 13.136 მანეთი და 42 კაპ.

სოციალური უზრუნველყოფის თბილისის ქვედა-განყოფილებამ მარტში ჩვეულებრივი პენსიების სახით დაურიგა ომის და შრომის ინვალიდებს 3.200 მანეთი.

— **გლეხკომების სამაზრო კონფერენცია.** 15 აპრილს ოზურგეთში შესდგება გლეხკომების სამაზრო კონფერენცია. იმავე დღეს იქ გაიხსნება გლეხის სახლი. კონფერენციას და გლეხის სახლის გახსნას თბილისიდან დაესწრება საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგე და ცენტრალურ გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. კ. ხომერიკი.

— **გლეხკომების მუშაობის გამოსარკვევად.** საქართველოს ცაკის სოციალურ-უზრუნველყოფის განყოფილებამ გლეხკომების საქმიანობის გამოსარკვევად თელავის მაზრაში გაგზავნა თავის ინსტრუქტორი. გლეხკომების გამოკვლევის გარდა ინსტრუქტორს დავალებული აქვს გამოარკვიოს, როგორ არის დაყენებული მაზრაში სოციალურ უზრუნველყოფის საქმე.

— **გლეხკომების გადარჩევა.** საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობებით, ოზურგეთის მაზრის გარდა, საქართველოს ყველა მაზრებში გლეხკომების სამაზრო კონფერენციები დამთავრდა. ამ კონფერენციებზე ყველგან მოხდა სამაზრო გლეხკომის ძველი შემადგენლობის გადარჩევა.

თათბირი

მევენახეობის ზოგიერთ საკითხებზე

მიწსახკომის სასოფლო-სამეურნეო სამმართველომ 12 აპრილს მოიწვია თათბირი მევენახეობის გაძლიერების და ფილოქსერასთან ბრძოლის საკითხების განსახილველად. ამ თათბირზე მიწსახკომის სპეციალისტების გარდა მოწვეულ იქნენ თბილისის უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკუმის წარმომადგენლნი. თათბირმა განიხილა მევენახეობის აღსადგენად მიმდინარე წლის მუშაობის პროგრამა შედგენილი მევენახეობის ინსპექციის მიერ. ამ მუშაობისათვის მიმდინარე წელს მთელ საბჭოთა კავშირში სპეციალურ ფონდიდან გადადებულია 150.000 მანეთი.

ფილოქსერასთან ბრძოლის და მევენახეობის გაუმჯობესების საქმის წარმოება დაეკისრათ მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურებს: აღმოსავლეთ საქართველოში კახეთის სადგურს, დასავლეთ საქართველოში საქარისას, ხოლო საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა საბჭოს, რომელიც აირჩია თათბირმა.

საქართველოს მუზეუმში

ხარის კერპი

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ თავაზის თემში (გორის მ.) ადგილობრივ გლეხს ყანაში ამოუთხრია ხარის კერპი (ბულა ხარის ქანდაკება). გლეხისაგან აღნიშნული ქანდაკება შეუძენია ადგილობრივ ექიმბაშს, რომელიც ქანდაკებაზე გადავლებულ წყალს წამლათ ასაღებდა.

ამ დღეებში „ხარის კერპი" ჩამოიტანეს საქ. მუზეუმში.

ძველი ზარბაზნების აღმოჩენა

ამ ერთი კვირის წინეთ მადათოვის კუნძულზე, „ტელას"-ის ერთ-ერთ ძველ საწყობში იპოვნეს ძველებური ქართული ზარბაზანი, რომელიც გაკეთებულია თბილისის ერთ-ერთ თოფხანაში მე-16 საუკუნის ბოლო წლებში. ზარბაზნის ლულა 92 სანტიმეტრის სიგრძისაა.

რამდენიმე დღის წინათ ელექტრო-გამტარ ქსელის გაყვანის დროს მთაწმინდაზე იპოვნეს ძველი თათრული ზარბაზანი. არქეოლოგების ვარაუდით, ზარბაზანი შემოტანილია საქართველოში თურქების მიერ თბილისის უკანასკნელათ აოხრების დროს. აღნიშნული ზარბაზანი ოდნავ პატარაა ქართულ ზარბაზანთან შედარებით. ორივე ზარბაზანი ინახება მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში.

ქრონიკა

ამხ. მ. ტოროშელიძის გამგზავრება.

დღეს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ტოროშელიძე მიემგზავრება ბრიუსელში (ბელგია) საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე დასასწრებლათ.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება ამხ. ტოროშელიძის გამგზავრების გამო დაკისრებული აქვს ამხ. ვ. ბოლქვაძეს.

15.000 მანეთი ბაგეების მოსაწყობად.

საკავშირო ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასდო 15.000 მანეთი ბაგეების მოსაწყობად და საექიმო დახმარების გასაწევად ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებისათვის. ამ თანხის ანგარიშში მოსკოვიდან უკვე მიღებულია 6.000 მანეთი, რომელიც განაწილებულია საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკანურ კავშირებს შორის.

საქ. ცაკთან არსებულ სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში

◆ რევოლიუციის, მეცნიერების და სახელმწიფოს წინაშე დამსახურებულ პირებს ცაკის სოცუზრუნველყოფის განყოფილებამ მარტში პენსიების სახით დაურიგა 10.501 მანეთი.

◆ საინვალიდო სახლების შესანახად განყოფილებამ მარტში დახარჯა 5.500 მ.

◆ **ერთდროული დახმარების** სახით მარტში ომის ინვალიდებს მიეცათ 625 მან.; შრომის ინვალიდებს 9.648 მან.

◆ **კონფერენცია.** 15 აპრილს ოზურგეთში შესდგება გლეხკომების სამაზრო კონფერენცია. ამავე დღეს გაიხსნება გლეხის სახლი. კონფერენციის და სახლის გახსნას დაესწრება სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგე და ცენტრ. გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. კ. ხომერიკი.

◆ **გლეხკომებს** თავიანთ მუშაობის გასაძლიერებლად მარტში სესხად მიეცათ 13.136 მ.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში.

◆ **სუბტროპიკული კულტურის** გასავრცელებლად საქართველოში საქ. სას.-სამ. ბანკს სესხად მიეცა 10.000 მანეთი.

◆ **ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად** საქართველოში ბანკმა გადასდო 68.000 მანეთი.

◆ **მეცხვარეობის გასაძლიერებლად** საქართველოს სხვადასხვა ორგანიზაციებს სესხად მიეცა 250.000 მანეთი.

◆ **მუშა-საქონლის შესაძენად გლეხებს** რესპუბლიკაში არსებულ სას.-სამ. საკრ. ამხანაგობების საშუალებით სესხად მიეცემათ 25.000 მან.

◆ **სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა** ძირითადი ქსელის თანხების გასაძლიერებლად საქ. სას.-სამ. ბანკს გადაეცა 118.100 მანეთი.

◆ **სამელიორაციო საქმისათვის** საქართველოში ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა გადასდო 126.000 მანეთი.

განათლების კომისარიატში

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის** გამგეობის დადგენილებით, იმ სტუდენტებს, რომლებმაც ვერ მოასწრეს ერთდროული გადასახადის შეტანა თავის დროზე, შეუძლიათ ასეთი შეიტანონ 14 და 15 აპრილის განმავლობაში.

◆ **მასწავლებელთა გადამზადება.** აფხაზეთის განათლების კომისარიატის ეროვნულ უმცირესობათა განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა საქართველოს განათლების კომისარიატის წინაშე სომხურ სკოლის მასწავლებელთათვის საზაფხულო გადასამზადებელ კურსებზე 10 ადგილის დათმობის შესახებ.

◆ **კონფერენციები.** ბორჩალოს მაზრის განათლების განყოფილებამ უკვე ჩაატარა ყველა საფეხურის შრომის სკოლების მასწავლებელთა კონფერენციები.

◆ **წიგნები ბერძნულ ენაზე.** განათლების კომისარიატის ეროვნულ უმცირესობათა განყოფილებამ რუსეთის სახელგამიდან გამოიწერა სახელმძღვანელოები ბერძნულ ენაზე.

შაქრის ტრესტის შუამდგომლობა

შაქრის ტრესტის ამიერ-კავკასიის კანტორამ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე ტრესტის ამიერ-კავკასიის განყოფილების სამმართველოს თბილისიდან ბაქოში გადატანის შესახებ.

ეს საკითხი ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის კომისარიატში განხილული იქნება ამ დღეებში.

მევენახეობის სეზონისათვის

ბათომში საზღვარ-გარეთიდან მიღებულია 200 რონოდა სხვადასხვა გვარი საქონელი მევენახეობა-მეღვინეობისათვის: გოგირდი, შაბიამანი და სხვა.

აპრილისა და მაისის განმავლობაში ყველა ეს საქონელი გადაზიდულ იქნება საქართველოს აზერბეიჯანის და სომხეთის მეღვინეობის რაიონებში.

მიწათ-მოქმ. სახალხო კომისარიატში

◆ **მეაბრეშუმეობა.** მიწსახკომმა დანიშნა 5 ახალი მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორი, რომლებიც მეაბრეშუმე გლეხებს გაუწევენ ხელმძღვანელობას მეაბრეშუმეობის საქმეში და მაზრებში მოაწყობენ ჭიის სანიმუშო კვებას.

◆ **თუთის ნერგები.** მიწსახკომის დადგენილებით მეაბრეშუმე გლეხებს კომისარიატის სანერგეებიდან უფასოთ დაურიგდებათ თუთის ხის ნერგები.

◆ **სამკურნალო ყურძნის წვენი.** სახალხო მამულების ტრესტი ამ დღეებში გამოიმუშავებს სტერილიზაციაქნილ სამკურნალო ყურძნის წვენს.

◆ **ნამყენი ვაზის ნაკლებობა.** წელს გარე-კახეთში ნამყენი ვაზის დიდი ნაკლებობაა. ბევრი გადაბრუნებული მიწები რჩება უვაზოთ.

კრებები და მოხსენებები.

— **დისპუტი ინჟენერთა კლუბში.** სამშაბათს, 13 აპრილს, საღამოს 7 საათზე ინჟენერთა კლუბში (მუშათა სასახლე) სამთამადნო კავშირი მართავს დისკუსიას ნავთის შახტებით დამუშავების შესახებ. მოხსენებას წაიკითხავს ინჟ. წულუკიძე.

◆ **დღეს საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების** მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილებაში, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში, საღამოს 7 საათზე, ლ. ჩხეიძე წაიკითხავს მოხსენებას: „ჩრდილოეთ პოლიუსის მაძიებელნი".

◆ **პრივატ-დოცენტის სახელწოდების მინიჭება.** 11 აპრილს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ბინაზე პრივატ-დოცენტის სახელწოდების მოსაპოვებლად ქირურგიის დოქტორმა ალექს. წულუკიძემ წაიკითხა საცდელი ლექცია შემდეგ თემაზე: „შარდის ბუშტის ავთვისებიან სიმსივნეების დიაგნოსტიკა და მკურნალობა". ლექცია ფრიად შინაარსიანი და სავსე იყო მრავალ ახალ ცნობებით.

ქირურგის დოქტორს ალ. წულუკიძეს ფაკულტეტმა ერთხმად მიანიჭა პრივატ-დოცენტის სახელწოდება.

ვენახების წამლობა.

ბათომში საზღვარგარეთიდან მიღებულია 200 ვაგონი სხვადასხვა საქონელი (გოგირდი, შაბიამანი და სხვა), რომლებიც უნდა მოხმარდეს ვენახების წამლობას. აპრილისა და მაისის განმავლობაში ეს საქონელი გადაგზავნილი იქნება საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მეღვინეობის რაიონებში.

სხვადასხვა.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ** მიიღო: „კომუნისტურ აკადემიის" მიერ გამოცემული სხვადასხვა წიგნების კომპლექტი.

ვინ იგზავნება სამუშაოზე.

დღეს შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნება შემდეგი უმუშევრები: პირველ სექციიდან: ვ. შაიშვილი, ა. რაზმაძე, ა. შამაროვი, ა. მირველაშვილი, გ. პოპოვიანი; მესამე სექციიდან: გ. ნერსესოვი, პ. ნარსია, რ. აგარონოვი, მ. ჩიკაიძე, გ. არუთინოვი, გ. სანოიანი, მ. სარქისიანი, ა. კალიევი, ნ. ლომთათიძე და ვ. ტეტიევი, ხოლო მეძსექციიდან—ს. მოსიანი.

— თბილისის მთავარ ტელეგრაფის კანტორაში ა.-წ. 1-ლ აპრილიდან დაარსებულია საფოსტო ფულის ბარათების მიღებაც. ხოლო მოსული ბარათებით ფულის გაცემას აწარმოებს მთავარი ფოსტის კანტორა.

შეცდომის გასწორება.

„კომუნისტი"-ს № 81-ში გამოქვეყნებული იყო ამიერ-კავკასიის ცაკის წევრთა სია, რომელშიაც შეიპარა შემდეგი შეცდომა: სწერია—**ონანაშვილი - ან.**, უნდა იყოს—**სიამაიშვილი ანდრია.**

შემთხვევები

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით კავშირის ქ. № 5 მარიამ ქარციველაძის ბინიდან მოიპარეს 200 მ. ნივთები.

◆ **შეპყრობა.** 11 აპრილს ნაქურდალი ნივთებით შეიპყრეს ნოლდერბერგ მანზეევი

◆ **ცენტრალურ სტატისტიკურ** სამმართველოს სადარბაზო შესავლიდან მოიპარეს კედლის დიდი სარკე.

◆ **ღიათ დატოვებულ კარებიდან** შესვლით 11 აპრილს თეატრის შესახვ. № 4 ნადეჟდა გორგაძის ბინიდან მოიპარეს 150. მ. ნივთები.

◆ **ცენტრალურ ბაზარში** 11 აპრილს პლატონ ფუდუჩაიას მოიპარეს ტომარა ნავაჭრი ნივთებით. [illegible]

◆ **დესიმონოვის მოედანზე** ფურგონმა გაიტანა ხალი ხელიპოვის 4 წლის ბავშვი. მეფურგონე თედორე ალიხანოვი დააპატიმრეს.

◆ **მთავარ ფოსტის შენობაში** ეგნატე კლოჩკოვს ჯიბიდან ამოაცალეს 80 მანეთი.

◆ **კინო „დარბაზში"** ალექსი მაზმანიანს მოჰპარეს პალტო.

სასამართლო

ცოლის მკვლელი

დღეს,აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა ლეონ გურადხანოვის საქმე.

გურადხანოვს ბრალდება ცოლის მოკვლა წინასწარი განზრახვით.

1920 წ. გურადხანოვმა (ხელობით მკერავი) ცოლათ შეირთო შუშანიკ დილანიანცი, რომელთანაც 3 წლის განმავლობაში კარგი განწყობილება ჰქონდა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გურადხანოვი უმიზეზოთ ეჭვიანობდა ცოლზე, სცემდა მას და სახლიდან აგდებდა. ასეთ შემთხვევებში შუშანიკა მიდიოდა დედასთან, სადაც რჩებოდა 2—3 დღე, შემდეგ ისევ ქმართან ბრუნდებოდა.

დედა და ძმა ურჩევდა შუშანიკას, რათა ის განშორებოდა ქმარს და დაბრუნებულიყო მათთან საცხოვრებლად. მიუხედავად იმისა, რომ ქმარი განაგრძობდა ცოლის შეურაცხყოფას და შევიწროებას — შუშანიკა არ გაეყარა ქმარს.

გურადხანოვმა გადასწყვიტა მოეკლა ცოლი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

1925 წ. 16 დეკემბერს, გურადხანოვმა გაიტყუილა ცოლი კოჯრის გზაზე და ბასრი იარაღით მიაყენა ქალს რამოდენიმე ჭრილობა. შემდეგ დაახრჩო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოკლული ბავშვობისას იყო ავად. ამის გამო მას ძუძუებსა და გვერდებზე ჰქონდა ამოღრმავებული ადგილები. იმ მიზნით, რომ არ ვამოეცნოთ მოკლულის ვინაობა გურადხანოვმა მოსჭრა ქალს მარჯვენა ძუძუ, ხელები და ამოჭრა მარჯვენა მკერდი. პირისახეზე მიაყენა რამოდენიმე ჭრილობა, ასე, რომ მოკლულის ვინაობის გამოც[illegible]

[illegible] მოქმედების შესახებ ქალის ნათე[illegible] არაფერი იცოდნენ.

დედამ და ძმამ დაუწყეს ძებნა შუშანიკას, მაგრამ ვერსად ნახეს.

თვით გურადხანოვმა განაცხადა მილიციაში, რომ უგზო - უკვლოდ დაიკარგა მისი ცოლი.

20 დეკემბერს, მილიციამ კოჯორის გზაზე აღმოაჩინა მოკლული ქალის გვამი.

გვამი გადაგზავნეს რესპუბლიკის პროზექტურაში, სადაც მივიდა ქალის დედა, ძმა და მურადხანოვი.

დედამ და ძმამ შუშანიკას პიროვნება გამოიცნო.

გამოძიებით გამოირკვა, რომ შ. დილანიანცის ქალი იყო ძლიერ პატიოსანი და ოჯახის მოყვარული ადამიანი.

დადასტურდა ის გარემოება, რომ კოჯორის გზაზე მურადხანოვმა გაიტყუილა შუშანიკა მოკვლის მიზნით.

გარდა ამისა, მოკლული ყოველთვის ატარებდა მარჯვენა ხელზე ოქროს ბეჭედს. ეს ბეჭედი ბოროტმოქმედების შემდეგ უნახეს ხელზე მურადხანოვის დას.

ამის გამო მურადხანოვი პასუხისგებაში მისცეს.

წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ მან არ იცის, თუ ვინ მოჰკლა მისი ცოლი.

განაჩენი გიგოლაშვილის საქმეზე

სასამართლომ ვატმანი ხვთისო გრიგოლაშვილი უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

დ. ქურდოვანიძის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ შინა - მრეწველ ხელოსანთა კავშირის ყოფილ ბუღალტერს დავით ქურდოვანიძეს საკავშირო ფულების გაფლანგვისათვის მიუსაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ ქურდოვანიძის საკასაციო საჩივარი უშედეგოდ დასტოვა.

ბოროტმოქმედება ცეკავშირში

(დ. ლორთქიფანიძის საქმე)

დღევანდელ სხდომაზე მოსმენილ იქნება ექსპერტების დასკვნა.

ხვალ გაიმართება მხარეების კამათი.

რკინისგზელთა საქმე

11 აპრილს, მე-5 უბნ. სახალხო სასამართლოში, ამხ. კაპანაძის თავმჯდომარეობით გაირჩა საქმე რკინისგზის ნადის „ყულდარ-ბუტის" ყოფ. გამგეობის თავმჯდომარის ჯანელიძის, მდივნის ახალშენიშვილისა და ხაზინადარ გურგენიძის, რომელთაც ბრალდებოდათ 1925 წელში ნადის კუთვნილ 7.000 მანეთამდე გაფლანგვა და მითვისება.

ბრალს სდებდა პროკურორი ჭელიძე, ხოლო ბრალდებულთ იცავდა სერ. ცორცოლიანი.

საქმის გამო გამოწვეულნი იყვნენ მოწმეები რკინისგზელები და ექსპერტიზა იუსტიციის სახ. კომისარიატიდან.

გამოირკვა, რომ ჯანელიძეს პირიქით ერგება თანხა ნადისაგან და ამიტომ იგი იქნა განთავისუფლებული პასუხისმგებლობიდან, ხოლო ახალშენიშვილს დაუმტკიცდა 457 მან. მითვისება და გურგენიძეს კი 277 მ. გაფლანგვა, მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა რა მათი სოციალური მდგომარეობა, პირველათ ჩადენილი დანაშაული და ბრალდების შემამსუბუქებელი გარემოებანი — მიუსაჯა ორივეს ერთი წლით დაპატიმრება პირობით, წინასწარ დაპატიმრების ჩათვლით და სასჯელისაგან სავსებით განთავისუფლა.

„არტოს" გმირები

გუშინდელ სხდომაზე დასრულდა ბრალდებულების დაკითხვა.

არც ერთმა ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

მოწმეთა დაკითხვის შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

ბათუმის ნავთსადგურში

უკანასკნელ დღეებში ბათუმის ნავთსადგურში გაცხოველებული მუშაობაა. უკანასკნელი სამი-ოთხი დღის განმავლობაში მოსულმა საბჭოთა გემებმა „რილეევმა", „ელიზაბოვმა" და „ლენინმა" მოიტანეს 219.524 კილო სხვადასხვა საქონელი, მათ რიცხვში საბაკალეინო საქონელი, ტყავეულობა, ლითონის ნაწარმოები და სხვა.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სახელზე საზღვარგარეთიდან მიღებულია 18.500 კილო სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. დაიტვირთა და იტალიაში გაემგზავრა იტალიის სამხედრო ტრანსპორტი „ურანო", რომელმაც 7.500 ტონა მაზუთი წაიღო იტალიის სამხედრო უწყებისათვის.

ნავთსადგურიდან ჰამბურგისაკენ გავიდა გერმანიის გემი „ნორდ-ატლანტიკ" 6.500 ტონა ზეთით და ალექსანდრიისაკენ საფრანგეთის გემი „ჟიულ-ანრი" 3.800 ტონა ნავთით. ამჟამად ნავთსადგურში ნავთის პროდუქტებით და სხვადასხვა საქონლით იტვირთება უცხოეთის ოთხი გემი.

ხელოვნება

სმირნოვის გასტროლი.

(ჰუგენოტები)

„ჰუგენოტები",—მეიერბეერის საუკეთესო ოპერა,—არის წარსული საუკუნის პირველი ნახევრის, ფრანგული სკოლის საოპერო ნაწარმოების ნიმუში. ეს ოპერა წარმოდგენილია როგორც პროტესტი მონარქიული თვითმპყრობელობის თავაშვებულობის წინააღმდეგ დედოფალი ეკატერინე მედიჩის სახით, რომელმაც მოაწყო საუგონარი სისხლის ღვრა (ბართლომეს ღამე), რომლის დროსაც ამოჟლეტილ იქნა 3.000 ფრანგი მოქალაქე, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ გაბატონებულ რელიგიას და ამის გამო ითვლებოდნენ ტახტის მტრებად.

მთავარ ინტერესს ოპერისადმი ჰქმნის სმირნოვის მონაწილეობა. ყველა მის სამ გასტროლიდან, ეს უკანასკნელი თითქმის ყველაზე საუკეთესოა. ჯერ ერთი სმირნოვი თავიდან ბოლომდე იძლევა ახალგაზრდა ენტუზიასტის ჰუგენოტ—რაულის მხატვრულ სახეს. შესრულება გულწრფელი და გრძნობით გამსჭვალულია. სცენიური მხარე დეტალურად არის დამუშავებული. ვოკალური მხარე ყველგან ერთ სიმაღლეზე არ არის. არ არის დამაკმაყოფილებელი ლირიკა რომანსებში, მაგრამ დაწყებული პირველი აქტის ბოლოდან—სიმღერა უკვე ლამაზია, დინამიური და თანდათან უფრო მგრძნობიერი. განსაკუთრებით მგრძნობიერია მე-2 აქტის ფინალური სცენა. მე-3 აქტის სექსტეტში (ექვსი კაცის მღერა ერთად) არ არის მოხერხებული გადასვლა პარტიტურის მითითებიდან (დამატებითი ნოტა). მაგრამ მთელი მეოთხე აქტი მშვენიერია.

დარბაზმა მხურვალე ოვაციები გაუმართა მსახიობს.

ნევერის როლი ვენაძემ შეასრულა ჩვეულებრივ დამაკმაყოფილებლად, ხოლო განსაკუთრებით მხატვრულად ჩაატარა მან შეთქმულების სცენა. კარგია გარეგანი სახე მხოლოდ მესამე აქტიდან. პირველ ორ აქტში არ არის დამაკმაყოფილებელი კოსტიუმი და გრიმიც.

შარაშიძე ცოცხლად და რეალურად ატარებს შეთქმულების სცენას.

ძალიან კარგია სტილიური მარსელის პარტიაში მესხიევი.

დედოფალ. წმინდა და კოლორატურ. პარტია არ უდგება დანელიანის ლირიულ სოპრანოს, მაგრამ ნიჭიერი მსახიობი ქალი, ტექნიკის წყალობით, უმკლავდება პარტიის სიძნელეებს და თავისი ხმის ტემბრით და მუსიკალობით პირდაპირ აჯადოვებს მსმენელს. გარეგანი სახე არ ახასიათებს დედოფალ მარგარიტას.

მგრძნობიერად ჩაატარა ვალენტინას პარტია ბოგოლეპოვთან. ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

მოგზაური დასი

ქუთაისის დრამის მსახიობთაგან ივ. ბარველის მეთაურობით შესდგა კოლექტივი, რომელიც მაისის პირველ რიცხვებიდან რესპუბლიკის სხვადასხვა დაბა-ქალაქებში გამართავს წარმოდგენებს. კოლექტივი მოგზაურობისათვის ამზადებს აგიტრევოლიუციონურ მუსიკალურ სატირის შინაარსის პიესას: „წითელი სარკე". ტექსტი კ. დოლონაძის, მუსიკა—ვ. ჯაბადარის, რეჟისორი—ივ. ბარველი.

კოლექტივი თავის პირველ წარმოდგენას გამართავს ხონში. შემდეგ სამტრედიაში, აბაშაში, სენაკში, ფოთში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, ბათომში, ოზურგეთში, ზესტაფონში, ხაშურში, გორში, თბილისში—(ნაძალადევში და ნავთლუღში), საგარეჯოში, გურჯაანში, სიღნაღში, ველისციხეში და თელავში. ყველგან მეორე წარმოდგენა გაიმართება პროფკავშირის წევრთათვის.

საბავშვო წარმოდგენა ქართულ ენაზე

აპრილის 17-ს, კვირა დილით, შესდგება ალმასკომის განყოფილების საბავშვო თეატრის პირველი წარმოდგენა, მსახიობ ელო ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით. დაიდგმება საბავშვო პიესა „თოვლის" კაცი"—2 მოქ. ელო ანდრონიკაშვილისა, „ლორმუცელას სიზმარი"—1 მოქმ. დაწერილი ვ. ჭანკვეტაძის მიერ. დასასრულს დაიდგმება სურათი-ალბუმი. მზადდება სპეციალური დეკორაციები და იკერება სრულიად ახალი ტანისამოსი. წარმოდგენა გაიმართება რუსთაველის თეატრში. მუსიკას სწერს კომპოზ. შ. თაქთაქიშვილი.

პროლეტარულ მწერალთა შორის

ხუთშაბათს, საღამოს სრულ 7 საათზე კომპარტიის ცეკაში, ამხ. ლ. დოლობერიძის კაბინეტში მოწვეულია თათბირი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შესახებ. მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: გ. ყურულაშვილი, ა. დოლიძე, ა. თათარიშვილი, გ. მუშიშვილი, რ. კალაძე, ნ. ზომლეთელი, ს. ეული, ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, შ. რადიანი, ჰ. ქიქოძე, ლ. ესაკია, ბ. ბუაჩიძე, დ. რონდელი, შ. დუდუჩავა, პ. სამსონიძე, ვ. ლუარსამიძე, ე. პოლუმორდვინოვი, კ. ფეოდოსიშვილი, ვ. მაჭავარიანი, ვ. კუპრაძე, ზარიძე, ა. ბუხნიკაშვილი, მ. აბაშისპირელი და კ. ბობოხიძე. დღის წესრიგი: ასოციაციის სამდივნოს ანგარიში.

დისპუტი თეატრსა და კინოზე

დღეს, აპრილის 13-ს, ხელოვნების სასახლეში გაგრძელდება კამათი ამხ. ს. ამაღლობელის მოხსენების გარშემო „თეატრსა და კინოს შესახებ". კამათში მონაწილეობას მიიღებენ: შ. დუდუჩავა, კ. კაპანელი, არ. ჰუმბაძე, მ. ჯავახიშვილი, ბ. ჟღენტი, ს. ჩიქოვანი, ს. დოლიძე, ალ. ჰეიშვილი. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

◆ **ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა** (რუსთაველის გამზ. № 34). ქართველ მხატვართა საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, რათა ქართველ მხატვართა შემოქმედება გაცნობილ იქნეს ფართე საზოგადოებისათვის და მოწაფე ახალგაზრდობისათვის, გამოფენაზე შესავალი ფასი მოწაფეთა ექსკურსიების მონაწილეთათვის შემცირდეს 5 კაპეიკამდე თვითეულ მოწაფეზე.

◆ **„განთიადი".** დღეს ოპერის თეატრში მეორეჯერ წარმოდგენილი იქნება შ. თაქთაქიშვილის ოპერა: „განთიადი".

◆ **მომღერალ ს. დოლონაძის საღამო** გაიმართება 16 აპრილს.

◆ **ს. ინაშვილის მონაწილეობით** 14 აპრილს მიდის „ევგენი ონეგინი". ამ წარმოდგენით იხურება ოპერის სეზონი.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს გაიმართება სომხური წარმოდგენა.

◆ **საბალეტო საღამო.** კვირას ოპერის თეატრში გაიმართება დიდი საბალეტო საღამო.

ვ. მეიერხოლდის თეატრის გასტროლები

ა.-წ. 10 მაისიდან თბილისის სახელმწიფო აკადემიურ ოპერის თეატრში იწყება ვ. მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები. თეატრს თან მოჰყვება დადგმების ავტორი და მხატვრული ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. მეიერხოლდი. თეატრი მოსკოვიდან მოდის სრული შემადგენლობით, მთელი თავისი დეკორაციებით, კონსტრუქციებით, დგამით, კოსტიუმებით, ბუტაფორიებით, პარიკებით და ელექტრო-მოწყობილობით.

იმ მიზნით, რომ მომავალ გასტროლებზე, რომლებიც უნდა ჩატარდეს 10 მაისიდან 29 მაისამდე (სულ 20 წარმოდგენა), პირველ რიგში დაკმაყოფილებული იქნენ ბილეთებით პროფკავშირების წევრები, ვ. მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრის გამგეობამ ყველა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს დაუგზავნა გასტროლების რეპერტუარი და წინადადება მისცა მიმდინარე წლის 14 აპრილამდე წარადგინონ საოპერო თეატრის სალაროში განცხადება ბილეთების საჭირო რაოდენობაზე.

აღნიშნულ ვადის შემდეგ განცხადებები აღარ მიიღება.

ბილეთების გაცემა იწარმოებს ნაღდ ანგარიშზე 15 აპრილიდან 25 აპრილამდე—ჩართვით.

დარჩენილი ბილეთები გაიყიდება მსურველებზე 29 აპრილიდან.



ვს. მეიერხოლდი

ვ. მეიერხოლდის დადგმები

მიმდინარე წლის გასტროლები ერთ-ერთი ეტაპია თეატრის გეგმაშეწონილ მუშაობაში, რომლის მიზანია უახლოესი თეატრალური კულტურის მიღწევების გაცნობა საბჭოთა საზოგადოებრიობისა და მუშათა მასებისათვის ჩვენი კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში.

გასტროლების მონაწილეთა შორის არიან ვ. მეიერხოლდის სახელობის თეატრის ცნობილი სამი გარმონისტი, რომლებიც მონაწილეობენ „ტყე"-ში, „მანდატ"-ში, და „დ. ე."-ში, და აგრეთვე ორკესტრი ჯაზ-ბანდი, რომელსაც თბილისი პირველად მოისმენს.

თბილისში ნაჩვენები იქნება თეატრის უკანასკნელი სამი წლის ყველა დადგმები: „ტყე", „დ. ე.", „მანდატი", „იღრიალე ჩინეთო", „პროფესორი ბუბუსი" და „რევიზორი".

„ტყე"-ს დადგმამ თავის დროზე ცხარე კამათი გამოიწვია.

ეხლა „ტყე"-ს ახალი რეჟისორული გაგების სისწორე აღიარებულია თითქმის ყველას მიერ.

„ტყე"-ში მთავარ როლებს ასრულებენ: **იგორ ილინსკი** (არკაშკა სჩასტლივცევ), **მუხინი** (ნესჩასტლივცევ), **ზინაიდა რაიხ** (აქსიუშა) და **რემიზოვა** (ულიტა).

მეორე წარმოდგენა—„დ. ე." კრიტიკის მიერ პოლიტიკური მიმოხილვის საუკეთესო ნიმუშად არის აღიარებული. ამ წარმოდგენისათვის ვ. მეიერხოლდის მიერ გამოგონებულია ეგრეთ წოდებული „მოძრავი კედლები", რომლებიც საშუალებას იძლევა სწრაფად იქნეს შეცვლილი სცენის მოწყობილობა, და მოქმედება ერთი ადგილიდან გადატანილი იქნეს მეორეზე.

„ბუბუს"-ის დადგმა აღსანიშნავია იმით, რომ მათში ხმოვანობის ელემენტი შეტანილია წარმოდგენის გარეგნულ გაფორმებაში. პიესა აგებულია შოპენის და ლისტის მუსიკაზე, რომელსაც ასრულებს პიანისტი **ლ. არნშტამი.**

მთავარ როლებს ასრულებენ: **იგორ ილინსკი** (ბუბუსი), **ზინაიდა რაიხ** (სტეფკა), **ზაიჩიკოვი** (ფაიერვარი), **ლოშკინა** (ტილხენი), **ბაბანოვა** (თეა) და **რემიზოვა** (ბაზე).

„მანდატი"—პირველი კომედიაა საბჭოთა თემაზე და პირველი კომედიური წარმოდგენა საბჭოთა კავშირში. სცენის თავისებური კონცენტრიული წრეები და მოძრავი ფარები.

რაც შეეხება „იღრიალე ჩინეთო"-ს დადგმას, ამ პიესას საკმაოთ კარგად იცნობს თბილისის მაყურებელი, მაგრამ მისდამი ინტერესი ამით არ შესუსტებულა. ეს მით უფრო, რომ მას თბილისის მაყურებელი გაეცნობა მეიერხოლდის დადგმაში.

დაბოლოს, ვ. მეიერხოლდის სახელობის თეატრის უკანასკნელი და ყველაზე უფრო სენსაციური დადგმა იყო ნ. ვ. გოგოლის **„რევიზორი".** მოსკოვის თეატრალური სეზონი, რომელიც ეხლახან დამთავრდა, განსაკუთრებით განირჩევა ამ მხრივ წინა წლების სეზონისაგან.

პიესის მთავარი შემსრულებლებია: **გარინი** (ხლესტაკოვი), **ზინაიდა რაიხ** (ანნა ანდრეევნა), **სტარკოვსკი** (გოროდნიჩი), **ზაიჩიკოვი** (ზემლიანიკა), და **ბაბანოვა** (მარია ანტონოვნა).

ვ—ნი.

პირველი მაისის

დღესასწაულისათვის

განათლების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა შრომის სკოლებში პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარების გეგმა, რომელიც უკვე დაეგზავნა სახელმძღვანელოდ ყველა შრომის სკოლების გამგეებს. გეგმის მიხედვით სკოლებში უნდა მოეწყოს საზეიმო წარმოდგენა-სანახაობანი ბავშვთა უშუალო მონაწილეობით. ამ სანახაობაზე მოწვეული უნდა იქნან პარტიული ორგანიზაციების და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მოწაფეთა მშობლები.

კრედიტების განაწილება

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს განაწილოს ცალკე რესპუბლიკებს შორის 1926 27 წელში უმუშევართათვის შრომითი დახმარების გასაწევად გადადებული 500.000 მანეთი; ამ თანხიდან აზერბეიჯანს მიეცემა 48 პროც., საქართველოს — 40 პროცენტი და სომხეთს — 12 პროცენტი.

ეს პროცენტული განაწილება ა.-კ. პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა გაავრცელოს ყველა იმ თანხებზე, რომლებიც გადადებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სოც. დაზღვევის ხაზით, იმ თანხების გამოკლებით, რომლებიც უკვე განაწილებული იქნა პირველ კვარტალში 130.000 მანეთის რაოდენობით.

მეცნიერება და ტეხნიკა

„უდაბნოს ხომალდები"

„უდაბნოს ხომალდებათ" უკანასკნელ დრომდი ითვლებოდა აფრიკის აქლემი—ერთად ერთი ცხოველი და ამავე დროს ერთად ერთი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც შეიძლებოდა სახარის უდაბნოში მოგზაურობა.

ამ „ხომალდს" დიდება ჩაიფერფლა მას შემდეგ, რაც „სიტროენის" სისტემის ტანკისებური ტიპის ავტომობილების ჯგუფმა, რომელიც გამოვიდა ორანიდან (აფრიკის ჩრდილოეთ ნაპირი) რამოდენიმე დღეში გაიარა ეს უზარმაზარი უდაბნო და ჩავიდა ტიმბუქტუში (მდ. ნიგერზე), რითაც, საძირკველი ჩაეყარა ავტომიმოსვლას უდაბნოში. ამის შემდეგ „უდაბნოს ხომალდათ" გადაიქცა ავტო-მანქანა.

ავტომობილმა უდაბნო დაიპყრო უფრო ადრე, ვიდრე ამას შესძლებდა აეროპლანი, უფრო ადრე, ვიდრე რკინის გზას გაიყვანდენ სახარაში.

მიუხედავათ იმისა, რომ დამტკიცდა სახარაში ავტომობილებით მოძრაობის შესაძლებლობა და უშიშროება, წესიერი ავტორეისები ჯერაც არ არის მოწყობილი. ამას უმთავრესად ხელს უშლიდა მოგზაურობის უდიდესი უხერხულობა, დასასვენებელი ადგილების მოუწყობლობა და სხვ.

ერთმა გერმანელმა გამომგონებელმა ამ რამდენიმე ხნის წინათ შემოიტანა წინადადება, რომ უდაბნოში მიმოსვლისათვის შემოღებული იქნეს უზარმაზარი ბორბლიანი ავტო-ტრაქტორები კორპუსით, რომელიც მოწყობილი იქნება დიდი საოკეანო გემების მსგავსათ.



აქ მოთავსებული სურათი ნათელ წარმოდგენას იძლევა გერმანელი გამომგონებლის პროექტზე. იგი წარმოადგენს ოთხბორბლიან გემს, რომელიც იტევს 300 მგზავრს და 200 ტონა (12.000 ფუთ) ბარგს. გემზე მოწყობილი იქნება, გარდა სამგზავრო ოთახებისა, სასეირნო მოედანი, რესტორანი, რადიო, საცეკვაო დარბაზი, საცურავი აუზი და სხვ.

სურათების გადაცემა ტელეფონით

ერთმა ავსტრიელმა გამოიგონა სურათების გადაცემის ახალი საშუალება, რომელიც მთელ ეპოქას ქმნის თანამედროვე ტეხნიკაში. გამომგონებელმა დაამზადა აპარატი, რომელიც საკმაო არის შეუერთო ტელეფონის მავთულს, რომ ტელეფონით საუბართან ერთდროულად,—არავითარი მიმღებ-გადამცემი სადგური ამისათვის არ არის საჭირო. — გადაცემული და მიღებული იქნეს სურათები, ფოტოგრაფიები, წერილები და სხვა.

მიღება ტელეფონით გადაცემულ ფოტოგრაფიების ისევე ადვილია, როგორ გაგზავნა. 10×14 სანტიმეტრის სიდიდის მქონე ფოტოგრაფიის გადასაცემათ საჭიროა 3 წუთი. ტელეფონის ხაზისათვის სურათების გადაცემა არავითარ დაბრკოლებას არ ქმნის და სწარმოებს ისევე, როგორც ტელეფონით საუბარი.

დღის წესრიგშია დასმული მოწყობა ისეთი ტეხნიკური ორგანიზაციის, რომლის საშუალებით ერთი რომელიმე გადამცემი პუნქტიდან ასეული და ათასი აბონენტს ერთდროულად გადაეცემა სხვადასხვა ფოტოგრაფიები.

ახლო ხანში განზრახულია დაიწყოს სურათების რეგულიარული გადაცემა ვენა-ლონდონის ხაზზე. შემუშავებულია ვენაში ცენტრალური პუნქტის შექმნის პროექტი. ამ პუნქტიდან სურათები და ფოტოგრაფები გადაცემული იქნება მთელ საშუალო და აღმოსავლეთ ევროპაში.

ნარევი

„ცისფერი კანონები"

შეერთებულ შტატებში 1854 წ. გამოცეს კანონი უზნეობის მოსპობის შესახებ.. ამ კანონის ძალით კვირაობით აკრძალულია ყოველგვარი მოგზაურობა, მუშაობა, ნადირობა, თევზის ჭერა, დოღი, წარმოდგენებზე დასწრება, ცეკვა, სიმღერა, დაკვრა სკრიპკაზე ან სხვა გასართობი მუსიკა, თამაშობა, სპორტი. ამ კანონის შეუსრულებლობისათვის დამნაშავეს აჯარიმებენ ორი დოლარით, განმეორებითი დანაშაულისათვის კი აპატიმრებენ ათი დღით.

ეს კანონი არის ერთ-ერთი იმ კანონების სერიიდან, რომლებიც ცნობილია „ცისფერი კანონების" სახელწოდებით და ამჟამადაც მოქმედობს ზოგიერთ შტატებში. წარსული საუკუნის დამლევისათვის ამ კანონს სასტიკად იცავდენ და მოსახლეობას ავალებდენ დასწრებოდენ საეკლესიო წირვას და მღვდლების ქადაგებას, თავისუფალი დრო კი გაეტარებიათ ოჯახის სახარების კითხვაში.

მიმდინარე საუკუნეებში ეს კანონი თანდათანობით კარგავდა მნიშვნელობას და დავიწყებას ეძლეოდა. ხუცებს შემოსავალი იმდენი ჰქონდათ, რომ აღარ იყო საჭირო ხალხის ძალით მორეკვა ეკლესიებში. მაგრამ, როცა ამ რამოდენიმე ხნის წინათ ნიუ-ჯერსის შტატში (ერთი საათის სავალ მანძილზე ნიუ-იორკიდან) ეკლესიებში მლოცველთა რიცხვმა იკლო, ხუცები აღელდენ და მოითხოვეს დავიწყებული კანონის ცხოვრებაში გატარება.

ხუცებმა მოსთხოვეს პოლიციას, რომ კვირაობით დაეხურათ ყველა გასართობი ადგილები; მათ იმედი ჰქონდათ, რომ ხალხი ძალაუნებურად ეკლესიებში მოიყრიდა თავს.

როგორც კი პოლიციამ დახურა ყველა თეატრები, კინოები, კაფეები და სხვ., გასართობ დაწესებულებათა პატრონების ვექილებმა მოსთხოვეს პოლიციას, რომ კანონი მთლიანად ყოფილიყო განხორციელებული. პოლიციამაც „პირნათლად" შეასრულა კანონი. კვირაობით აპატიმრებდენ ყველას ვინც მიდიოდა ქუჩაში (არა ეკლესიაში) ან მუშაობდა, ტრამვაის ვატმანებსა და კონდუქტორებს, შოფერებს, მუსიკოსებს, მედუქნეებს და სხვ.

დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდენ ფოტოგრაფები, რომლებმაც გადაიღეს ამ „ნადირობის" ყველაზე საინტერესო მომენტები და მხიარული რეპორტიორები, რომლებმაც მოითხოვეს პოლიციელების დაპატიმრება კანონის დარღვევისათვის (ხალხის დაპატიმრებაც „მუშაობაა").

ვექილებმა გადასწყვიტეს წასულიყვენ უფრო შორს და შემდეგ კვირას მოითხოვეს მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტა. კანონი თუ არის, მაშ იყოს.—სამართლიანად აცხადებენ ვექილები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ ამ არქაული კანონის აღორძინებით გამოწვეული არევდარევა ბოლოს დაბოლოს აიძულებს მთავრობას გააუქმოს იგი. ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობა არ არის, რომ შტატის მთავრობამ ეს შეიგნო.

ბიბლიოგრაფია

Н. Д. АНОЩЕНКО. «Кино Германии» 1927 г.

ჩვენში მეტად დიდი შესაძლებლობანი გვაქვს კინო ხელოვნების აღორძინებისათვის. ბუნებრივი და სოციალური პირობები, რომლებიც ჩვენში მოიპოვება კინო - ხელოვნებისათვის, მეტად იშვიათია მსოფლიოს სივრცეზე. მაგრამ ჩვენ სრულებით მოუმზადებელი ვართ, როგორც კინო საქმის სპეციალური მცოდნე პირებით, ისე კინო ტეხნიკის მიღწევების გამოყენების შესაძლებლობით. ამ მხრივ ერთად - ერთ წყაროს შეადგენს გერმანეთისა და ამერიკის კინოს შესწავლა, ამ გამოცდილების მიღება, რომელიც ამ ქვეყნებში არის კინო წარმოების დარგში.

რუსეთმა ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და რეჟისორებთან ერთად კინო პედაგოგებიც მიავლინა გერმანეთში კინო - ტეხნიკის შესწავლის მიზნით. აღნიშნული წიგნის ავტორი არის კინემატოგრაფიის სახ. ტეხნიკუმის მასწავლებელი, რომელმაც 1925 წ. და 1926 წ. დასაწყისი დაჰყო გერმანეთში. მისი შრომა წარმოადგენს გერმანეთის კინო ტეხნიკის შესწავლის ცდას. მართალია ეს ცდა არ არის სრული. ის მოგზაურის აღწერას უდრის, რომელსაც უხდებოდა „ერთი ატელიედან მეორე ატელიეში რბენა", მაგრამ ჩვენს პირობებში, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ფეხის ადგმით ვცდილობთ კინო წარმოების გაჩაღებას, ეს შრომაც ძვირფას მასალას წარმოადგენს.

რა ახასიათებს ავტორის აზრით გერმანეთის კინო - წარმოებას? უპირველესად გრანდიოზული მაშტაბით. „აგფას" უდიდესი ფირის („პლიონა") ქარხანა, წლიურად ამუშავებს ასეულ მილიონს მეტრ ფირს. ფირი კი კინო - წარმოების „ნედლი მასალაა". ჩვენ ამ „ნედლი მასალით" სავსებით დამოკიდებული ვართ უცხოეთიდან. აშკარაა, ვისაც სურს კინო წარმოების აყვავება, მან თავდაპირველად ფირის დამზადებაზე უნდა იფიქროს. სტააკენი, გერმანეთის კინო ატელიე მეოთხედი ვერსის სიგრძის მქონეა, სადაც ერთსა და იმავე დროს შეიძლება რამდენიმე კინო შედევრის დადგმა ათასების მონაწილეობით. კინო ქალაქი ნეი მამელსბერგი, სადაც ყველაფერი კინო ხელოვნების აზრით არის მოწყობილი, სადაც იღებენ ინდოეთსა და ჩინეთს... ამას დაუმატეთ ისეთი კინო თეატრები („უფა პალას ამ ცოო"), რომლებიც იტევს 3000 მაყურებელს. ეს არის ზერელე ფაქტები გერმანიის კინო ინდუსტრიის ძლიერებისა და მაშტაბის.

მაგრამ რას ემყარება ეს დიდი მაშტაბი? „მაღალ ტეხნიკასა და მის რაციონალურ გამოყენებას", რომელსაც ადგილი ჰქვს „აგფას" ქარხნებში. ტემპელგოფის ატელიეში. დ-რ როოტეს მეცნიერულ ატელიეში და ინჟ.გეიერის სანიმუშო ლაბორატორიაში. კინოს პირველი, ელემენტარული მოთხოვნაა სინათლის სიუხვე. გადამღები აპარატის ობიექტივი მეტად ნაზად იღებს ყოველივეს. მაგრამ ერთი პირობით—საჭიროა მეტი სინათლე, ვიდრე თვალისათვის. გერმანეთის კინოს განკარგულებაშია 12—15 ათასი ამპერი მუდმივი ჩქერი, 10—15 ათასი ცვალებადი. ავტორის ცნობით საბჭოთა კავშირის საუკეთესო ატელიეში „რუსს" არის 2.000 ამპერი.; ჩვენს ატელიეში კი გვაქვს.. 500 ამპერი. აქედან გასაგები ხდება გერმანელ ოპერატორის მუშაობისა და ჩვენი ოპერატორების მუშაობის ობიექტიური პირობები სინათლის მხრივ.

მთავარ პავილიონის სივრცე 10.000 კვადრატიულ მეტრს უდრის, რომლის გასათბობათ გაყვანილ მილებში თავისუფლად ვაისეირნებს ადამიანი. ამ მილის სიგრძე ვერსს უდრის.ატელიეში სამხატვრო პერსონალისათვის მოწყობილია კომფორტაბელური ოთახები.

გასანათებელ მოწყობილობათა ტიპები უდრის 450. ჩვენში გასანათებელი მოწყობილობანი (და არა ტიპები) უდრის 10.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თავი „კინომატოგრაფია ნატურალურ ფერებში". ავტორს მოჰყავს ი. შტეპანეკის გამოგონება კინოში ნატურალური ფერების გადმოცემის შესახებ. დღემდე ჩვენ ვიცოდით ფერადი კინო, რომელიც იქმნებოდა მოცემულ ნივთების შეღებვით გადაღების შემდეგ. აქ იკარგებოდა ნატურალური ფერიც და საღებავი გადადიოდა ერთი საგნიდან მეორეზე და ფუჭდებოდა ილიუზია. ავტორს საშუალება ჰქონია ენახა ი. შტეპანეკის გამოგონება და მოწმობს, რომ „ფერადი კინო შექმნილად უნდა მივიჩნიოთო" ის გადმოგვცემს ცნობებს, რომ ამერიკა ჰყიდულობს პატენტს ამ გამოგონებაზე. შვეიცარიაში უკვე არსდება ამ გამოგონების საექსპლოატაციო საზოგადოება.

ფერების აღმოჩენას კინოში უდიდესი მხატვრული მნიშვნელობა აქვს. როგორც მხატვრები ფერებით ჰქმნიან განწყობილებას, კომპოზიციას, კინო რეჟისორები და ოპერატორებიც, ფერებით შეიარაღებულნი, სრულიად ახალი და გრანდიოზული შესაძლებლობის წინაშე სდგებიან.

დასასრულ ავტორი სამართლიანად მწუხარებას გამოსთქვამს რომ საბჭოთა კავშირში არ ექცევა ყურადღება **კინო წარმოების სათანადო ნაწილების განვითარებას და კინოს კულტურული მუშაობის მომზადებას.**

ავტორი უეჭველად მართალია ამ მხრივ. საბჭოთა კინოს ძირითადი ამოცანაა — კინო ტეხნიკის გაუმჯობესება და მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება. ამ პირობის გარეშე ვერავითარი ზომებით ვერ მივაღწევთ ამ დარგში გამარჯვებას.ჩვენი ფილმები თუ ხარისხობრივად არ შეეჯიბრა უცხოეთის ფილმებს კინო აუდიტორია ხელიდან გაგვექცევა ე. ი. დავკარგავთ უძლიერეს იარაღს მასების აღზრდის საქმეში. ამიტომ საბჭოთა კინოს მიზანი უნდა იყოს 1. კინო ტეხნიკის განვითარება, 2. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, 3. იდეურად, საბჭოთა საზოგადოებრივობის მისაღები სურათების დადგმა. ამიტომ **საჭიროა არა პროდუქციის სიმრავლე, არამედ მისი ხასიათისა და ხარისხის სიმაღლე.** ამას გვასწავლის გერმანეთის კინო გამოცდილება. ს. ა—ლი.

მ. ს—ძე ჭადრაკი. მოკლე სახელმძღვანელო. გვერდი 194. ფასი—1 მან. 50 კაპ.

გონებრივი სპორტით გატაცებამ ერთგვარი თეორეტიული სახელმძღვანელოს მოთხოვნილება დაბადა. ასეთი სახელმძღვანელოებით მდიდარია კერძოთ რუსეთის ლიტერატურა. ჩვენში აღნიშნული შრომა პირველი ცდაა. ავტორი არ ეკუთვნის გამოჩენილ მოჭადრაკეთა რიცხვს, როგორც ჩვეულებრივად ხდება ასეთი სახელმძღვანელოს დაწერის დროს.

მიუხედავად ამისა წიგნი მაინც არ არის ინტერესს მოკლებული. ჭადრაკის თამაშის ძირითადი წესების განმარტების შემდეგ, ავტორი ეხება თამაშის უფრო რთულ მომენტებს, როგორც არის ენდშპილი, დებიუტი და შუა თამაში. ჭადრაკის თამაშთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებს გარდა, წიგნში გამოყოფილი არის ორი თავი გამოჩენილ მსოფლიო მოჭადრაკეთა და მათ პარტიების შესახებ და ჭადრაკის გავრცელება საქართველოში. ავტორის აზრით ჭადრაკი ჩვენში უფრო ადრეა შემოსული, ვიდრე ევროპიულ ქვეყნებში, ამას მოწმობს ჩვენი ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ჩვენს ხალხში გაფანტული აზრები ჭადრაკის შესახებ. ავტორი ეპიგრაფად უძღვარებს თავის წიგნს, ხალხურ თქმულებას ჭადრაკზე, რომ „ჭადრაკი ჭკუაა" ვიდრე სხვა სათამაშოებით.

ჩვენში ჭადრაკის ადრე გავრცელების საკითხს ადასტურებს აგრეთვე, აქა იქ ჩვენი მწერლების მიერ გამოთქმული აზრები ამ გონიერ თამაშზე.

საქართველოში, ჭადრაკის გავრცელებასთან ერთად, იყო გამოჩენილი მოთამაშენიც, რომელთა შორის საყოველთაოდ ცნობილი ყოფილა ვინმე ანდრია დადიანი, რომლის დაწვრილებითი ბიოგრაფია არ მოიპოვება, მაგრამ მისი პარტიები საგანგებოდ იწერებოდა ჟურნალებში და ცალკე წიგნად არის გამოცემული ფრანგულ ენაზე ცნობილ ფრანგ მოჭადრაკის და თეორეტიკოს შიკერსის წინასიტყვაობით და რედაქციით; დადიანში გამოჩენილი მოჭადრაკენი „გაბედულს და შმაგ გენიოს ხედავდენო".

ბოლოს ავტორი იხსენებს ამჟამად ჭადრაკის ფართოდ გავრცელების საკითხს ჩვენში და რუსეთში და ასახელებს ჩვენს გამოჩენილ მოჭადრაკეთ.

საბიბლიოგრაფო წიგნი, როგორც ელემენტარული სახელმძღვანელო უსათუოდ კარგად არის შედგენილი. სახელმძღვანელო იძლევა ყოველგვარ ცნობებს, რომელიც ჭადრაკის პირველდაწყებითი თამაშთან არის დაკავშირებული.

ვ. მ.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახკომატის

საქართველოს ს.ს.რ. ცაკის პრეზიდიუმის და სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად შედგარ საუწყებათაშორისო კომისიების მუშაობის წესის შესახებ.

1. ს.ს. ცაკის პრეზიდიუმის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, საუწყებათაშორისო კომისიებზე დაკისრებული დავალებანი, როგორც საკანონმდებლო ორგანოთა განკარგულება, უნდა შესრულდეს საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებათა შინაარსთან სრული და ზუსტი შეფარდებით და იმ წესით, რაც ნაჩვენებია ცაკის და სახკომსაბჭოს გ.-წ. 6 დეკემბრის თარიღით და 79 №-ით გამოცემულ დადგენილებაში: „ს.ს. ცაკის, სახკომსაბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილებების საქართველოს ს.ს.რ. დაწესებულებათა მიერ შესრულებაზე".

2. უწყება, დაწესებულება ან პირი, რომლის თავმჯდომარეობით ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის და სახკომსაბჭოს დადგენილებით დანიშნულია საუწყებათაშორისო კომისია, ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო სასწრაფო შემთხვევებში საკანონმდებლო ორგანოთა დადგენილების ასლის მიღებისას დაუყოვნებლივ მოიწვიოს ხსენებულ დადგენილებაში აღნიშნული უწყებათა წარმომადგენლები ან კომისიის წევრები, თუ ისინი პერსონალურად არიან დანიშნულნი.

3. უწყება და დაწესებულებანი, რომელთა წარმომადგენელნი შედიან საუწყებათაშორისო კომისიაში, ვალდებულნი არიან არა უგვიანეს 3 დღისა, ხოლო სასწრაფო შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანოთა დადგენილების ასლის მიღებისას დაუყოვნებლად, აცნობონ უწყებას ან დაწესებულებას, რომლის წარმომადგენელი დანიშნულია კომისიის თავმჯდომარეთ, იმ პირთა გვარები, რომელნიც გამოყოფილი არიან წევრად კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ.

შენიშვნა: საკანონმდებლო ორგანოს მიერ კომისიის შემადგენლობა არ არის დასახელებული პერსონალურად, უწყება ან დაწესებულება ვალდებულია დანიშნოს კომისიის წევრად პასუხისმგებელი თანამშრომლები, რომელთაც თავიანთ პოლიტიკურ და საქმიანობის კვალიფიკაციით შეეძლებათ სძლიონ კომისიის დავალების შესრულებას.

4. კომისიის წევრნი და მათი მოადგილენი ვალდებულნი არიან: ა) შეაგროვონ და შეისწავლონ ყველა მასალები, რომელიც იქნება სახკომატის ან დაწესებულების განკარგულებაში, კომისიის მუშაობის საგნის მიხედვით;- ბ) გამოარკვიონ თავიანთ უწყებების ოფიციალური შეხედულება კომისიის მუშაობის საგანზე; გ) თავის დროზე გამოცხადდენ კომისიის სხდომებზე, და შეასრულონ უკანასკნელის დავალებანი, როგორც თავიანთი პირდაპირი სამსახურის მუშაობა; დ) გააცნონ სახკომს, ან დაწესებულების ხელმძღვანელს ან ამ საქმისათვის რწმუნებულს კოლეგიის წევრს კომისიის მუშაობის მიმდინარეობა და აგრეთვე თავის გამოსვლებზე იქ, როგორც უწყების წარმომადგენლისა.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც კომისიის წევრი ვერ შესძლებს სხდომაზე დასწრებას, იგი ვალდებულია ამის შესახებ თავის დროზე აცნობოს დაწესებულებას, სადაც თვითონ მსახურობს, ხოლო უკანასკნელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოჰყოს კომისიის წევრის მოადგილე და ეს აცნობოს კომისიის თავმჯდომარეს.

5. კომისიის მუშაობაში დავალებათა შესრულების მიზნით კომისიის წევრებს უფლება აქვთ ა) უშუალოთ გაუკეთონ მოხსენება კომისიის მუშაობის შესახებ თავიანთ სახკომებს ან დაწესებულებათა ხელმძღვანელთ; ბ) მოიწვიონ საუწყებო თათბირები კომისიის მუშაობის საგანზე; გ) მოითხოვოს წარმოდგენა ყველა იმ მასალებისა, რომელიც მოიპოვება თავიანთ სახკომატში ან დაწესებულებაში კომისიის მუშაობის საგნის გარშემო.

6. კომისიის სხდომები ინიშნება შეძლებისდაგვარად პერიოდულად ერთ და იმავე საათზე და დღეებში კვირის განმავლობაში. სხდომის დრო წინასწარ უნდა ეცნობოს კომისიის წევრებს.

7. საერთო პასუხისმგებლობა კომისიის მუშაობაში ეკისრება კომისიის თავმჯდომარეს.

8. ტეხნიკურად კომისიის მუშაობას აწარმოებს იმ სახკომატის ან დაწესებულების აპარატი, რომელთანაც კომისიები არიან შემდგარნი.

9. კომისიის მუშაობის აღრიცხვას აწარმოებს იმ სახკომატის ან დაწესებულების აპარატი, რომლებთანაც კომისიები არიან შემდგარნი იმ აღრიცხვასთან შეფარდებით, რომელიც შემოღებულია ამ სახკომატში ან დაწესებულებაში.

10. საუწყებათაშორისო კომისიის მუშაობის შედეგებზე მოხსენება წარედგინება იმ სახკომის ან დაწესებულების ხელმძღვანელის მეშვეობით, რომელთან დაარსებული იყო კომისია, იმ საკანონმდებლო ორგანოს, რომლის დადგენილებით იქნა დაარსებული კომისია.

ფუძე: საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება ამა წლ. 15 იანვრის თარიღით და 4 №-ით „საუწყებათაშორისო კომისიების დაარსების და მათი მოქმედების წესრიგის შესახებ".

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი—ა. დოლიძე.

ს.ც.ს.კ. და მ.-გლეხთა ინსპექციის აღმასბიუროს გამგე—შ. დადიანი.

1927 წ. მარტის 10.

ქ. თბილისი.

იურიდიული დახმარება

ნაციონალიზაცია ქმნილ სახლების შესახებ

ერკეთის მცხოვრებ კოლია მგალობლიშვილს

პასუხი

შენობისა და სხვა ნაგებობათ დენაციონალიზაციის შესახებ სათანადო შუამდგომლობით თქვენ უნდა მიმართოთ საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

სამთამადნო. კავშ. წევრს (წიგ. № 141)

პასუხი

ბინის ქირას გადაიხდით თავის ხელფასის (100 მანეთის) მიხედვით მოსწავლე ათი წლის ბავშვის მარჩენალი მამა და არა ათი წლის ბავშვი.

სოფ. ზემოხანდაკის (გორის მაზრა) მცხ. ვარსენიკა ვართაპეტიანს

პასუხი

თქვენ (ორივე დებს) შორის საერთო ქონება და საერთო სარგებლობაში მყოფი მიწები განაწილდება თანასწორ წილად. ინვალიდობა და შრომის უუნარმოკლებულობა არ აძლევს მონაწილეთ ქონების და მიწის განაწილების დროს რაიმე უპირატესობას. (იხ. მიწის კოდექსის მუხ. 47).

მოქ. გიორგის

პასუხი

სახლის მფლობელობას აქვს უფლება მოითხოვოს სასამართლოს წესით გამოსახლება ისეთი მუშა-მოსამსახურის, რომელიც ორი თვის განმავლობაში არ გადაიხდის ბინის ქირას. კერძო პირის გამოსახლება კი იგივე წესით ხდება, თუ კი კერძო პირი ერთ თვენახევარზე მეტი ხნის განმავლობაში არ გადაიხდის ბინის ქირას (იხ. საბინაო ტარიფის მუხ. 25 და 26).

სტუდენტებს ქ. ზაზუნაშვილს, ვ. კიკნაველიძეს და ე. გოგუას

პასუხი

თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 168-ის დამქირავებელს აქვს უფლება, თუ კი გარიგებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ქონება (ბინა და სხ.) მთლად, ან ნაწილობრივ თავის მხრივ გაქირავოს; ხოლო იგი პასუხისმგებელია გამქირავებლის (სახლის პატრონის) წინაშე, თანახმად მასთან დადებული გარიგებისა. თქვენ კი გამქირავებელთან (ე. ი. სახლის პატრონთან) არავითარი იურიდიული დამოკიდებულება არა გაქვთ. ასეთი დამოკიდებულება თქვენ გაქვთ მხოლოდ იმ მდგმურთან, რომელმაც მიგაქირავათ ოთახი და როგორც კავშირის უმუშევარი წევრები ბინის ქირას ამ უკანასკნელს გადაუხდით თვითეულ კვ. მეტრზე ორი კაპეიკის რაოდენობით.

თუ კი ბინის ქირას თქვენ იხდით წესიერად და არ აყენებთ ბინას არავითარ ზიანს, მას (ბინას) თქვენ ველარავინ ჩამოგართმევს.

გლეხის ცენტრალურ სახლის მოსამსახურეს (პაჭშირის წიგ. № 985)

პასუხი

ვინაიდან საცხოვრებელი ოთახი თქვენ მიგიღიათ მოქ. ვართანიანცისაგან (ე. ი. მდგმურისაგან) და არა თვით გამქირავებლისაგან (ტრესტისაგან) და ეს მდგმური კი (ვართანიანცი) მიდის ამ სახლიდან, ამიტომ თქვენც ვალდებული ხართ დასცალოთ ეს ოთახი და გადასცეთ იგი ტრესტს. (იხ. სამოქ. სამართლის კოდ. მუხ. 168) თუ კი ბინის ქირას თქვენ უხდით მოქ. ვართანიანცს და არა ტრესტს.

წითელ არმიელ ა. სოხაძეს

პასუხი

თანახმად საბინაო ტარიფის მუხ. 18-ისა, ბინის ქირას ოთხი კაპ. რაოდენობით (თითეულ მეტრზე) იხდის წითელ არმიელის ისეთი ოჯახი, რომლის წევრები მათი მარჩენალის ჯარში გაწვევამდე იმყოფებოდენ ამ უკანასკნელის კმაყოფაზე. თუ კი წითელ არმიელის ოჯახის წევრებს გაჩნია შემოსავლის სხვა წყაროები, მაშინ ისინი ბინის ქირას გადაიხდიან მათ შემოსავლის კვალობაზე.

წერილი რედ. მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

საქართველოს განათლების კომისარმა ამხ. დ. კანდელაკმა, 1-ლ ქართულ დივიზიის ნაწილებისათვის უფასოდ გადმოსცა 3.000 მ. ლიტერატურა. ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით გამოუცხადო ამხ. კანდელაკს, მთელი დივიზიის შემადგენლობის სახელით უღრმესი მადლობა ამ დიდი საჩუქრის გამო.

კომ. სალამით, დივიზიის სამხედრო კომისარი,
გაიოზ დევდარიანი

პარტიული კალენდარი

— ოთხშაბათს, 13 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელზედაც [illegible] შემდეგი ამხანაგები: [illegible] (სახელმწიფო პოლიტ[illegible]), ზაგატუროვი (სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი), [illegible] ხუციშვილი (თბილისის საბჭ. პარტსკოლა), ტატულოვი (საქ. კომპარტიის ა.-კ. საკონტროლო კომისია).

— ა. წ. 13 აპრილს, საღამოს 6 საათზე ბიაგიტპრომუშაკის ცენტრალურ კაბინეტის ბინაზე (შესავალი რუსთაველის თეატრის ეზოდან) ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების ქალაქის რაიონული საბჭო იწვევს გაფართოებულ პლენუმს ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების უჯრედების თავმჯდომარეებთან და სარევიზიო კომისიების წევრებთან ერთად.

სავალდებულოა ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების ქალაქის რაიონულ საბჭოს ყველა წევრების, ქალ. და სოფ. კავშირის საზოგადოების უჯრ. თავმჯდომარეებისა და სარევიზიო კომისიების წევრთა დასწრება დაუგვიანებლად.

— ოთხშაბათს, 13 აპრილს, საღამოს 5 საათზე შესდგება საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას საკონფლიქტო კომისიის მორიგი სხდომა. დასწრება კომისიის წევრებისა სავალდებულოა. ამასთან ერთად წინადადება ეძლევა ქვემო ჩამოთვლილ ამხ-ს გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

1. ამხ. ვარლამ ალექსის ძე ხუციშვილს, 2. ქრისტეფორე ცახტანგიშვილს, 3. მხეილ ჭანტურიძეს.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს ოთხშაბათს ნაშუადღევის 2 საათზე, მოწვეულია აგრ. ფაკ.-ტის კომ. პარტიისა და კომკავშირის უჯრედთა ბიუროების გაერთიანებული სხდომა.

იმ ამხანაგებს, რომელთაც შემოტანილი აქვსთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ ევალებათ აღნიშნულ სხდომაზე გამოცხადდენ.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა მორიგ პარტიულ დღეს, პარასკევს, 15 აპრილს კომუჯრედების ღია კრებებზე დამუშავებულ იქნეს საკითხი ფასების დაკლების შესახებ (საკავშირო კომპარტიის ცეკას 1927 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებების მიხედვით).

მასალები მოხსენებისათვის „ფასების დაკლების შესახებ".

1. საკავშირო კომპარტიის ცეკას 1927 წ. თებერვლის პლენუმის რეზოლიუცია საგასაცემო და საცალო ფასების დაკლების შესახებ „პრავდა"-ს 1927 წლის 13 თებერვლის ნომერი.
2. საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმის რეზოლიუცია ამხ. ათაბეგოვის მოხსენების გამო „რაბოჩაია პრავდა"-ს, „კომუნისტი"-ს და „მუშა"-ს 1927 წლ. 13 თებერვლის ნომრ.
3. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია „რაბოჩაია პრავდა"-ს და „კომუნისტი"-ს 1927 წ. 11 მარტის ნომრ.
4. ამხ. დოლიძის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საკონტროლო კომისიის მეოთხე პლენუმზე ფასების დაკლების შესახებ „ზარია ვოსტოკა"-ს 1927 წ. 5 აპრილის ნომერი.
5. ა. კაკტინი—ბრძოლა ფასების დაკლებისათვის—გამოცემა „მოსკოვსკი რაბოჩი" 1927 წ.
6. ა. რიკოვი—ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა და მისი ამოცანები. მოხსენება მეხუთმეტე პარტკონფერენციაზე—სახელმწიფო გამომცემლობა 1927 წ.
7. „ბოლშევიკ" № 4 1927 წ. მიკოიანის წერილი „თანამედროვე სამეურნეო პოლიტიკის ცენტრალური ღერძი".
8. „სპუტნიკ აგიტატორა" № 2 1927 წ. შიბაილოს წერილი „ფასების დაკლების საკითხისათვის".
9. „სპუტნიკ აგიტატორა" № 4—1927 წ. მოწინავე წერილი „პროლეტარული საზოგადოებრიობა ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში".
10. „სპუტნიკ აგიტატორა" № 5—1927 წ. დვოილაცკის წერილი „საცალო ფასების დაკლების შესახებ".
11. კრებული „ნა პერელომე" („ეკონომიჩ. ჟიზნ"-ის გამოცემა) დვოილაცკის წერილი „საქონლის ბრუნვა და ფასების პოლიტიკა".

შენიშვნა: მასალების მიღება შეიძლება აგიტპროპმუშაკის ცენტრალურ და რაიონულ კაბინეტებში.

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საავ.-საპროპ. განყოფილება.

დამწუხრებულნი: შვილი მიშა (იაგორ), რძალი კატო აძალოძელის ასული მინდაძისა, შვილიშვილები ვერიჩკა, დათიკო ცოლით ნინათი და პატარა რეზიკოთი, ქალიშვილები ელენე გოგიბერიძისა შვილებით, მარო უნგიაძისა შვილებით, სიძე ბიქტორ გოგიბერიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

დავით ესეს-ძე მინდაძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან 1-ლი ნაზარეთის ქ. № 45 (ნაძალადევი), ხუთშაბათს, 14 აპრილს, 3 საათზე, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.
2—1 2378

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე პორფირე, შვილი მარიამი და შვილისშვილი შოთა, ნესტორ ჩხაავა ოჯახობით, ილლა მამულაიშვილისა, ევგრაფი და შალვა ხუნდაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ უეცრად 11 ამა აპრილს ღამით გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ნინო ივანეს ასული ხუნდაძისა

პანაშვიდი 13 აპრილს, საღამოს 7 საათ., საკუთარ ბინაზე ელისაბედის ქუჩა № 16 დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 14 აპრილს, დღის 4 საათ.
2—1 2391

ღრმად დამწუხრებულნი: შვილი საშა (გიორგი) ხაჩატუროვი. ძმა სერგო, დაი ოლღა, რძალი ლეონინა, ძმისწულები: ვანო, გიორგი, კოლია, ვალოდია პავლე, დათიკო. კატო და მერი ბაბუაძეები მწარე გულისტკივილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ქ. ზესტაფონში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა. | წ. 11 აპრილს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და მუდამ დაუვიწყარი

მარიამ ალექსის ასული ბაბუაძე-ხაჩატუროვისა

რომლის დაკრძალვა მოხდება 14 აპრილს სოფ. ზედა საქარაში მაცხოვრის ეკლესიის სასაფლაოზე.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 13 აპრილს, მეორეთ
თაქთაქიშვილის ახალი ქართული ოპერა
განთიადი
დირიჟორი ივ. ფალიაშვილი.

ხუთშაბათს, 14 აპრ. სეზონის დახურვა სანდრო ინაშვილის საღამო
ვოლ-ლევიცკაიას (მირა ელიავა) მონაწ. ევგენი ონეგინი
ნ. 993

სახელმწიფო დრამა
1—1 ნ. 992

ხუთშაბათს 14 აპრილს, ნ. შიუკაშვილის ამერიკელი ძია
ორიგინალური კომედია 4 მოქმ. და 3 ინტერმედიით.
დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შავიშვილი.
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი.

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 17 აპრილს დილის 10 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ქალაქის ლომბარდში. ნ. 991

ქ. თბილისის 1-ლი რაინ. სასამართლოს აღმასრულებ.
გ. გ. ბარუტჩევი
ამით აცხადებს, რომ ის 18 აპრილს 1927 წლ. დღის 1-ლ საათზე სახლში № 27 ტრიბუნალის ქ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის მეორედ, შემოძლეულ ფასიდან, არაბიძის მოძრავ ქონებას: წიგნის შკაფს, პირისაბანს, შიფონერკას, სასადილო მაგიდას, ტანისამოსის შკაფს, ხალიჩებს და წიგნებს, შეფასებულს 575 მან., ა. კ. რკინის გზის სამმართველოს და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 21 ივლისის 1924 წლ. თარიღით, № 25115 და სხ. გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2394

აპოლლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. № 19—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარბაზი
ტელ. 14—03.
0—10 ნ. 924

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი
გიული
დადგმა—ლ. პუშის და ნ. შენგელაიასი
ოპერატორი—მ. კალატოზიშვილი
მთავარ როლებში:
ნატა ვაჩნაძე ც. წუწუნავა ა. იმედაშვილი
ა. თაყაიშვილი კ. ყარალაშვილი, ნ. მელიავა
დასაწყისი 1-ლი სეანსის სრულ 6 ს. 30 წ.
არფასტოში ადგილები დანომრილია
უშიშარნი პირლ უაიტი და ანტონიო მორენო
მსოფლიო სურათში „სიძულვილის სახლი"
1-ლი სერია.

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართლოს აღმასრულებ.
გ. ქ. ჯინჭველაშვილი
ამით აცხადებს, რომ ის 21 აპრილს ა. წ. დღის 2 საათ. გოგოლის ქუჩაზე № 63 საჯარო ვაჭრობით გაყიდის ყოფ. საზოგადოება „კახეთია"-ს უძრავ ქონებას: ორსართულიან სარდაფს ზომით 3432 ოთკუთხ არშინ. და ცხრამეტ სხვადასხვა განყოფილებებს, ამაში სამი განყოფილება ცალკეა აგებული. შენობა აგებულია 640,67 კვად. საჟ. მიწის სივრცეზედ. აღნიშნული შენობა დახურულია კრამიტით და შეფასებულია 20.000 მან. გაიყიდება სურსათ-გემოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად და სხვების. თანახმად შრომის სასამართლოს მიერ გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა №№ 980, 180, 368, 987. ვაჭრობა იწარმოებს სამოქალაქო სამართლ. საპროცესო კოდექსის მე-311—312 მუხლების დაცვით. ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს 10 პროც. საწინდარი. ნ. 996

ნადი „შენება"-ს
გამგეობა
ამით აცნობებს ყველა დაწესებულებებს, რომ პირველ აპრილამდე ა. წ. გაცემული რწმუნებულების მოწმებები გაუქმებულია.
წინადადება ეძლევათ ყველა რწმუნებულებს დღეიდან 7 დღის განმავლობაში გამოცხადდენ ნადი „შენება"-ს კანტორაში (კომინტერნის ქ. № 3), ახალი მოწმობების მისაღებათ.
2395. გ ა მ გ ე ო ბ ა.

ქალაქის ლომბარდის საუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 14 აპრილს, სასახლის ქ. № 3, დილის 12 საათზე,
საჯარო ვაჭრობით
გაიყიდება კრაოტები, გარდერობები, კამოდები, ხალიჩები, და სხვა საოჯახო ნივთები. ნ. 992

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 15 აპრილს 1927 წლ. დღის 1 საათზე, სახლში № 16, რუსთაველის გამზირი სასადილო „ფიროსმანი"-ს დარბაზში საჯარო ვაჭრობით გაყიდის ყოფილ სასადილო „შამპანი"-ს მოძრავ ქონებას: ვენურ სკამებს, მაგიდებს, სუფრებს, ფრაჟეულობას და სხვ. შეფასებულს 447 მანეთად, სახ. კვების ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქალ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 4 აპრილს 1927 წლ. თარიღით, № 1152 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 996

დაკარგვე ქალაქ თბილისის კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილებიდან მოცემული ერთი აქცია ღირებული ორმოცდაცამეტი მანეთი (53 მ.) ლეო და ლარო ნიორაძეების სახელზე, ჩ. გ. 2388

დაკარგვე პირადობის ბილეთი № 0860356—მარია ლაშეკინას სახელზე, ჩ. გ. 2392

დაკარგვე პირადობის მოწმობა და სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი—ვარლამ დავითის-ძე კაციტაძეს სახელზე, ჩ. გ. 2389

დაკარგვე პირადობის წიგნაკი, ათეულის მეთაურობის მოწმობა, მოცემული მე-6 ქართულ მსროლელ ლეგიონიდან აკაკი სერაპიონის-ძე გორდაძის სახელზე, ჩ. გ. 2390

დაკარგვე საწევრო წიგნაკი № 4182. თამარა ბურჭულაძეს სახელზე, ჩ. გ. 2396

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.